კოკოითს თემიდა უხმობს A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა A8

მეცნიერება და ტექნიკა B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 6 აგვისტო, 2004 წელი. №185 (734)

ფასი 50 თეთრი

# დანგრეული გზები

## პოლიტიკური პრობლემების წყარო




*თბილისის ქუჩები და მერსედესები ერთმანეთთან შეუსაბამოა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*თუ დავეთანხმებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის სახე მისი გზებია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გზების "პატრონთა" წყალობით, საქართველო საკმაოდ "ცხვირპირდამტვრეულად" გამოიყურება. იმის მიხედვით, თუ როგორ უვლის გზას, ქვეყანა აჩვენებს, რამდენად აქვს მას ცივილიზებულად ცხოვრების კულტურა. მით უმეტეს, მნიშვნელოვანია გზის მდგომარეობა ქვეყანაში, რომლის მთავარ საერთაშორისო ეკონომიკურ და, ლამის, პოლიტიკურ ფუნქციად ტრანზიტული ფუნქციაა ქცეული. თუმცა, იგივე ტურიზმის განვითარებისთვისაც, რაც უკვე ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, გზების განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.*

თამარ ხორბალაძე

გზების მდგომარეობა ქვეყანას მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემებს რომ არ უქმნის, ამის თაობაზე საქართველოში უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. წლების განმავლობაში ამ სფეროში არსებული განუკითხაობის წყალობით, საქართველოს რამდენიმე სერიოზული პრობლემა შეექმნა - ერთია ზემოთ მოხსენებული სატრანზიტო ფუნქციის სრულყოფილად ვერშესრულება და მეორე, საქართველოს პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომენტი - საქართველოს რეგიონების "მოწყვეტა" დედაქალაქისგან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## როდის მოიყვანენ გზებს წესრიგში?

საქართველოს ახალი ხელისუფლება დღემდე, გზების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ძირითადად "მეხანძრის" როლში გვევლინებოდა - აჭარა, თავისი აფეთქებული ხიდებით, ვალეს მიმართულება, საქართველოს სამხედრო გზა - აი, ის მიმართულებები, სადაც 2004 წელს ძირითადი სამუშაოები ტარდებოდა.

დღეს საქართველოში ძველი კრედიტების ათვისება ისევ გრძელდება, თუმცა, ამასთან ერთად, მსოფლიო ბანკმა უკვე დაამუშავა ახალი პროექტი, სახელწოდებით "შიდა რესპუბლიკური და სოფლის გზების რეაბილიტაცია", რომელიც უკვე პარლამენტშია შეტანილი და რომელიც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, სატრანზიტო გზის მიღმა დარჩენილი გზების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

აღნიშნული კრედიტით სამუშაოები 2005-2008 წლებში განხორციელდება. ამ პროექტის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკი 20 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს, 10 მილიონ დოლარს კი, თანადაფინანსების პრინციპით, საქართველოს მთავრობა გაიღებს. დღევანდელი სავარაუდო მონაცემებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 300-350 კილომეტრ რესპუბლიკურ და სასოფლო მნიშვნელობის გზებს. მათი შერჩევის კრიტერიუმები, საგზაო დეპარტამენტის მონაცემებით, იქნება - მიგრაციის შეჩერება, ტურიზმის განვითარება, კავშირის დამყარება ცენტრთან პროდუქციის რეალიზაციისთვის და სხვა.

ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ ახალი კრედიტის ფარგლებში 2005 წელს უნდა შეკეთდეს თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა (20 კილომეტრი); კარწახი-მანგლისი (23 კილომეტრი); თბილისი-თიანეთი (20 კილომეტრი); ხევსურთსოფელი - სიონი (17 კილომეტრი), საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი (18 კილომეტრი); ოზურგეთი-ნატანები (22 კილომეტრი).

თუმცა, ეს სამომავლო გეგმებია. საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელის რომან დალაქიშვილის ინფორმაციით, უკვე არსებული პროექტების ფარგლებში დღეს აჭარაში 10 კილომეტრის რეაბილიტაცია ხორციელდება - ქობულეთის მონაკვეთზე - ჩოლოქის ხიდიდან რკინიგზის სადგურამდე, ასევე გაკეთდა 4 კილომეტრი სარფიდან ბათუმამდე და კიდევ თითო-თითო კილომეტრი - ორ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ მონაკვეთზე.

გარდა ამისა, აჭარაში ხულომდე მიმავალი გზა უკვე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია - დალაქიშილის

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

**ქართულ-რუსული ჭიდილი აფხაზეთის აკვატორიაში**

საქართველოს პრეზიდენტი მტკიცედ აცხადებს, რომ თბილისის გვერდის ავლით აფხაზეთში შესვლის მცდელობისას ყველა გემის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნება და ჩაიძირება.

A2

### ეკონომიკა

**ბიუჯეტის ივლისის თვის პროგნოზის შესრულებას 25 მლნ ლარი დააკლდა**



A4

### უცხოეთი

**„თეთრების ალ ქაიდა" და „რუსული ჯიჰადი"**



“ჩვენ თეთრების “ალ ქაიდა” ვართ. ახლა უკვე ჩვენებური ჯიჰადის დრო დადგა. ჩვენ თავს რუსებად არ მივიჩნევთ, უბრალოდ, თეთრი რასის წარმომადგენლები ვართ”.

A5

### საზოგადოება

**რატომ ასაიდუმლოებენ „ჯენერალ დეზოს" ვიზიტს**



საერთაშორისო სტანდარტებით წყალი უქმად რომ არ იღვრებოდეს, ერთი ადამიანის მიერ დღე-ღამის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობა, მაქსიმუმ, 230-350 ლიტრია.

A6

### ამინდი

| | 6/8 | 7/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 33 |
| ქუთაისი | 34 | 36 |
| ბათუმი | 33 | 35 |
| სოხუმი | 31 | 33 |
| ფოთი | 33 | 35 |
| თელავი | 27 | 32 |
| ზუგდიდი | 34 | 36 |
| გორი | 26 | 30 |
| ახმეტა | 27 | 32 |
| ჭიათურა | 30 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8500 |
| ევრო | 2.2313 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3759 |
| რუბლი | 0.0634 |

## კოკოშინი ქართულ ტყვიებს სტვენით ცნობს

ლელა მჭედლიძე

**“ვწუხვართ, რომ სამწუხარო ტრადიცია ჩამოყალიბდა - როცა საქართველოს ხელისუფლება ახალი სამშვიდობო ინიციატივით გამოდის, საპასუხოდ შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიღებთ. ცხინვალის რეგიონში მდებარე სოფლებიდან დაბრუნებულ ანდრეი კოკოშინთან სატელეფონო საუბარი მქონდა. მომხდარი ინციდენტის გამო შეშფოთება გამოვთქვი. ამასთან, დავინტერესდი, თუ რამ გამოიწვია კოკოშინის მარშრუტის შეცვლა და ოსი ბოევიკების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადანაცვლება. ჩვენს შეშფოთებას ისიც ამძაფრებს, რომ მომხდარს სრულიად წარმოუდგენელი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომელშიც ჩართულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რუსული მედია, რუსეთის დუმა,”** - განაცხადა საგანგებო თათბირზე გუშინ პრემიერ-მინისტრმა.

**“მზად ვარ, ჩავჯდე მანქანაში და ყოველგვარი ზედმეტი დაცვის გარეშე ჩავიდე ცხინვალში მოსალაპარაკებლად,”** – ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ კოკოითის ადმინისტრაციას ზურაბ ჟვანიას მზადყოფნის შესახებ 4 აგვისტოს ოფიციალურად შეატყობინა. ჟვანია კოკოითთან სატელეფონო საუბრისთვისაც მზად არის, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, სეპარატისტების ლიდერი საკმაოდ მოუხელთებელი აღმოჩნდა. უცვლელია საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნებიც: დიალოგი დემილიტარიზაცია, კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიის გაზრდა.

იმას, რომ კოკოშინთან დაკავშირებული ისტერია ხელოვნურად არის ატეხილი, საგარეო საქმეთა მინისტრიც ეთანხმება. ზურაბიშვილის შეფასებით, ყველაფერი იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს ინიციატივებს ეუთო-ში საკმაოდ დადებითად შეხვდნენ. შემოდგომისათვის სოფიაში, კონფლიქტის ყველა ასპექტში განსახილველად მაღალ დონეზე მოლაპარაკებების ჩატარებაც გადაწყდა და ეუთო-ს კონტინგენტის საკითხიც უახლოეს სხდომაზე განიხილება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ნინო ბურჯანაძე რუსეთის სათათბიროს უტევს

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ინციდენტი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ანდრეი კოკოშინს ცხინვალის რეგიონში შეემთხვა, წინასწარ იყო დაგეგმილი და ინსპირირებული. ნინო ბურჯანაძის აზრით, ეს პროვოკაცია იმ ანალიზის გამოძახილს წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც, რუსეთი საქართველოსთან საინფორმაციო ომს პირწმინდად აგებს.*

გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარლამენტის სპიკერმა აღშფოთება გამოთქვა რუსი პოლიტიკოსების პოზიციისა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული დადგენილების გამო. ამ დოკუმენტს ნინო ბურჯანაძე "ცინიკურს" უწოდებს და განცვიფრებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან 15 წლის შემდეგაც კი, ოფიციალური მოსკოვი სხვა სიტყვებს ვერ პოულობს საქართველოს მოსახსენიებლად, გარდა იმისა, რომ ის "ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა".

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ანკეტა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# კოკოითს თემიდა უხმობს

## არასამთავრობოები ქართულ-ოსური ნაღმების განეიტრალებას ითხოვენ

*ედუარდ კოკოითს თემიდა უხმობს: მოქალაქე ირინა ცინცაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფალს ცილისწამებაში ადანაშაულებს. საქმე ეხება კოკოითის ამასწინანდელ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ცინცაძე, საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ, მის მოსყიდვას შეეცადა და პროქართულ პოზიციაზე გადასვლის სანაცვლოდ, ოფიციალური თბილისის სახელით, 20 მილიონი დოლარი შესთავაზა. მორალური ზიანის კომპენსაციისთვის, ირინა ცინცაძე ედუარდ კოკოითისგან 500 ათას დოლარს ითხოვს.*

ცხადია, ქართულ ოსური კონფლიქტი გაცილებით "ძვირი" ღირს, ვიდრე ცილისწამებით აღშფოთებული, საქართველოს რიგითი მოქალაქის მიერ ზემოთ დასახელებული თანხაა. არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, სახალხო დამცველის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგება ერთნაირად შედის როგორც ოსი, ისე ქართველი ხალხის ინტერესებში და მათ შორის შეიარაღებული კონფრონტაციის განახლების არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, გოგი ხუციშვილის განცხადებით, ვითარებას, მნიშვნელოვანწილად, ის გარემოება ძაბავს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები სუბიექტურობას იჩენენ და ოს სეპარატისტებს დაუფარავად ეხმარებიან.

**"ყოველ წუთს არის მოსალოდნელი, რომ რუსეთის მხარემ შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყოს, რომლის საფუძველზეც მოსკოვმა რეგიონში თავისი როლის გაძლიერება მოითხოვოს,"** - ვარაუდობს გოგი ხუციშვილი.

შექმნილი არცთუ მარტივი სიტუაციიდან ერთ-ერთ გამოსავლად ქართულ და ოსურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების განმტკიცება სახელდება. თუმცა, პრობლემები ამ საკითხშიც არსებობს.

**"თანამშრომლობის გააქტიურების თაობაზე კოსტა ძიუგაევს ტელეფონით ვესაუბრე და როგორც კი ყურმილი დავკიდე, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ მას მაშინვე პრობლემები შეუქმნა. იგივე დაემართათ ჩემს კოლეგებს ოსური არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ისინი კოკოითის ხელისუფლების მხრიდან არნახულ ზეწოლას განიცდიან,"** - აღნიშნავს ირინა ცინცაძე, რომლის თქმითაც, ვიდრე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ედუარდ კოკოითს შეხვდება, მიზანშეწონილია, რომ ამ უკანასკნელს ქართველი "ენჯეოშნიკები" შეხვდნენ და მას საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრონ.

ირინა ცინცაძის აზრით, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების დათბობას ისიც უშლის ხელს, რომ ბოლო 14 წლის განმავლობაში ოსებს შეექმნათ ილუზია, თითქოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, და დღეს ამ მირაჟიდან თავის დაღწევა უკვე უჭირთ.

გუშინდელ შეხვედრაზე შეკრებილმა "მესამე სექტორის" წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განცხადებას, რომელიც კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართული ყველა მხარის მიმართ შეიცავს მოწოდებას, "გამოიჩინონ მაღალი ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებები, რათა კონფლიქტის ზონაში განიმუხტოს სიტუაცია და დაცული იქნას ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოება და სიმშვიდე".

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, მისმა მონაწილეებმა თავისუფლების მოედანზე მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყვეს.

*გიორგი ასანიშვილი*

# გურამ აბსანძე "24 საათის" პრესომბუდსმენს სასამართლოში უჩივლებს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გურამ აბსანძე ციტირებას ახდენს "24 საათის" პრესომბუდსმენის წერილიდან.*

გუშინ სახელმწიფო მინისტრმა გურამ აბსანძემ და ნემო ბურჭულაძემ, ეროვნული თანხმობის და სამართლიანობის აღდგენის კავშირის სახელით, პრესკონფერენცია გამართეს. მათ, ძირითადად, ორ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. პირველი, აბსანძის და ბურჭულაძის შეშფოთებას იწვევს "ტენდენციური, არაპროფესიული მიდგომა იმ მოვლენების შეფასებისას, რაც ხდება ცხინვალის გარშემო." კერძოდ, პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს განუმარტეს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის ავტონომია არ გაუუქმებია: **"ავტონომია გააუქმეს ოსმა სეპარატისტებმა, როცა ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნეს. ამის შემდეგ, ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი გააუქმა".**

"ეროვნული თანხმობის და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი, გურამ აბსანძის განრისხებას იწვევს "24 საათის" პრესომბუდსმენი ნოდარ ლადარია, რომელსაც ბატონი გურამი მთელი პრესკონფერენციის განმავლობაში **"ლანდარიათი"** მოიხსენიებდა. აბსანძის თქმით, **"ლანდარია აუგს ამბობს იმ ადამიანებზე, რომლებმაც ქაშუეთის ტაძარში ხელი მოაწერეს ეროვნული თანხმობის აქტს".** აბსანძის განმარტებით, "ლანდარია" ამით საქართველოს პრეზიდენტსაც შეურაცხყოფს. სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ ამ საკითხს სასამართლოს გზით გაარკვევს.

*24 საათი*

# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 10 აგვისტოს, გამოტანილ იქნება N20 აუქციონზე, რომელიც შედგება 2004 წლის 11 აგვისტოს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 11 ივლისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

# კოკოშინი ქართულ ტყვიებს სტვენით ცნობს

პირველი გვერდიდან



*საქართველოს მთავრობა ცხინვალში მოწყობილ პროვოკაციას და შემდგომ ისტერიას წინასწარ დადგმულ სცენარად მიიჩნევს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რუსეთის მხრიდან აგორებულ პროვოკაციასა და ისტერიაში გიორგი ხაინდრავასაც ბევრი რამ უცნაურად ეჩვენება.

**"გადაწყდა შერეული პოსტების შექმნა თამარაშენსა და კეხვში. ვითარება მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კოკოშინის ინციდენტმა ვითარება დაამძიმა. თუმცა, ფაქტია, რომ ღამემ ამის შემდეგ წყნარად ჩაიარა. ყველაფერი რომ პროვოკაცია იყო, სხვა რამითაც დასტურდება. სროლიდან რამდენიმე წუთში, კოკოშინმა მომხდარში ქართული მხარე დაადანაშაულა, შემდეგ კი განაცხადა, რომ ტყის მასივიდან ისროდნენ. როგორ დაადგინა, ვინ ისროდა? იმით, რომ ტყვიები ქართულად უსტვენდნენ? ადრე და ახლა, სხვადასხვა დონეზე მიღებული შეთანხმებებით, ოსურ მხარეს შეიარაღებული ფორმირებების და ტექნიკის ყოლის უფლება არ აქვს, გარდა პოლიციისა. დღისით-მზისით ცხინვალში, მძიმე ტექნიკით, კომუფლიაჟიან და იარაღით აღჭურვილ ხალხს ვერ ამჩნევენ და იმას, რომ ტყვიები ქართული იყო, ხელად ანსხვავებენ?"** - გაკვირვებული იყო ხაინდრავა.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთიდან ისტერიული გამოხტომები გაძლიერდა, სააკაშვილის განცხადებაა. **"გაუგებარი რეაქცია მოჰყვა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას, რომ არ დავუშვებთ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთას, რომ არ დავუშვებთ როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო საზღვრის დარღვევას. პრეზიდენტმა ყველა გააფრთხილა, რომ საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე მსგავსი მეკობრული გადაადგილება აიკრძალოს. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, ვისაც უნდა, ჩამოვიდეს. მაგრამ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის აღსაკვეთად შესაბამისი ზომები იქნება მიღებული,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა ზურაბ ჟვანიამ.

უყურადღებოდ არც მოსკოვის მერ იური ლუჟკოვი დარჩენილა. **"საქართველოში დიდი სიამოვნებით ხვდებიან ინვესტორებს, მათ შორის - რუსებსაც. ვისაც ჰაერში ფულის გადაყრა სურს, მისი ნებაა, მაგრამ ნებისმიერი საპრივატიზაციო აქტი კანონიერად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება,"** – აღნიშნა ჟვანიამ.

# ნინო ბურჯანაძე რუსეთის სათათბიროს უტევს

პირველი გვერდიდან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნინო ბურჯანაძე: "დეპუტატის ეს განცხადება ყოველგვარ ცივილურ საზღვრებს სცილდება".*

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ლიდერს ერთ-ერთი რუსი დეპუტატის ურცხვი ტონიც აღიზიანებს, რომელიც ირწმუნება, რომ ყველა პრობლემა გადაწყდება, თუ ის თვითმფრინავი აფეთქდება, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი აშშ-დან საქართველოში უნდა დაბრუნდეს. **"დეპუტატის ეს განცხადება ყოველგვარ ცივილურ საზღვრებს სცილდება,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე უკომენტაროდ არც რუსეთის თავდაცვის მინისტრის იმ განცხადებას ტოვებს, რომელიც საქართველოს საზღვაო აკვატორიაში რუსული ხომალდების მიმოსვლას შეეხება. **"ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ კატერები ისე დადიოდნენ სოჭიდან სოხუმში, თითქოს ეს უკანასკნელი რუსეთის ერთ-ერთი საზღვაო პორტი იყოს,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი და იქვე შენიშნავს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი ვალდებულია იცოდეს, თუ რას ნიშნავს სხვა ქვეყნის ტერიტორია. ნინო ბურჯანაძის თქმით, ბოლო თვეებში რუსეთთან ურთიერთობები თითქოს დათბა, მაგრამ რუსეთის სათათბირომ და ცალკეულმა პოლიტიკოსებმა იმპერიული და საბჭოური აზროვნების სტანდარტები მაინც ვერ გადალახეს. ჰოდა, ბურჯანაძისთვის უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ ხდებოდა ბოლო ხანს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის "გამალებული შეიარაღება" რუსული პასპორტებით.

**"იმდენი გამბედაობაც არ ჰყოფნით, რომ სათათბიროს როგოზინის წინადადება მიაღებინონ, რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესვლის შესახებ,"** - გამბედაობასაც უწუნებს საქართველოს პარლამენტის ლიდერი რუს კოლეგებს.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებიდან ნინო ბურჯანაძის გუშინდელ ბრიფინგს მხოლოდ ტელეკომპანია ნრგ-ს წარმომადგენელი ესწრებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მისთვისაც "ისედაც ყველაფერი ნათელია" და ამიტომ, პარლამენტის სპიკერი შეკითხვებით აღარ "შეუწუხებია". თუმცა, ჩვენი რუსი კოლეგების ასეთი "თავმდაბლობა" რა გასაკვირია - განა, გუშინდლამდე ცნობილი არ იყო, როგორ "ყოველმხრივ შეჯერებულ" ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას რუსული მასმედია?

ნინო ბურჯანაძის თქმით, რუსეთის სათათბიროს მიერ გუშინ მიღებულ განცხადებაზე საქართველოს პარლამენტი სამშაბათს, რიგგარეშე სესიაზე იმსჯელებს.

# ქართულ-რუსული ჭიდილი აფხაზეთის აკვატორიაში

ნინო გომართელი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა თითქოსდა უკეთესობისკენ იცვლებოდა და ამას მიხეილ სააკაშვილიც უსვამდა ხაზს, მაგრამ ქართულ-რუსულ ურთიერთობები, რამდენიმეთვიანი ინტერვალის შემდეგ, კვლავ გამწვავდა. ამის მიზეზი კი ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების სურვილი, საქართველოს შემადგენლობიდან საბოლოოდ გასვლის და რუსეთთან შერწყმის თაობაზე.

მიხეილ სააკაშვილი უკომპრომისოა – ქართველი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოსულ და სოხუმისაკენ მიმავალი გემ "იზაბელა I"-ს ცეცხლს უხსნიან.

საქართველოს პრეზიდენტი მტკიცედ აცხადებს, რომ თბილისის გვერდის ავლით აფხაზეთში შესვლის მცდელობისას ყველა გემის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნება და ჩაიძირება.

**"მინდა, ჩემს სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება რუსმა, ეგრეთწოდებულმა ტურისტებმა მიაქციონ. თუ თქვენ დღეს სოჭიდან აფხაზეთში კატარღებით ჩასვლა გსურთ, შეეგუეთ იმას, რაც გასულ შაბათს მოხდა, როცა ქართველმა მესაზღვრეებმა ხომალდს ცეცხლი გაუხსნეს,"** – თქვა სააკაშვილმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტს უპრეცედენტოდ აფასებს და აცხადებს: **"მსგავსი განცხადებები იმაზე მიუთითებს, რომ თბილისში თანდათან კარგავენ რეალობის შეგრძნებას, რომლითაც თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს".**

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა კი ოფიციალურ თბილისთან ყოველგვარ მოლაპარაკებებს წყვეტს.

ამავე დროს, მოსკოვში მყოფი თვითაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ახბა აცხადებს, რომ აფხაზეთი მზადაა, რესპუბლიკის კურორტებზე დასასვენებლად ჩასული რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოება დაიცვას. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოხუმი თბილისის ძალისმიერი აგრესიის მოსაგერიებლად მზადაა: **"თუ აფხაზეთის მიმართ რაიმე ძალისმიერ მოქმედებას ექნება ადგილი, ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც აგრესიას და ძალითვე ვუპასუხებთ. ამისთვის მზად ვართ,"** – ამბობს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყების პირველი პირი და მიუთითებს, რომ აფხაზეთი რესპუბლიკაში ვინმეს ჩასვლის შესახებ ნებართვას არავისგან აიღებს: **"რაც შეეხება ქონების შეძენის, ვინმეს ჩამოსვლის საკითხებს, ჩვენ არ ვაპირებთ თბილისისგან ნებართვის აღებას და მისი რეაქცია ნაკლებად გვაღელვებს, ეს ჩვენი შიდა საქმეა".**

ამასთანავე, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა აცხადებს, რომ სამინისტროს ძალები აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში შემავალი გემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მზად არიან და საჭიროების შემთხვევაში არმიასაც გამოიყენებენ.

**"ბატონ სააკაშვილს თავის ტერიტორიაზე შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რაც მოესურვება, მაგრამ აფხაზეთთან მას არაფერი აკავშირებს,"** - აღნიშნა ეშბამ.

ოფიციალური თბილისი სოხუმის ყველა განცხადებას აბსოლუტურად უპასუხისმგებლოს, თუმცა რუსეთის მიერ პროვოცირებულს უწოდებს.

**"რაულ ხაჯიმბა, რომელსაც პრეზიდენტობის ამბიცია აქვს, მსგავს არაგონივრულ და წინდაუხედავ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს. მას საქართველოსადმი საკუთარი რადიკალიზმით სურს მოსახლეობის ნდობის მოპოვება, მაგრამ არავინ მიემხრობა, რადგან ხაჯიმბას კონფლიქტის ფაზაში გადაჰყავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და განხეთქილების წინაშე გვაყენებს, ჭუბურხინჯის შეხვედრაზე არმოსვლაც სწორედ ამაზე მეტყველებს,"** – განაცხადა "24 საათთან" ინტერვიუში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, რუსეთის აგრესიული წრეები საქართველოს მიმართ საინფორმაციო შტურმს ახორციელებენ და შექმნილ ვითარებას ხშირად არაადეკვატურ შეფასებებს აძლევენ.

**"ვფიქრობ, რუსეთის გარკვეული წრეები და ვაი-პოლიტიკოსები ეძებენ საბაბს საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულებისათვის, და საერთოდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სიტუაციის გამწვავების ერთ-ერთი მხარე არის სწორედ რუსეთი,"** – აღნიშნავს ხაინდრავა.

## მოკლედ

### მიხეილ სააკაშვილის არაოფიციალური შეხვედრები

აშშ-ში არაოფიციალური ვიზიტით მყოფი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ პენტაგონში ამერიკის თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს შეხვდა. მხარეებმა "წვრთნისა და აღჭურვის" ახალ პროგრამაზე იმსჯელეს, განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის საკითხი. საუბრის ერთ-ერთ მთავარ თემას, ასევე, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენები წარმოადგენდა.

გუშინვე პრეზიდენტი სააკაშვილი "თეთრ სახლში" პრეზიდენტ ბუშის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისს და სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს შეხვდა.

დღეს მიხეილ სააკაშვილი ატლანტაში გაემგზავრება, სადაც აშშ-ს იურისტთა ასოციაცია საქართველოში წარმატებული სასამართლო რეფორმის განხორციელებისათვის მას სპეციალურ ჯილდოს გადასცემს. გარდა ამისა, ატლანტაში დაგეგმილია პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. **ინტერ-პრესი**

### საქართველო "ბლექსიფორის" სარდალი ქვეყანაა

საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალები "ბლექსიფორის" (შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი) ფარგლებში დაგეგმილი სამხედრო-საზღვაო წვრთნებისთვის ემზადება.

საზღვაო ძალების სარდლის ზურაბ ირემაძის ინფორმაციით, ბათუმის საზღვაო აკვატორიაში გუშინ თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინის და რუსეთის ხომალდები შემოვიდნენ. ისინი საზღვაო წვრთნებს 12 აგვისტოდან შეუდგებიან.

წვრთნები, საქართველოს გარდა, უკრაინასა და რუსეთშიც ჩატარდება და საბოლოოდ, 29 აგვისტოსთვის დასრულდება. წვრთნების მიზანს შავი ზღვის ეკონომიკური უსაფრთხოება, ასევე სამაშველო, ზღვაზე ძებნისა და გადარჩენის ოპერაციების განხორციელება წარმოადგენს.

9-10 აგვისტოს წვრთნებში მონაწილე ყველა ქვეყნის საზღვაო თავდაცვის ძალების სარდალი ჩამოვა, 11 აგვისტოს კი ბათუმის სამოქალაქო ნავსადგურში სწავლების საპატიო სტუმართა დღე გაიმართება.

საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალები წელს პირველად არის "ბლექსიფორის" სარდალი ქვეყანა. აღნიშნული სწავლებები, 2001 წლის 2 აპრილის სტამბოლის შეთანხმების საფუძველზე, შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება. **ინტერ-პრესი**

### ნათელაშვილი რუსულ-ქართული მეგობრობის აკადემიის იდეით დაგვიბრუნდა

"საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, მოსკოვში ერთკვირიანი ვიზიტის შემდეგ, გუშინ თბილისში დაბრუნდა. ნათელაშვილი ვიზიტით კმაყოფილია და აცხადებს, რომ საქართველოში კონკრეტული შედეგები ჩამოიტანა.

როგორც თბილისის აეროპორტში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე "ლეიბორისტთა" ლიდერმა განაცხადა, რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე მხარეები შეთანხმდნენ, რუსეთის პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობისთვის სამსაფეხურიანი სისტემა ჩამოყალიბდეს. ნათელაშვილის განმარტებით, ამ შეთანხმების თანახმად, უნდა შეიქმნას რუსულ-ქართული მეგობრობის აკადემია, მოსკოვში საქართველოს მხარდამჭერი კომიტეტი და რუსულ-ქართული პოლიტიკური კონგრესი, რომელშიც რუსეთში რეგისტრირებული ყველა პოლიტიკური ძალა გაწევრიანდება, მათ შორის - "უკიდურესი ფაშისტური და ნაციონალისტურიც".

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მიერ აფხაზეთთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს, ნათელაშვილის შეფასებით, ეს იყო "მოუზომავი განცხადებები, რამაც რუსეთის საზოგადოებრივ წრეებში შოკისებური ეფექტი გამოიწვია". ნათელაშვილი ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, "სანამ განცხადებებს გააკეთებს, ფორმა შეარჩიოს". "ლეიბორისტთა" ლიდერმა გუშინ უკომენტაროდ დატოვა ჟურნალისტების შეკითხვა, წარმოადგენდა თუ არა მოსკოვში ვიზიტის მიზანს პარტიისთვის ფინანსური წყაროების მოძიება. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** „რუსეთს იმედი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებით დაკავებული ამერიკა საქართველოს პრობლემებისთვის ვერ მოიცლის", - აცხადებს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე და დასძენს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის, დსთ-ს ქვეყნებისა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტების მიერ 5 აგვისტოს მიღებული ერთობლივი განცხადება ერთგვარი ზემოქმედებაა რუსეთის პრეზიდენტზე, რათა მან საქართველოს მიმართ უფრო მკვეთრი და აგრესიული პოლიტიკა გაატაროს. ასეთ ვითარებაში ნოდარ ნათაძე საჭიროდ მიიჩნევს, რომ საქართველო დსთ-დან გამოვიდეს, რუსეთის ბაზები კანონგარეშე გამოაცხადოს და რუსეთის სამშვიდობოებს მანდატი შეუწყვიტოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი აფხაზეთს ეწვია და სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ახალი ათონის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა. თბილისთან შეუთანხმებლად ლუჟკოვის ეს ვიზიტი და მისი ეკონომიკური ინტერესები საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააპროტესტა, თუმცა თავად იური ლუჟკოვი აცხადებს, რომ მას პრეზიდენტ სააკაშვილის მიწვევა აქვს, არის საქართველოს და თბილისის საპატიო მოქალაქე და გაუგებარია, ქართული მხარე მის აფხაზეთში ვიზიტს რატომ აპროტესტებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია,
სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დანგრეული გზები

## პოლიტიკური პრობლემების წყარო

პირველი გვერდიდან

კახეთის შემთხვევაში, სადაც უკვე რამდენი წელია, თბილისიდან 70 კილომეტრით დაშორებულ თელავში საავტომობილო მოძრაობა გურჯაანის გავლით ხდება, ეს, თითქოს, ნაკლებ პოლიტიკურ პრობლემებს ქმნის. თუმცა, ცხადია, გომბორის მონაკვეთის აღუდგენლობის ამ მოტივაციით გამართლება დაუშვებელია და ამ პრობლემისადმი მრავალწლიანი მიდგომა სახელისუფლებო უპასუხისმგებლობას მოწმობს.

გაცილებით სერიოზული პრობლემაა სამცხე-ჯავახეთის გზების სავალალო მდგომარეობა, რაც აქტიურად აშველებს ხელს ამ რეგიონის მეზობელ სომხეთთან ინტეგრაციას და რაც უკვე ხელისუფლების არა მარტო უპასუხისმგებლობაზე, არამედ - პოლიტიკური თვალსაზრისით დანაშაულებრივ უგულისყურობაზეც მეტყველებს.

სხვათა შორის, ვალეს მიმართულებით გზის, პრაქტიკულად, არარსებობამ პრობლემები შექმნა, როგორც გახსოვთ, აჭარის კრიზისის დროსაც - სარფის საბაჟოს დროებითმა დაკეტვამ საქართველო თურქეთიდან და თურქეთის გავლით საქართველოში შემომავალი როგორც იმპორტული, ისე ტრანზიტული ტვირთების გარეშე დატოვა.

თუ სარფის საბაჟო მალევე ამოქმედდა და აჭარის პრობლემაც საკმაოდ მოკლე ვადაში მოგვარდა, იგივეს თქმა არ შეიძლება სამხრეთ ოსეთზე. სულ ერთი თვის წინ ერგნეთის პრობლემის მოგვარებას, ანუ რუსეთიდან ერგნეთის გავლით შემომავალი კონტრაბანდული გზის გაუქმებას საქართველოში ახალი პრობლემის წარმოქმნა დაემთხვა: რუსეთიდან საქართველოში შემომავალ უკვე ერთადერთ - სამხედრო გზაზე მომხდარმა მეწყერმა საქართველო თითქმის ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოაქცია რუსეთის მხრიდან "თვითიზოლაციაში", რამაც ქართულ ბაზარზე სერიოზული დეფიციტი შექმნა (საგულისხმოა, რომ საკვები პროდუქციის, სამშენებლო მასალების და ზოგიერთი სხვა პროდუქციის უდიდესი ნაწილი საქართველოში სწორედ რუსეთიდან შემოედინება). ამან კი, თავის მხრივ, კონტრაბანდასთან დაწყებული ბრძოლის შედეგად ისედაც გაძვირებული პროდუქცია კიდევ უფრო გააძვირა და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

## თბილისის მთავრობამ გზებისთვისაც მოიცალა

*თბილისის ქუჩები წლების განმავლობაში "საშიში" იყო მანქანებისთვის. ყველა მოსახვევში ავტომანქანების მფლობელები ორმოების გვერდის ავლას ვერ აუდიოდნენ. ქალაქის მთავრობაში სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ინტერესების გამო, გზებიც ახსენდებოდათ. ყველა აღიარებდა, რომ გზები მისახედია, მაგრამ ფულის დეფიციტს უჩიოდნენ. ყოველწლიურად ბიუჯეტში გზების შესაკეთებლად სიმბოლურ თანხებს მაინც ითვალისწინებდნენ, მაგრამ მისი მიზანმიმართულად გამოყენება ავიწყდებოდათ. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის გზების შესაკეთებლად ქალაქის ბიუჯეტში 32 მილიონ 923 ათას 200 ლარი იყო გათვალისწინებული, აქედან, მიზანმიმართულად 31 მილიონ 052 ათას 100 ლარი დაიხარჯა, მაგრამ გზებს არაფერი შეტყობია.*




სოფიკო ოხანაშვილი

წელს წინასწარი ინფორმაციით, დედაქალაქის მთავრობამ თბილისის გზებისთვისაც მოიცალა და თბილისის საავტომობილო გზების კაპიტალური რეაბილიტაციისათვის ქალაქის ბიუჯეტში 25 მილიონი ლარი გაითვალისწინა, რაც გასული ორი წლის ბიუჯეტებში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულ თანხებს, ერთად აღებულს, დაახლოებით 10 მილიონი ლარით აღემატება. თუმცა, ერთია განზრახვა, მეორე - მისი შესრულება. საინტერესო დეტალია - ექვსი თვის მდგომარეობით, გზების რეაბილიტაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა 25 მილიონი ლარიდან მხოლოდ 4 მილიონ 344 ათას 200 ლარი შეადგინა.

თბილისის საავტომობილო გზების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტის თანახმად, სარემონტო სამუშაოები დედაქალაქის 40 საავტომობილო გზაზე ჩატარდება, რომლის საერთო ფართობიც 484900 მ2-ია. გეგმის მიხედვით, შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებამდე უნდა დასრულდეს. 25 მილიონი ლარიდან, დაახლოებით, ხუთ მილიონ ლარს ქალაქის რაიონები განკარგავენ, დანარჩენ თანხას კოორდინაციას ქალაქის მერია გაუწევს. პროექტის ფარგლებში ქალაქის მთავრობა თბილისის შემოსასვლელების, სანაპიროების, ხიდების, გვირაბების, აეროპორტის ავტოსტრადისა და ხუთივე რაიონში საშუალოდ ხუთი-შვიდი ქუჩის გარემონტებას გეგმავს. საავტომობილო გზების კაპიტალურად შეკეთება კი, გზების საფუძვლიან რეაბილიტაციას მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, კანალიზაცია, ელექტროკომუნიკაციები) ჩათვლით გულისხმობს.

თბილისის საავტომობილო გზების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, დაახლოებით, ერთი თვის წინ დაიწყო. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად, სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია აღმაშენებლისა და ვაჟა-ფშაველას გამზირების მონაკვეთებზე. ამ ეტაპზე, სარემონტო სამუშაოები ერთდროულად 14 ქუჩაზე მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ 10 ქუჩაზე დაიწყება.

როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, უკვე 15-16 წელია, თბილისის ქუჩებში ასეთი მასშტაბის სამუშაოები არ ჩატარებულა. ქალაქის მთავრობა ირწმუნება, რომ ყინული დაიძრა, აღებულ კურსს აღარ გადაუხვევს და თბილისის გზებს სამ წელიწადში მთლიანად გაარემონტებს.

ცნობისთვის, დედაქალაქის გზების საერთო მოცულობა 16 მილიონ 107 ათას 400 მ2-ია.

**P.S.** მოუწესრიგებელი გზების გამო, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკის მოსაპოვებლად საგზაო პატრულს მივმართეთ, სადაც გვითხრეს, რომ მათ უწყებაში აღნიშნული მიზეზით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ცალკე გრაფა არ არსებობს, თუმცა, ის არ გამორიცხეს, რომ შესაძლოა, აღნიშნული მიზეზით რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

### ქალაქ თბილისის საავტომობილო გზების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტი

2004 წლისათვის კაპიტალურად შესაკეთებელი გზების ჩამონათვალი
ქალაქ თბილისის მერია 2004

2004 წლისათვის კაპიტალურად შესაკეთებელი საავტომობილო გზების მონაცემები კვადრატულ მეტრებში

| ტერიტორიული ერთეულის დასახელება | ფართობი |
| --- | --- |
| თბილისის შემოსასვლელები, სანაპიროები, ხიდები, გვირაბები და აეროპორტის ავტოსტრადა; | 110000 მ² |
| დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი; | 60400 მ² |
| გლდანი-ნაძალადევის რაიონი; | 35000 მ² |
| ვაკე-საბურთალოს რაიონი; | 139500 მ² |
| მთაწმინდა-კრწანისის რაიონი; | 22000 მ² |
| ისანი-სამგორის რაიონი. | 118000 მ² |
| ჯამი: | 484900 მ² |

2004 წლისათვის კაპიტალურად შესაკეთებელი საავტომობილო გზების ჩამონათვალი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

თბილისის შემოსასვლელები, სანაპიროები, ხიდები, გვირაბები და აეროპორტის ავტოსტრადა:

| № | ობიექტის დასახელება | ფართობი კვ.მ.-ში |
| --- | --- | --- |
| 1. | დავით აღმაშენებლის ხეივანი | 40000 |
| 2. | მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები ([illegible]) | 20000 |
| 3. | ხიდები და პანდუსები | 10000 |
| 4. | ავტოსტრადა "თბილისი-აეროპორტი" | 40000 |
| | ჯამი: | 110.000 |

## 2004 წლამდე განხორციელებული პროექტები

*საქართველოში სერიოზული საერთაშორისო პროექტები გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ძირითადად, 2000 წელს დაიწყო. ამ დროისთვის საქართველოს გზების უმეტესობა ან ტანკებით იყო "გადახნული", ან - დამეწყრილი და წყალწაღებული. სამწუხაროდ, ამ პროექტების განხორციელების 4 წლის თავზეც ქართული გზები მხოლოდ ქვეყნის მტრების და არაკეთილმოსურნეების გულს ახარებს.*

თამარ ივანიძე

2000 წელს გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის. ამ ხელშეკრულებით განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ საქართველოს საავტომობილო გზების პროექტისთვის, შეღავათიანი სესხის სახით, 40 მილიონი დოლარი გამოუყო. ამ პროექტით ქართულმა მხარემ 30-პროცენტიანი თანადაფინანსების ვალდებულება აიღო.

მეორე მიმართულების მიხედვით, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციითა და გარანტიით ქუვეიტის ფონდმა საქართველოს გზებისა და გარკვეული მონაკვეთების რეაბილიტაციისთვის ასევე შეღავათიანი კრედიტი - 5 მილიონი ქუვეიტური დინარი, ანუ, დაახლოებით, 16 მილიონი დოლარი გამოყო.

ძირითადად, ამ ორი მიმართულებიდან დაფინანსდა საქართველოში 2000-2004 წლებში გზების მშენებლობა.

### კუვეიტის კრედიტი

2000 წლისთვის საქართველომ საზღვარგარეთელ ექსპერტებს განსახილველად წარუდგინა შემდეგი მიმართულებები: თბილისისა და ფოთის შემოსავლელი გზები, ახალციხე-თურქეთის საზღვარი, სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის, ქსანი-აღაიანისა და მარნეული-სადახლოს მონაკვეთები.

უნდა აღინიშნოს, რომ კუვეიტის ფონდის ინტერესებში ვერ მოხვდა საქართველოს სამხრეთის მიმართულება და ქსანი-არაიანის მონაკვეთი. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ის გახლდათ, რომ იმ სატრანზიტო მიზნებს, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, გაცილებით მეტად პასუხობდა სხვა მიმართულებები.

კუვეიტის ფონდმა არჩევანი სამ მიმართულებაზე შეაჩერა: ფოთის შესავლელი გზის დამთავრება - 1-4,8 კმ-ის სიგრძის სახიდე გადასასვლელის აშენებით მდინარე კაპარჭინაზე მალთაყვასთან, სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის 57 კილომეტრის რეაბილიტაცია და მარნეული სადახლოს 4-14 კილომეტრის რეაბილიტაცია.

2000 წლის 7 მარტს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ფონდს შორის. სამი თვის შემდეგ მოხდა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში. საგზაო დეპარტამენტმა ამის შემდეგ გამოაცხადა ტენდერი გზების რეაბილიტაციის პროექტზე და გამარჯვებულად გამოცხადდა ორი ფირმა - შპს "საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია" საქართველოდან და "კომბაინ გრუპი" კუვეიტიდან. მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა სათაო ფირმა შპს "ჯორჯიან კუვეიტ როუდი".

რაც შეეხება თავად ფირმა "კომბაინ გრუპს" – ეს ფირმა შეკვეთებს, ძირითადად, ისეთ ქვეყნებში ასრულებს, როგორებიცაა ინდოეთი, ჩინეთი, ერაყი, კუვეიტი, მალაიზია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, მონღოლეთი, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნები. მაგალითად, ერაყში ამჟამად 400 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს. ფირმა 25 წელია, არსებობს.

პროექტზე ზედამხედველობას, ანუ სამუშაოთა ხარისხზე, მოცულობასა და მიღებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საკონსულტაციო ფირმა "პან არაბ კონსალტინგ ინჯინერსი".

"ჯორჯიან კუვეიტ როუდის" მიერ განხორციელებული პროექტი სამი ლოტით შემოიფარგლა. მისი მთლიანი ღირებულება 23 მილიონ 888 ათასი დოლარით განისაზღვრა. პროექტის თანხები ასე გადანაწილდა - 18 მილიონ 493 ათასი დოლარი უნდა მოხმარებოდა უშუალოდ საგზაო სამუშაოებს. კუვეიტის ფონდი სამუშაოების ჩატარებისას ითხოვდა გზების არსებული პარამეტრების შენარჩუნებას და იმის გათვალისწინებას, რომ მასზე მძიმეწონიანი ტრანსპორტის მოძრაობს.

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობასა და მიღებაზე 1 მილიონ 613 ათასი დოლარი გამოიყო, საგზაო მოწყობილებებისთვის კი - 975 000 დოლარი. შთამბეჭდავია გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა, რაც 1 მილიონ 842 ათას დოლარს შეადგენს. თუმცა, პროექტის შემსრულებლები ირწმუნებიან, რომ ამ მუხლით ჯერ არაფერი გახარჯულა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პროექტის დაწყებიდან 2004 წლამდე დახარჯულია 16 მილიონ 34 ათასი დოლარი. ამ თანხაში შედის 26,8 კმ ასფალტბეტონის სამუშაოები, 37 კმ-ზე დარჩენილია ერთი ფენა ასფალტის საფარი, 6 კმ-ზე - ორი ფენა. დარჩენილია "ასათვისებელი" 2 მილიონ 458 ათასი დოლარი.

### IDA-ის პროექტი

რაც შეეხება განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) პროექტს: ამ პროექტით გათვალისწინებული იყო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი გზის მონაკვეთებისა და ხიდების რეაბილიტაცია, რომელთა საერთო სიგრძე, დაახლოებით, 400 კილომეტრს შეადგენდა. ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი ცაგარელის ინფორმაციით, პროექტის განხორციელება 2001 წელს დაიწყო და მისი დასრულება 2004 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

მსოფლიო ბანკის ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის მაგისტრალური გზისა და და ზუგდიდისა და ახალციხის მიმართულებით მონაკვეთების რეაბილიტაცია. ასევე, თბილისი-ლაგოდეხის, მცხეთა-ლარსის, სენაკი-ლესელიძის, თბილისი-ლარსის, მარნეული-სადახლოს, თბილისი-სამტრედიას, ხაშური-ვალეს, თბილისი-მარნეულის, მცხეთა-ახალციხის, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის და სხვა მიმართულებებით. რაშიც დაახლოებით 47,7 მილიონ ლარი დაიხარჯა. შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის თანადამფინანსებელი ქართული მხარე გახლდათ. ეს სამუშაოები, ძირითადად, ქართულმა ფირმებმა და კომპანიებმა ("თრიალეთი", "ტრანსვესტინჯინირინგი12", "გზამშენი 4", "ზიმო", "საგზაო რაზმი 44", "ხურო", "არქეოპოლისი", "კავკასმაგისტრალი") შეასრულეს.

## როდის მოიყვანენ გზებს წესრიგში?

პირველი გვერდიდან

თქმით, ხულოში უკვე 1-1,5 საათში ჩახვალ, რაც დიდი მიღწევაა. თუმცა, რეგიონში ხელოვნური ნაგებობები დაზიანებულია და ამ მიმართულებით სპეციალური პროექტი ხორციელდება.

დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ბათუმის გვირაბის აგებას სახელმწიფო თავის თავზე ვერ აიღებს - "ამ პროექტს, დაახლოებით, 50 მილიონი სჭირდება. სავარაუდოდ, ინვესტორს მოვიძიებთ და გვირაბი ფასიანი გახდება. ანალოგიურად ვაპირებთ გომბორის გზის ინვესტორისთვის შეთავაზებასაც, თუმცა ეს გაცილებით დიდი თანხა - 100 მილიონამდე დაჯდება," - ამბობს რომან დალაქიშვილი.



*საქართველოში დღესაც ასე აკეთებენ გზების რეაბილიტაციას.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მისი ინფორმაციით, საგზაო ფონდის სახსრებით ახალქალაქში და ნინოწმინდაში 3 კილომეტრამდე გზა გაკეთდება. 600 000 ლარის ღირებულების სამუშაოები ჩატარდა სამხრეთ ოსეთში. თამარაშენის და ქურთას მიმართულებით სამუშაოების ნაწილი ჩატარებულია - ორმოები ამოღებულია, თუმცა პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო დღეს ეს პროცესი შეჩერებულია.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ მილენიუმის პროგრამაში, სახელისუფლებო შეპირებისამებრ, საგზაო პროექტებს განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმობა და ქართული გზების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაც ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

*24 საათი*

## საგზაო ფონდი - ისტორია მეორდება

*საგზაო ფონდმა და დეპარტამენტმა შევარდნაძე-სალარიძის მეგობრობის ხარჯზე მოპოვებული დამოუკიდებლობა და უსაზღვრო უფლებები დაკარგა. ახალმა ხელისუფლებამ საგზაო ფონდს გადასახადების ამკრეფის ფუნქცია გაუუქმა და საგზაო დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაუქვემდებარა. ამჟამად, გადასახადების მობილიზებას ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"საგზაო ფონდი – ეს არის აბსოლუტურად უკონტროლო სისტემა, თავიდან ბოლომდე თავის ჭკუაზე მიშვებული, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე სისტემა, სადაც ხარჯები წინასწარ არ იგეგმება. საგზაო დეპარტამენტი გარიგებულია ფინანსთა სამინისტროსთან, მას არ უნდა ჰქონდეს გადასახადების ამკრეფის ფუნქცია და ა.შ."** – ეს არის იმ პრეტენზიების მცირე ჩამონათვალი, რომელიც საგზაო უწყების მიმართ მისი შექმნის დღიდან არსებობდა.

საგზაო ფონდის შესახებ კანონში საგზაო დეპარტამენტის დაფინანსების წყაროსთვის გადასახადების ამკრეფის ფუნქციის შეთავსებაც თავიდანვე განისაზღვრა. საგზაო ფონდის შესახებ კანონის თანახმად, გადასახადების ამოღებას, შემოსავლების აღრიცხვასა და კონტროლს ორი უწყება – საქართველოს საგადასახადო ინსპექცია და საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებდა. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დღის წესრიგში, სხვა პირველადი ღონისძიებების გატარების პარალელურად, საგზაო ფონდის სამმართველოს, როგორც გადასახადების ამკრეფის, გაუქმებაც აღმოჩნდა. სამმართველოს ლიკვიდაციის შემდეგ, მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების ამკრეფის ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა შეითავსა. საგზაო დეპარტამენტი კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთ ქვეუწყებად გადაკეთდა.

დღეს საგზაო ფონდს, რომელშიც შემოსავლები აკუმულირდება, საგზაო დეპარატამენტის ანგარიშის ფუნქციის გარდა, სხვა ფუნქცია აღარ აკისრია. **"მხარჯველი დეპარტამენტია. დეპარტამენტთან არის ფონდი, სადაც სახსრების აკუმულირება ხდება და ხაზინის გარეშე, ერთი თეთრის დახარჯვაც არ შეიძლება. ეს არის უბრალოდ დასახელება, თორემ ფონდი, როგორც ცალკე სტრუქტურა, აღარ არის,"** - აცხადებს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი.

ცვლილებები განხორციელდა საგზაო ფონდის შევსების წყაროებშიც. კერძოდ, პირველი ივლისიდან აღარ მოქმედებს საერთო-საავტომობილო გზების სარგებლობის ერთპროცენტიანი გადასახადი. დანარჩენი გადასახადები ავტომატურ რეჟიმში მუშაობს, თუმცა, როგორც საგზაო დეპარტამენტში აცხადებენ, ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, მოსალოდნელია რამდენიმე გადასახადის გადაკეთება მოსაკრებლად და რამდენიმეს გაუქმება. კერძოდ, საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის გადასახადი მოსაკრებლად გადაკეთდეს. იმავე წყაროს ცნობით, უკვე საუბრობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადის გაუქმებაზე.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებამდე კი, საგზაო ფონდის შევსების ძირითად წყაროებად ბენზინის აქციზიდან მიღებული 30 პროცენტი, საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადი, ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადი და გვირაბიდან მიღებული შემოსავლები რჩება.

შეგახსენებთ, რომ საგზაო ფონდის გაუქმებასა და შემოსავლების პირდაპირ ბიუჯეტში მობილიზების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის დროს, 2000 წელს დაიწყო. ინიციატივა, რომელიც "სხვადასხვა ინტერესების დამთხვევის გამო", იმ ეტაპზე ვერ განხორციელდა, საგზაო ფონდის გაუქმებასთან ერთად, ამ უწყებაში არსებული გადასახადების გაუქმებას, მთელი შემოსავლების ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებასა და საგზაო პროექტების პროგრამებით დაფინანსებას ითვალისწინებდა. "24 საათისთვის" რამდენიმე ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში მაშინდელი ფინანსთა ექსმინისტრი აცხადებდა, რომ მისეული პროექტის წარმატების შემთხვევაში საგზაო ფონდის ხარჯს, დაახლოებით, ხუთი-ექვსი მილიონი ლარით შეამცირებდა. ნოღაიდელი დარწმუნებული იყო, ის მექანიზმი რომ ამოქმედებულიყო, დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. ჩანაფიქრის მიხედვით, ეს სქემა 2001 წლისათვის უკვე უნდა ამოქმედებულიყო. საგზაო ფონდის გაუქმების ინიციატივის განხორციელებას სხვადასხვა მხარეების ინტერესების დამთხვევა გადაეღობა. საგზაო ფონდის გაუქმების ინიციატივას სხვა, "კონკრეტული ინტერესების არმქონე" მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. მათი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის შესრულება პრობლემის წინაშე არასდროს დგას. ასე რომ, პარამეტრების ფორმალურ შესრულებას ამოფარებულმა საგზაო ფონდმაც, "კარგი ურთიერთობის" წყალობით, დროებით დამოუკიდებელი არსებობა შეინარჩუნა.

ნოღაიდელის მოდელზე დიდი ხნის განმავლობაში აღარ საუბრობდნენ, თუმცა დღეს ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დღის წესრიგში, სხვა პირველადი ღონისძიებების გატარების პარალელურად, საგზაო ფონდის, როგორც გადასახადების ამკრეფის, გაუქმებაც აღმოჩნდა.

ცნობისთვის, საგზაო ფონდისთვის გადასახადების ამკრეფის ფუნქციის ჩამორთმევას ე.წ. მრეწველების საგადასახადო კოდექსიც გულისხმობდა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

## ექსპერტთა აზრით

**ნიკო ლეკიშვილი** – მოწესრიგებული გზები ქვეყნისთვის ყველაზე მთავარი საკითხია. გზა ქვეყნის ყველაზე მთავარი კომუნიკაციაა. გზები თუ მოწესრიგებული იქნება, ჩათვალეთ, რომ ქვეყნის განვითარება გარანტირებულია. რაც შეეხება გზების ახლანდელ მდგომარეობას, საშინელი სიტუაციაა. ახლა ისეთ ადგილზე ვარ, რომ აქ მოსასვლელად ძალიან ცუდი გზების გამოვლა დამჭირდა.

გზების გარემონტება ქვეყნისთვის უპირველესი ამოცანაა. კარგია, ბიუჯეტის ზრდა რომ დაფიქსირდა, აქედან გარკვეული თანხები სწორედ გზების რეაბილიტაციას მოხმარდება. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გზა აინტერესებს, რაც ადრე ნამდვილად არ იგრძნობოდა. ჩვენ ვმუშაობთ იმ მიმართულებით, რომ ევროგაერთიანებიდან და მილენიუმიდან მისაღები მილიარდიანი გრანტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა სწორედ გზებისა და კომუნიკაციების რეაბილიტაციას მოხმარდეს.

**ზურაბ ცქიტიშვილი** – სატრანზიტო ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგი გზა, ტრანსპორტი იქით მიდის, სადაც გზის კარგი ინფრასტრუქტურაა. სატრანზიტო ფუნქცია კი ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ბუნებრივია, იმ ქვეყანაში, სადაც ნორმალური გზებია, სამეწარმეო საქმიანობაც ადვილდება. კარგი გზები ხარჯების გაიაფებას იწვევს - ნაკლები საწვავი იხარჯება, მანქანა უფრო დიდხანს მუშაობს, ნაკლები დანახარჯებია მის რემონტზე და კიდევ უამრავი სხვა ფაქტორი. ბოლოს და ბოლოს, ნორმალური და კარგი გზა ოპერატიული კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

ჩვენი გზების ახლანდელი მდგომარეობა ძალიან სავალალოა. მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ამ მიმართულებით მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო. საუბრობენ არა მარტო ცენტრალურ გზებზე და ტრასებზე, არამედ რაიონების დამაკავშირებელ გზებზეც.

**თენგო შერგელაშვილი** – გზების პრობლემა, ისევე როგორც, ზოგადად, ინფრასტრუქტურის საკითხი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ქვეყნისთვის. გზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატრანზიტო ქვეყნისთვის.

ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის აქამდე გზები პრიორიტეტული არ ყოფილა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მათი ბიუჯეტების ხარჯებს გადავხედავთ. ეს არა მარტო თბილისს, არამედ სხვა ქალაქებსა და სოფლებს ეხება. წლების განმავლობაში ამ მიმრთულებით არაფერი კეთდებოდა. არც წელს კეთდება რამე სერიოზული, თბილისს თუ არ ჩავთვლით.

გზის მნიშვნელობა კომუნიკაციის თვალსაზრისით ძალიან დიდია. ჩვენს რეალობაში კი გზების პრობლემების გამო არა ერთი მოწყვეტილი რეგიონი არსებობს. გზა ქვეყნის იმიჯის მატარებელია, ამიტომ, როცა გზებზე საუბრობენ, მარტო ცენტრალური ტრასებით ან მარტო თბილისის ქუჩებით არ უნდა შემოიფარგლონ. რაიონებში გზების, ფაქტობრივად, 80 პროცენტი თავიდანაა გასაკეთებელი, რაც სერიოზულ სამუშაოს და დაფინანსებას მოითხოვს.

გზების ახლანდელი მდგომარეობა სამარცხვინოა. მართალია, წინა წლებთან შედარებით მეტი თანხაა გამოყოფილი, მაგრამ - მხოლოდ შედარებით. ამიტომ, მე ვერ ვიტყვი, რომ გზები მთავრობისთვის გამოკვეთილად პრიორიტეტულია.

თბილისის ბიუჯეტს თუ გადავხედავთ, იმდენი უაზრო ხარჯია, რომ უკეთესი იქნებოდა, ეს თანხა გზების რეაბილიტაციისკენ მიემართათ. სხვა ქალაქებში ქუთაისში, გორში, ფოთში და სხვა დიდ ქალაქებში არაფერი შეცვლილა, პირიქით - შეიძლება, ამ მხრივ დაფინასება შემცირდა კიდეც. იქ გზები არ არის პრიორიტეტული. რაც შეეხება საგზაო ფონდის ხარჯებს, ამ კუთხით დიდი ცვლილებები არ არის, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ აჭარაშია რამდენიმე გზის შეკეთება დაგეგმილი. არადა, გზას ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. გზა დაკავშირებულია როგორც დროის, ასევე ტექნიკურ ხარჯებთან, რომელსაც მოსახლეობაც და მეწარმეებიც ცუდი გზების გამო გასწევენ.

# პარლამენტში ბიუჯეტის ირგვლივ ისევ ხმაურია

*მიუხედავად 2004 წლის ბიუჯეტის პროფიციტულობისა, ბიუჯეტის გაზრდილი ხარჯები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას არ ჰყოფნის და ამიტომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების განხილვა ხმაურით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, კომიტეტებში ატეხილი ხმაური არსებით ზეგავლენას მთავრობისეულ ბიუჯეტზე ვერ მოახდენს, თუმცა გარკვეული დეტალების გათვალისწინება, საკანონმდებლო ხელისუფლების ინიციატივით, აღმასრულებელ ხელისუფლებას, შესაძლოა, მოუხდეს.*

თამარ ივანიძე

გუშინ საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა. სხდომაზე სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსებაზეც იმსჯელეს. ამ საკითხმა კამათი გამოიწვია. კომიტეტების თავმჯდომარეები და ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ერთმანეთს ეთიკის ნორმების დაცვისკენ მოუწოდებდნენ. პარლამენტარმა ნაზი არონიამ სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსების გაზრდა მოითხოვა. ლაპარაკია სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისებზეც, რომლებიც თავის დროზე გაერო-მ დააფინანსა.

კომიტეტების სხდომას ესწრებოდა სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ლომსაძეც. მისი განცხადებით, სამხარეო ოფისებს დახურვის საფრთხე ემუქრება და იმისათვის, რომ ოფისების დაფინანსების 4-წლიანი პროგრამა გაერო-მ კვლავაც განახორციელოს, სახელმწიფომ მინიმალური თანხა მაინც უნდა გამოყოს და გამოხატოს სახელმწიფოს ნება სახალხო დამცველის აპარატის სამხარეო რეგიონების არსებობასთან დაკავშირებით.

**"რეგიონული ოფისები გაერო-ს თანხებით შეიქმნა. ოფისებში უკვე არსებობს სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორის, კომპიუტერები. იმისთვის, რომ ახალი პროგრამის განახლებამდე მიღწეული დონე შევინარჩუნოთ, სახელმწიფოსგან ელემენტარული თანხებია საჭირო",** - აღნიშნა თემურ ლომსაძემ. პარლამენტარ გიგა ბოკერიას აზრით, სახალხო დამცველის აპარატი, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებს და იგი მკვდარია. **"სახელმწიფომ სახალხო დამცველის აპარატი მას შემდეგ უნდა დააფინანსოს, რაც ეს უწყება, პრაქტიკულად, ხელახლა შეიქმნება",** - აცხადებს ბოკერია.

თავად ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, სახელმწიფო სახალხო დამცველის აპარატს მისი სტატუსის განსაზღვრის შემდეგ დააფინანსებს. რაც შეეხება სამხარეო ოფისებს, მომავალში მათი არსებობის საკითხი გადასაწყვეტია და ამ ეტაპზე კი სახელმწიფო **"არასამთავრობოების მიერ შექმნილ ოფისებს არ დააფინანსებს".**

ფინანსთა მინისტრისადმი პრეტენზიები, ცხადია, ამით არ ამოწურულა. **"პროფიციტული ბიუჯეტის გადანაწილებისას იუსტიციის სამინისტრო დაიჩაგრა,"** - აცხადებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. მისი თქმით, ბიუჯეტიდან ციხეებში სამედიცინო მომსახურებაზე, პრაქტიკულად, არც ერთი თეთრი გამოყოფილი არ არის.

აღნიშნული საკითხის განხილვამაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე სერიოზული კამათი გამოიწვია. თევდორაძის თქმით, იუსტიციის სამინისტროს პროფიციტული ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს მილიონ 700 ათასი ლარი, საიდანაც 300 ათასი ლარი გათვალისწინებულია იმ სამსახურებზე, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში გადადის.

ელენე თევდორაძე მოითხოვს, რომ 300 ათასი ლარი სწორედ სამედიცინო მომსახურებაზე გადანაწილდეს.

თავად ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით კი, თანხები მთავრობაში ყველა მინისტრთან შეთანხმებითაა განაწილებული.

გუშინ ისიც ითქვა, რომ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია პროფიციტული ბიუჯეტიდან 3 მლნ ლარს მიიღებს. აღნიშნული 3 მლნ ლარი სახელმწიფო ტელევიზიას რეფორმების გასატარებლად გამოეყო. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს კი მიაჩნია, რომ თუ სახელმწიფო ტელევიზიის მუშაობის გარკვეული კონცეფცია შემუშავებული არ არის, სასურველია, აღნიშნული 3 მლნ ლარიდან თანხის ნაწილი სხვა საკითხების დაფინანსებას მოხმარდეს.

ხმაური იყო გუშინ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზეც. კომიტეტი, ისევე, როგორც "მემარჯვენე ოპოზიცია", საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეებისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების ბიუჯეტში ასახვას მოითხოვს. გიგი წერეთლის განცხადებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში განხორციელებულ შემცირებებში მოყოლილი თანამშრომლები დამატებით სოციალურ შეღავათს საჭიროებენ, თუმცა, ვინაიდან პარლამენტმა "ორთვიანი კომპენსაციების გაცემის შესახებ" კანონის მოქმედება გადაავადა, სამსახურიდან გათავისუფლებული პირები დამატებით ორი თვის კომპენსაციას ვეღარ იღებენ.

როგორც სხდომაზე მყოფმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განმარტა, ამ კანონის ამოქმედების გადავადება მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისათვის, რადგან მთავრობა ზედმეტ სოციალურ ვალდებულებებს ვეღარ აიღებდა. **"ქვეყანაში სტრუქტურული რეფორმები უნდა გატარდეს, რომელიც თანამშრომელთა შემცირებებსაც ითვალისწინებს. ამას ამჟამად არსებული ფინანსური რესურსებით ვახორციელებთ,"** - აღნიშნა მან.

ჯანდაცვისა და სოციალური სფერო 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტიდან 34,6 მილიონ ლარს მიიღებს. აქედან 27,1 მილიონი ლარი საპენსიო დავალიანებების გასასტუმრებლად დაიხარჯება, 7,5 მილიონი ლარი კი - ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანებების დაფარვას მოხმარდება.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, საპენსიო დავალიანებების დაფარვა ქვეყანაში 2005 წლის ბოლომდე დასრულდება. მომავალ წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანებები. პროფიციტიდან ჯანდაცვისა და სოციალური სფეროსათვის გათვალისწინებული თანხებიდან 4 მილიონი ლარი გარდაცვლილი პენსიონერების დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს, ანუ პროფიციტულ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს.

ფრაქციის ლიდერის დავით გამყრელიძის თქმით, "მემარჯვენე ოპოზიციას" გაზრდილ ბიუჯეტთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა აქვს. თუმცა, უპირველესი ის არის, რომ უბრალო ადამიანებისთვის ცხოვრება გაძვირდა.

**"ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ამბობდა, რომ ადამიანს რაც უფრო მცირე შემოსავალი აქვს, მით უფრო მცირედით ძვირდება მისთვის ცხოვრებაო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მინისტრი ნოღაიდელი სხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა და ბოლომდე კიდევ ვერ გაერკვა, რა ხდება საქართველოში,"** - აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center

# ბიუჯეტის ივლისის თვის პროგნოზის შესრულებას 25 მლნ ლარი დააკლდა

ფინანსთა სამინისტროს ივლისის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 171,43 მლნ ლარს, ხოლო რეალურმა შემოსავლებმა 145,78 მლნ ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდოზე 25,65 ლარით (15 პროცენტით) ნაკლები. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო დეპარტამენტის ივლისის თვის საპროგნოზო მაჩვენებელს დააკლდა 190 ათასი ლარი (0,3 პროცენტი), ხოლო საბაჟოს გეგმიური მონაცემები შესრულებულია 92,4 პროცენტით ანუ 4,2 მლნ –ით ნაკლები. განსაკუთრებულად მძიმე სურათია არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით, ნაცვლად სავარაუდო 43,47 მლნ-ისა, მობილიზებულია მხოლოდ 23,18 მლნ, ანუ 46,7 პროცენტით ნაკლები. მიუხედავად ამისა, წინა თვეების ხარჯზე შესრულებულია შვიდი თვის საპროგნოზო პარამეტრი, მაგრამ ეს არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. აუცილებელია, ფინანსთა სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების საკითხს. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში ბიუჯეტის შევსების მანკიერი ტრადიცია არ ყოფილა და საშუალოდ 6,5 მლნ ლარის მობილიზება სტაბილურად ხდებოდა.

დასაფიქრებელია ერთი მომენტიც - შვიდი თვის საპროგნოზო მაჩვენებლით, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები მხოლოდ 3 და 4-პროცენტიანი გადაჭარბებით მუშაობენ. ამიტომაც, ძალიან საინტერესო იქნება, როგორ შეძლებენ ისინი გაზრდილი ბიუჯეტის ახალი პარამეტრების შესრულებას, რომელიც წლიური საგადასახადო შემოსავლების 8 პროცენტით გაზრდას ითვალისწინებს, ანუ პოტენციურად უკვე სახეზე გვაქვს, შესაბამისად, 5 და 4-პროცენტიანი გარღვევა. აუცილებელი იქნება ადმინისტრირების გაუმჯობესება, რომ იგი რეალურ მაჩვენებელს მიუახლოვდეს.

საინტერესო მდგომარეობაა საპენსიო ფონდის მხრივაც. 29 ივლისის ჩათვლით, საპენსიო დავალიანებები დაფარულია მხოლოდ 77 პროცენტით, უმწეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები - 51 პროცენტით, უმუშევრობის სოც. დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა - 27 პროცენტით, ხოლო მთლიანად ხარჯები დაფინანსებულია 75 პროცენტით. ანუ გასაწევია 77 მილიონი ლარის ხარჯი. მაშინ, როცა ივლისის თვის საპროგნოზო მაჩვენებელი 88 233 მილიონ ლარს შეადგენს.

ამ ფონზე, საინტერესო იქნება საბიუჯეტო "პროფიციტის" საკითხი, რომლის ანალიზსაც შემდეგ კვირაში შემოგთავაზებთ. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმილი დეფიციტი იყო 307 მილიონი ლარი, ხოლო გაზრდილი პარამეტრი მხოლოდ 230,5 მილიონით მეტს შეადგენს. თან, საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონეს თუ გავითვალისწინებთ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, რომელზეც პასუხების გაცემა ფინანსთა სამინისტროს აუცილებლად მოუწევს.

[illegible] შემოსავლების შესახებ

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % | [illegible] | [illegible] | [illegible] | % | 30 ივლისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | [illegible] | 721.71 | 636.47 | 807.90 | 867.49 | 101% | 171.43 | 145.78 | -25.65 | -15.0% | 11.16 |
| I | [illegible] | 509.99 | 435.64 | 559.83 | 611.62 | 109% | 124.19 | 101.63 | -22.56 | -18.2% | 7.21 |
| | [illegible] | 372.92 | 353.78 | 432.87 | 450.28 | 104% | 79.09 | 77.35 | -1.74 | -2.2% | 6.76 |
| | [illegible] | 117.89 | 62.03 | 104.85 | 136.88 | 131% | 42.82 | 18.99 | -23.82 | -55.6% | 0.43 |
| | [illegible] | 2.18 | 4.87 | 4.87 | 2.37 | 51% | 0.00 | 0.21 | 0.21 | 29718.5% | 0.01 |
| | [illegible] | 17.01 | 15.16 | 17.44 | 22.08 | 127% | 2.28 | 5.07 | 2.79 | 122.3% | 0.00 |
| II | [illegible] | 175.01 | 167.91 | 201.01 | 207.07 | 103% | 33.10 | 32.05 | -1.04 | -3.2% | 3.31 |
| III | [illegible] | 33.259631 | 29.07 | 42.66 | 45.00 | 105% | 13.59 | 11.74 | -1.85 | -13.6% | 0.51 |
| | [illegible] | 98.25 | | | 107.07 | | 0.00 | 8.62 | | | 0.00 |
| | [illegible] | 8.08 | | | 8.08 | | 0.00 | 0.00 | | | 0.00 |
| | [illegible] | 19.52 | | | 28.34 | | 0.00 | 8.62 | | | 0.00 |
| | [illegible] | | | | | | 0.00 | 0.00 | | | 0.00 |
| | [illegible] | | | | | | 0.00 | 0.00 | | | 0.00 |
| | [illegible] | 70.65 | | | 70.65 | | 0.00 | 0.00 | | | 0.00 |
| | | | | | | | 0.00 | | | | |
| | [illegible] | 349.54 | 332.49 | 401.51 | 418.37 | 104% | 69.02 | 68.83 | -0.19 | -0.3% | 5.86 |
| | [illegible] | 225.65 | 212.88 | 269.37 | 278.06 | 103% | 56.49 | 52.20 | -4.28 | -7.6% | 4.72 |
| | [illegible] | 119.47 | 66.33 | 109.79 | 142.64 | 130% | 43.46 | 23.18 | -20.29 | -46.7% | 0.43 |




საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის შემოსავლების და ხარჯების ბალანსი

[illegible] [illegible] [illegible]

| № | მაჩვენებლები | [illegible] | ფაქტიური შესრულება | გადახრა | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ნაშთი | 0.0 | 5 396.9 | 5 396.9 | |
| 2 | [illegible] | 167 913.9 | 164 296.9 | -3 617.0 | 98% |
| 3 | [illegible] | 26 600.0 | 30 977.0 | 4 377.0 | 116% |
| 4 | [illegible] | 3 835.0 | 4 152.1 | 317.1 | 108% |
| 5 | [illegible] | 0.0 | 2.4 | 2.4 | |
| 6 | [illegible] | 0.0 | 1.0 | 1.0 | |
| | სულ შემოსავლები | 198 348.9 | 204 826.3 | 6 477.4 | 103% |
| 1 | [illegible] | 144 833.0 | 135 213.3 | 9 619.7 | 93% |
| 2 | [illegible] | 1 775.0 | 1 762.3 | 12.7 | 99% |
| 3 | [illegible] | 9 890.0 | 6 326.7 | 3 563.3 | 64% |
| 4 | [illegible] | 22.2 | 22.2 | 0.0 | 100% |
| 5 | [illegible] | 2 854.3 | 2 072.5 | 781.8 | 73% |
| 6 | [illegible] | 7 125.0 | 6 900.0 | 225.0 | 97% |
| 7 | [illegible] | 25 535.0 | 22 816.0 | 2 719.0 | 89% |
| 8 | [illegible] | 6 707.0 | 5 904.2 | 802.8 | 88% |
| 9 | [illegible] | 7 500.0 | 6 554.5 | 945.5 | 87% |
| 10 | [illegible] | 2 387.5 | 1 685.1 | 702.4 | 71% |
| 11 | [illegible] | 902.0 | 551.2 | 350.8 | 61% |
| 12 | [illegible] | 4 700.0 | 3 592.9 | 1 107.1 | 76% |
| 13 | [illegible] | 460.0 | 382.0 | 78.0 | 83% |
| | სულ ხარჯები | 214 691.0 | 193 782.9 | 20 908.1 | 90% |

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი "ილია ჭავჭავაძე"

პროექტი ილია ჭავჭავაძე

## აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი) ფარგლებში ახორციელებს დაწყებითი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმას. რეფორმის არსი მდგომარეობს სწავლების შინაარსის ძირეულ შეცვლაში, სკოლებისათვის მისაღწევი მიზნების ახლებურად ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. რეფორმა გათვალისწინებულია 2000 - 2012 წლის პერიოდისათვის. პროექტს აფინანსებს მსოფლიო ბანკი (საერთაშორისო განვითარების ასოციაცია). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი (შემდგომში - პროექტის საკოორდინაციო ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ჩამოყალიბება, რომელიც დაარსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის მიზანია, საქართველოს განათლების სისტემა უზრუნველყოს სანდო და ობიექტური მექანიზმებით, რათა ზუსტად და ობიექტურად შეფასდეს და გაკონტროლდეს სწავლების შედეგები. ცენტრის დანიშნულებაა, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა თუ პირს: მთავრობას, სკოლებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა სწავლებისა და სწავლის შედეგებზე. ცენტრი ამ მისიას განახორციელებს თანამედროვე პრაქტიკაში არსებული შეფასების მექანიზმების შექმნითა და გავრცელებით, განათლების სისტემაში მომუშავე პირებისათვის საწვრთნელი კურსების მოწყობით, განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიღებისას კონსულტაციების გაწევითა და საგანმანათლებლო შეფასების სფეროში კვლევით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელია

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელი**

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**

საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ცენტრის საგამომცემლო აქტივობებზე, რაც ითვალისწინებს შემდგომს:

- "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" მიერ შექმნილი მასალების ბეჭდვის უზრუნველყოფა;
- ნაბეჭდი პროდუქციის რესპუბლიკის სკოლებსა და დაწესებულებებში დისტრიბუციის უზრუნველყოფა;
- ზოგიერთი ნაბეჭდი პროდუქციის სავაჭრო საბითუმო ქსელში გავრცელება და ხელშეკრულებების გაფორმება შესაბამის ფირმებთან და ორგანიზაციებთან;
- დასაბეჭდი პროდუქციის ტირაჟების განსაზღვრა მარკეტინგული მოთხოვნის შესაბამისად;
- ანგარიშვალდებულება "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" დირექციის წინაშე;
- ზუსტი ანგარიშების წარმოება მასალების პუბლიკაციის შესახებ;
- სახარჯი მასალიების აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა;
- მენეჯერისათვის ფინანსური ანგარიშების წარმოება;
- ზოგიერთი ნაბეჭდი პროდუქციის კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- მენეჯერის კარგი უნარ-ჩვევები (სასურველია სარეკომენდაციო წერილი)
- თანამედროვე პოლიგრაფიული ტექნიკის ცოდნა და ბეჭდვით საქმიანობაში მუშაობის 3 წლის გამოცდილება;
- კომუნიკაბელობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებების ცოდნა;
- კომპიუტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან (Microsoft Office, Word, Excel, Acces) მუშაობის გამოცდილება.

**ანგარიშვალდებულება:**

საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**

აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები (ქართულად და ინგლისურად) შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ლია მეტრეველი**

**განცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აგვისტო**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# ლიბია - სანიმუშო ქვეყანა ატომური სახელმწიფოებისათვის

ლაშა გიორგიძე

*იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთაც სურთ ჰქონდეთ მასობრივი განადგურების იარაღი, ბევრად აღემატება იმ სახელმწიფოთა რაოდენობას, რომლებიც ასეთი იარაღის ქონაზე უარს იტყოდნენ. მიუხედავად აღიარებული ჭეშმარიტებისა, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ზოგადად მასობრივი განადგურების იარაღს, იგი ბევრი ქვეყნისათვის მაინც სანუკვარ ოცნებად რჩება. სახელმწიფოებს, რომელთაც ასეთი სახის იარაღი უკვე აქვთ, არ სურთ, რომ იგი სხვა ქვეყნების ხელში აღმოჩნდეს. ეს, ერთი მხრივ, გასაგებიცაა, რადგან მასობრივი განადგურების იარაღის გამოჩენამ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, შესაძლოა, რეგიონულ ძალთა ბალანსის დარღვევა გამოიწვიოს და არსებულ უსაფრთხოებას საშიშროება შეუქმნას. მიუხედავად არაერთი ხელშეკრულების, შეთანხმების, კონვენციის თუ დამატებითი პროტოკოლის მიღებისა, ბირთვული იარაღის გავრცელების აბსოლუტური შეჩერება მაინც ვერ ხერხდება. თუმცა, გამოჩნდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ატომური იარაღის პროგრამების სრულყოფაზე უარი განაცხადა.*



*მოამარ კადაფი მსოფლიოს ყველა ურჩი ლიდერისათვის მაგალითი უნდა გახდეს.*

ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფო - ლიბია წლების განმავლობაში დაუფარავად აცხადებდა, რომ რეგიონში ატომური ბალანსის მისაღწევად და ისრაელის აგრესიის გასანეიტრალებლად, მასობრივი განადგურების იარაღი არაბულ ქვეყნებსაც უნდა შეექმნათ. თუკი ისრაელი ყოველთვის უარყოფდა ასეთი იარაღის არსებობას, ლიბიამ საიდუმლოს დაცვა ვერ მოახერხა და საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ინტერესის საგანი გახდა. ქვეყნის ხელმძღვანელობით და მისი მმართველით, მოამარ კადაფით უკმაყოფილო აშშ-მ და გაერო-მ ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაუწესეს ქვეყანას პირველი სანქციები, რამაც მძიმე ეკონომიკური პრობლემები გამოიწვია. დღეს კი ბატონი კადაფი ატომური პროგრამებისაგან გათავისუფლებას თავისი ქვეყნის "პროგრესულ ნაბიჯს" უწოდებს. უფრო მეტიც, ტრიპოლის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ატომური პროგრამების შეჩერების შემდეგ გამოქვეყნდა, ნათქვამია: "საერთაშორისო აზრის გათვალისწინებით, რომელიც ცივი ომის პერიოდში და ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის დროს ჩამოყალიბდა, ლიბია მოუწოდებს რეგიონის ქვეყნებს, რომ ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა მასობრივი განადგურების იარაღისაგან გაათავისუფლონ."

ლიბიის ასეთ ნაბიჯს ბევრი ანალიტიკოსი აშშ-ს ზეწოლას და ერაყში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსთვის ცნობილი იყო დეტალური ინფორმაცია ლიბიის მიერ აკრძალული ნივთიერებების ფლობის შესახებ, რაც, ადრე თუ გვიან, ვაშინგტონის უფრო აქტიურად ჩარევის რეალური საფუძველი გახდებოდა. არსებული ვითარებით, ლიბია მსხვერპლის როლიდან გამოვიდა და თითქოს გზის გამკვლევის ფუნქციაც კი იკისრა. ამ ინიციატივის შემდეგ, ლიბია აღიარებს, რომ მას სურს სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძონ "ყოველგვარი გამონაკლისისა და ორმაგი სტანდარტების გარეშე."

ქვეყნის ხელისუფალი მოამარ კადაფი, რომელიც ატომური პროგრამების ფლობის გარდა, ტერორისტების მფარველობისა და სხვადასხვა სისხლიანი ტრაქტატების მოწყობაში იყო ეჭვმიტანილი, მსოფლიო მშვიდობისათვის მზრუნველ თითქმის ერთადერთ ადამიანად გადაიქცა: "მე მინდა განვაცხადო, რომ ლიბიის სურვილი და მოწოდებაა, მშვიდობის დამყარების საქმეში წამყვანი როლი შეასრულოს," - აღნიშნა ბრიუსელში, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებთან შეხვედრაზე ჩასულმა ლიბიის მმართველმა. თხუთმეტწლიანი პერიოდის შემდეგ, ეს მისი პირველი ვიზიტი იყო ევროპაში, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქვეყნის იზოლაციიდან გამოსვლა, საერთაშორისო სტრუქტურებში აქტიური ჩართვა, ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრობა, რასაც აფრიკის ეს სახელმწიფო მთელი ამ ხნის მანძილზე ჩამოცილებული იყო.

მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე ეკონომიკურმა ფაქტორებმაც იქონია. ნავთობის მარაგით ლიბია მეშვიდე ადგილზეა ოპეკის წევრ ქვეყნებს შორის, თუმცა ამ უმდიდრესი რესურსის გამოყენების საშუალება, სანქციების გამო, არ ეძლეოდა. ეს პრობლემებიც, სხვების მსგავსად, წარსულს ჩაბარდა. დღეისათვის, აშშ-ს ნავთობკომპანიებს ეძლევათ ლიბიაში ჩასვლის საშუალება, სადაც ისინი ერთ დროს 1 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებდნენ დღეში.

ლიბიის სამაგალითო ქვეყნის იმიჯის შექმნაში აშშ-ც აქტიურად ეხმარება, რომელიც ურჩ სახელმწიფოებისთვის ნიმუში უნდა გახდეს, რა წარმატებები შეიძლება მოჰყვეს მასობრივი განადგურების იარაღზე უარის თქმას. თეირანისა და ფხენიანისათვის გაკეთებული განცხადებების დროს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, რომ "ლიბიისაგან მაგალითი სხვა ლიდერებმაც უნდა აიღონ."

ბირთვულმა იარაღმა თითქმის შეუძლებელი გახადა ტოტალური ომი, მაგრამ ამ გარემოებას ძალისა და ძლიერების ფაქტორები, როგორც საგარეო პოლიტიკის მთავარი კომპონენტი, არ გაუბათილებია. ფაქტია, რომ ბირთვულმა იარაღმა მნიშვნელოვნად შეაბრუნა ძალის ვექტორი და იგი ქვეყნების უსაფრთხოების, მათი სტატუს კვოს, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების უმძლავრესი ფაქტორი გახდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად მიბაძავენ ლიბიას სხვა ატომური სახელმწიფოები და ივლიან თუ არა ისინი ლიბიის გაკვალულ გზაზე. ერთი რამ ცხადია, თუკი ატომური პროგრამებისაგან გათავისუფლება ტრიპოლისათვის ზედმეტი ტვირთის მოცილება უფრო იყო და ეკონომიკური განვითარების საწინდარი გახდა, ირანისა და ჩრდილოეთ კორეისათვის ამერიკული აგრესიის შეჩერების ერთ-ერთი ძირითადი იარაღია.

# ერაყი - თითქმის არც ერთი დღე აფეთქებების გარეშე

*ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობიდან წელიწადზე მეტია გასული. უკვე თვეზე მეტია, რაც ქვეყანაში ხელისუფლება დროებითი ამერიკული ადმინისტრაციიდან ერაყელთა ხელში გადავიდა, მაგრამ წინააღმდეგობის მოძრაობა, რომლის მასობრივი ხასიათის აღიარებაც კოალიციის ჯარებს არავითარ შემთხვევაში არ სურთ, კიდევ გრძელდება და დღეისათვის, დასრულების არანაირ ნიშანს არ ამჟღავნებს. თითქმის ყოველდღე ერაყის როგორც შიიტურ, ასევე სუნიტურ ოლქებში აფეთქებების ხმები ისმის. ამ მხრივ, გამონაკლისი თითქმის არ არსებობს.*

როგორც არაბული ტელეკომპანია “ალ ჯაზირა” იტყობინება, ერაყის დედაქალაქიდან 85 კმ-ში მდებარე ქალაქ მაჰავილში, გუშინ, დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ერაყის ოფიციალური წყაროები ადასტურებენ აფეთქების ფაქტს და ამასთანავე, ინციდენტის შედეგად 5 ადამიანის დაღუპვისა და 21 დაჭრილის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. არაბული ტელეკომპანიის ცნობით, როგორც აქამდეც ხშირად მომხდარა, მანქანა პოლიციის განყოფილებასთან იყო გაჩერებული.

დაღუპულთა და დაჭრილთა დიდი ოდენობის მიუხედავად, მაჰავილის აფეთქება გუშინდელი დღის ერაყული ქრონიკის მთავარი მოვლენა მაინც არ ყოფილა. ძალიან “ცხელი” გამოდგა ოთხშაბათ-ხუთშაბათის ღამე ერაყელ შიიტთა წმინდა ქალაქ ნეჯეფში. ქალაქში კიდევ უფრო მეტი სისასტიკით განახლდა ბრძოლები ამერიკელ საზღვაო ქვეითებსა და მოკთად ალსადრის მომხრეებს შორის. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ყველაფერი შიიტი მეამბოხეების მიერ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაზე თავდასხმიდან დაიწყო. თუმცა, ამავდროულად, საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებენ მოკტად ალ სადრის წარმომადგენლები – ისინი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევაში ამერიკელებს პირიქით ადანაშაულებენ.

გუშინდელი ინფორმაციით, ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და მეჰდის არმიას შორის ინტენსიური ბრძოლები ქალაქის ცენტრში, მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კოალიციის ჯარებს ავიაციის გამოყენება დასჭირდათ, მაგრამ დიდი შედეგი არც შვეულმფრენებს მოუტანიათ. ამერიკელებმა იმდენი მოახერხეს, რომ ბრძოლისას ერთი შვეულმფრენი დაკარგეს. სააგენტო “როიტერსი” იტყობინება, რომ შვეულმფრენი მეჰდის არმიის მოხალისეებმა ჩამოაგდეს.

შეგახსენებთ, ივნისის შუა რიცხვებიდან, მას შემდეგ, რაც მოკთად ალ სადრმა წინააღმდეგობის მშვიდობიან მეთოდებზე გადასვლის შესახებ გააკეთა განცხადება, ნეჯეფში შედარებით სიმშვიდე იყო. მაშინ სადრმა ისიც თქვა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი მეჰდის არმია, თანდათანობით პოლიტიკურ მოძრაობად გადაიქცეოდა. ახლა კი მხოლოდ იმაზე ვარაუდი შეიძლება, თუ რა იყო ნეჯეფის ცენტრში მომხდარი ბრძოლების მიზეზი – შემთხვევითი შეტაკება თუ საბრძოლო დაპირისპირების განახლების განზრახვა.

შესაძლოა, ბრძოლების განახლება ერაყის ახალი პრეზიდენტის ღაზი ალ იავარის გადაწყვეტილებამაც გამოიწვია, რომელმაც ოთხშაბათს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღდგენის შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი. ბაღდადში ერაყის ადვოკატთა გაერთიანებასთან შეხვედრაზე ქვეყნის მეთაურმა განაცხადა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა მხოლოდ “გამონაკლისის სახით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში იქნება გამოყენებული”. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყებენ ერაყში განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეების სიკვდილით დასჯას – ერაყის პრეზიდენტი ამბობს, რომ აღნიშნული ბრძანებულების ამოქმედება მხოლოდ საყოველთაო ამნისტიის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ზოგიერთი მიმომხილველი კი უკვე პროგნოზს აკეთებს - დიდი ალბათობა არსებობს, რომ პირველი სიკვდილმისჯილი ერაყის ყოფილი დიქტატორი გახდეს.

# ინგლისელები სამეფო მასხარას ეძებენ

“გვესაჭიროება მასხარა. აუცილებელი პირობა – მხიარული ხასიათი და უქმეებზე მუშაობისათვის მზადყოფნა. ანაზღაურება შეთანხმებით,” - ასეთი განცხადება ხუთშაბათს ბრიტანულ გავლენიან გაზეთ “თაიმს”-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა. ანალოგიური შინაარსის განცხადებას ბრიტანული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ფონდის ინტერნეტ-გვერდზეც შეხვდებოდით. “რატომ არ უნდა აღვადგინოთ ეს ტრადიცია? ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ბრიტანეთში კვლავ უნდა გამოჩნდეს სამეფო მასხარა”, - განუცხადა ჟურნალისტებს “English Heritage”-ის მენეჯერმა ტრეისი ბორმანმა. მართალია, თანამედროვე მასხარა პუბლიკის გამხიარულებას არა სამეფო სასახლეში, არამედ “English Heritage”-ის მიერ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მოწყობილ საზაფხულო დღესასწაულებზე შეეცდება.

კანდიდატთა შერჩევა 7 აგვისტოს, იორკშირის საგრაფოში, სტონლი-პარკის ისტორიულ ფესტივალზე მოხდება. კომპეტენტური ჟიური მაყურებელთა რეაქციების მიხედვით გამოიტანს გადაწყვეტილებას.

შუა საუკუნეებში აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება მხოლოდ მონარქს და მეფის მასხარას ჰქონდა. უკანასკნელნი ოფიციალურად “სულელებად” იყვნენ მიჩნეულნი და მათ ხუმრობაზე გულისმოსვლა კარგ ტონად არ ითვლებოდა. სინამდვილეში, ისინი ხშირად თავიანთ ბატონებზე გაცილებით ჭკვიანები იყვნენ და უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ – მათ გარდა, მონარქს პირში სიმართლის თქმას ვერავინ უბედავდა.

ინგლისის უკანასკნელი მეფე, რომელსაც მასხარა ჰყავდა, მე-17 საუკუნეში ინგლისის პურიტანული რევოლუციის შედეგად თავმოკვეთილი ჩარლზ I იყო. მას შემდეგ სათავეში მოსულმა პურიტანებმა, ყველაფერ მონარქიულთან ერთად, რასაკვირველია, ეს თანამდებობაც გააუქმეს. მართალია, მონარქია ინგლისში ისევ აღსდგა, თუმცა ადრინდელი ტრადიციის რესტავრაცია რატომღაც დაავიწყდათ.

21-ე საუკუნეში მასხარას სიმართლისმთქმელობა თითქმის აღარავის ადარდებს – ამ საკითხში მის ფუნქციებს ოპოზიცია და თავისუფალი მედია თითქოსდა წარმატებით უნდა ასრულებდეს. მაგრამ, ტრადიციებისადმი უსაზღვროდ ერთგულმა ბრიტანელებმა მაინც გადაწყვიტეს “ჯოკერის” დაბრუნება, თუმცა, ამჟამად მას მხოლოდ მოსახლეობის გართობა თუ დაევალება.

# „თეთრების ალ ქაიდა" და „რუსული ჯიჰადი"

ხათუნა გაბიევი



*"ჩვენ თეთრების "ალ ქაიდა" ვართ. ახლა უკვე ჩვენებური ჯიჰადის დრო დადგა. ჩვენ თავს რუსებად არ მივიჩნევთ, უბრალოდ, თეთრი რასის წარმომადგენლები ვართ".*

ახალი გლობალური გამოწვევებით გაჯერებულ მსოფლიოში არც ისტორიული ფესვების მქონე იდეოლოგიები ეცემა დავიწყებას. მეოცე საუკუნის ყველაზე მწვავე პრობლემამ უკვალოდ არ ჩაიარა და ოცდამეერთე საუკუნეშიც ვიმკით მის ნაყოფს. საქმე ამ კონკრეტულ შემთხვევაში 1933-1945 წლებში გერმანიაში გაბატონებული იდეოლოგიის – ნაციზმის, იგივე ჰიტლერიზმის პირმშოს, ნეონაციზმს ეხება, რომელმაც თავი მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე იჩინა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ რადიკალური მოძრაობისთვის ნოყიერი ნიადაგი პოსტსაბჭოთა რუსეთშიც აღმოჩნდა და 50 ნეონაცისტური დაჯგუფება ჩამოყალიბდა, რომელთაგან 17 მარტო სანკტ-პეტერბურგში დაარსდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნეონაცისტური ტალღა მხოლოდ გერმანიასა და რუსეთში არ მოქმედებდა. მისი ანალოგიები არსებობდა სხვა ევროპულ სახელმწიფოებსა და აშშ-ში. ცხადია, როგორც ნაციზმის, ასევე ფაშიზმის შემადგენელი ელემენტები მზარდი ანტისემიტური განწყობა, რასიზმი და ქსენოფობიაა.

პოსტსაბჭოთა რუსეთში ისტორიული ცვლილებების მიზეზით გამოწვეული დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ აშშ-ში მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებულ “დიდ დეპრესიას” თუ შეედრება. სოციალური პირობებით გაბოროტებული საზოგადოების ნაწილი თავის უბედურებაში, მათ შორის, ნაციონალურ-კულტურული ერთიანობის დეზინტეგრაციაში გარკვეულ ჯგუფს ადანაშაულებს. ასეთ “განტევების ვაცებად” კი ხშირ შემთხვევაში ებრაელები, სამუშაოს საშოვნელად ჩასული იმიგრანტები და ე.წ. არათეთრი რასობრივი კუთვნილების ადამიანები იქცევიან ხოლმე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ხანშიშესული თაობა საკუთარი უკმაყოფილების პროექციას პოლიტიკურ პარტიებთან მიკედლებაში ახერხებს, თანაც ასეთ დროს აქცენტი, ძირითადად, კომუნისტურ პარტიაზე კეთდება ხოლმე, ახალგაზრდები კი გაცილებით რადიკალურნი არიან და ფსიქოლოგიური თუ ფინანსური მიზეზებით გამოწვეული კომპლექსებისაგან თავის დაღწევას აგრესიულ “საძმოებსა” და ერთობებში გაწევრიანებით ცდილობენ.

რუსული ნეონაცისტური ორგანიზაციები საკუთარ თავს აპოლიტიზირებულად მიიჩნევენ, ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ არჩევნებისადმი და ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მომხრენი არიან. მათი იდეოლოგიური პროგრამა რუსული ნაციონალური იდენტურობის აღორძინებასა და სხვაზე აღმატებულობას ისახავს მიზნად, რაც ერთი შეხედვით უწყინარ ლოზუნგში - “რუსეთი რუსებისათვის” გამოიხატება. თუმცა, რუსეთში რომ მხოლოდ აპოლიტიკური ნეონაცისტური ორგანიზაციები არ არიან ქსენოფობიით შეპყრობილნი, რუსულ პოლიტიკურ სცენაზე ვლადიმირ ჟირინოვსკის ლიდერობით “ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის” არსებობაც მეტყველებს. მოზომილი რასიზმის ელფერს ატარებენ რიგი სხვა პარტიები, ისეთები როგორიცაა “სამშობლო” და კომუნისტური პარტია, რომლებიც აგრესიულ ნაციონალიზმზე დაყრდნობით მოხერხებულად ათამაშებენ პოლიტიკურ მიზნებს.

უკანასკნელ პერიოდში რუსეთში განსაკუთრებით მომძლავრებული ახალი ექსტრემიზმის საფრთხე უკვე თვალსაჩინოა. ე.წ. “სქინჰედების” მიერ უკვე არაერთი დანაშაული იქნა ჩადენილი. რუსული გაზეთის “იზვესტიას” ცნობებით, უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ნეონაცისტები თავს დაესხნენ სულ მცირე 15 000 ადამიანს. სტატისტიკური შეფასებებით კი ანალოგიური თავდასხმების შედეგად წელიწადში 20-დან 30-მდე ადამიანი იღუპება. თანაც, ყოველწლიურად 30 პროცენტით მზარდი მაჩვენებელი სერიოზული შეშფოთების საფუძველს ნამდვილად ქმნის. ორი თვის წინ ცნობილი ანთროპოლოგის, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერთა კავშირის წევრის ნიკოლაი გირენკოს მკვლელობის საქმე ჯერ კიდევ არაა გახსნილი. იგი დაახლოებით თხუთმეტიოდე გახმაურებულ სასამართლო პროცესზე კონსულტანტად იყო მიწვეული, როგორც ანტირასისტული საკითხებში ექსპერტი. მისი საქმიანობა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ნეონაცისტურ დაჯგუფებებს და ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის წევრებმა იგი ახალი პროცესისათვის მზადებისას საკუთარ სახლში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

როგორც ერთ-ერთი ზემოხსენებული თავდასხმის გამო დაპატიმრებული 22 წლის ახალგაზრდა, ნეონაცისტური დაჯგუფების “შულცი-88” წევრი აცხადებს, “ჩვენ თეთრების “ალ ქაიდა” ვართ. ახლა უკვე ჩვენებური ჯიჰადის დრო დადგა. ჩვენ თავს რუსებად არ მივიჩნევთ, უბრალოდ თეთრი რასის წარმომადგენლები ვართ”. მისივე განცხადებით, “შულცი-88” და სხვა ნეონაცისტური დაჯგუფებები 2001 წლიდან, “ალ ქაიდას” მსგავსად, მცირერიცხოვან დროებით რგოლებს ქმნიან, რომლებიც დასახული მიზნის განხორციელებისთანავე იშლებიან და ხელისუფლებისთვის მოუხელთებელნი ხდებიან.

გასულ თვეს გამოქვეყნებული “საერთო რუსული ცენტრის” გამოკითხვების შედეგებით, გამოკითხულთა 61 პროცენტი მხარს უჭერს ლოზუნგს “რუსეთი რუსებისთვის”, რაც 1998 წლის 31 პროცენტთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია.

ფაქტობრივად, ანალოგიურია ამა წლის მარტში დამოუკიდებელი ანალიტიკური ცენტრის “ფონდი ექსპერტიზას” მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც, რომლის თანახმადაც გამოკითხულთა 60 პროცენტი რუსეთში კავკასიელთა რაოდენობის შემცირების მომხრეა, 51 პროცენტს არც ჩინელთა ყოფნა მოსწონს რუსეთში, ხოლო 42 პროცენტი ანტისემიტური განწყობის აღმოჩნდა.

სანკტ-პეტერბურგის სოციოლოგიის პროფესორის, ნაციზმის საკითხებში ექსპერტის, ვიაჩესლავ სუხაჩევის განცხადებით რუსეთში რასიზმის მზარდი ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. “ეს ძალიან ჰგავს რადიაციას. იგი უხილავია, მაგრამ დაუნდობელი”, - აღნიშნავს ცნობილი ექსპერტი.

## ორი სიტყვით

**სამხრეთი ამერიკა.** პერუს პროკურატურამ ქვეყნის პრეზიდენტის ალეხანდრო ტოლედოსა და მისი ოჯახის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდების გამოძიება დაიწყო. პერუს საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გამოძიების პროცესში ინსპექცია ჩაუტარდება ქვეყნის მეთაურის ოჯახის ქონებასა და საბანკო ანგარიშებს. პროკურატურამ ალეხანდრო ტოლედოსა და მის მეუღლეს ელიან კარპს ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემა უკვე მოსთხოვა. კორუფციაში ბრალდების გამოძიება ნებადართულია თვით ტოლედოს მიერ, რომელიც თანახმაა, პროკურატურამ მისი და მისი ოჯახის წევრების ქონება შეისწავლოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ყირგიზეთი.** ყირგიზეთში ყინულის ზვავის ჩამოწოლის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის რუსეთის ერთი მოქალაქეცაა. გარდა ამისა, 14 ტურისტმა სხეულის დაზიანება მიიღო, თუმცა, მხოლოდ ორი მათგანის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 6 ადამიანი, აქედან 2 რუსია, 3 – უკრაინელი, ხოლო ერთიც - ჩეხეთის მოქალაქე. ზვავი ჩრდილო-აღმოსავლეთ ყირგიზეთში ტიან-შანის მთებიდან ხან-ტენგის მწვერვალიდან ჩამოწვა. ზღვის დონიდან 6 995 მეტრის სიმაღლის მთაზე 50 ალპინისტი ადიოდა. როგორც ქვეყნის განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, “მაშველთა ჯგუფები სამუშაოებს მანამდე გააგრძელებენ, სანამ ყველა დაკარგულს არ იპოვნიან”. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**იემენი.** უკანასკნელ დღეებში, იემენის არმიასა და მეამბოხე რადიკალურ სასულიერო მოღვაწე ალი ჰუსეინ ალ ჰოუსის შეიარაღებულ მომხრეებს შორის შეტაკებების შედეგად, 42 ადამიანი დაიღუპა და 80 დაიჭრა. “ბი-ბი-სი” იტყობინება, რომ დაღუპულთა შორის როგორც სამთავრობო ძალების, ასევე მეამბოხეთა წარმომადგენლები არიან.

ხელისუფლების შეარაღებული ძალები, უკვე თვეზე მეტია, აწარმოებენ ბრძოლებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის 3-ათასიან არმიასთან, რომელმაც თავი მოციქულად, იმამად და ამირად გამოაცხადა. შეიხი ალ ჰოუსი ათი წელია, იემენის ხელისუფლების კრიტიკით გამოდის და ქვეყანაში 1962 წელს გაუქმებული საიმამო მმართველობის ფორმის აღდგენას მოითხოვს. მართალია, სასულიერო მოღვაწის მოწოდებები აშკარად ანტიამერიკული და ანტისემიტური ხასიათისაა, მაგრამ ადგილობრივი წყაროები მის კავშირს “ალ ქაიდასთან” მაინც უარყოფენ. ხელისუფლებამ მეამბოხეთა ლიდერის აყვანისათვის ჯილდოდ 10 მლნ რიალი (დაახლოებით, 55 ათასი აშშ დოლარი) დააწესა. ივნისში დაწყებულ შეტაკებებს უკვე 150 ადამიანი ემსხვერპლა. **24 საათი**

# რეაბილიტაცია ურეკში

*თბილისის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური, მიმდინარე წელს ოცდაოთხი პროგრამის განხორციელებას გეგმავს. უმთავრესი პრიორიტეტია, დაეხმარონ სოციალურად დაუცველ ფენებს, ინვალიდებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვებს და ა.შ*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ნონო ბერელიძე

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა, სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, ურეკის დასასვენებელ კომპლექსში ინვალიდი ბავშვების ერთი ნაკადი გაამგზავრა. ბავშვების ძირითადი ნაწილი დაავადებულია ცერებრალური დამბლით. ამიტომ შეირჩა მათთვის ურეკი. ურეკის ქვიშა შეიცავს მაგნიტს, რომლის არსებობა დადებითად იმოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. კურორტზე დაისვენებს და მკურნალობის კურსს გაივლის 650 ბავშვი, რომელთა ასაკი სამიდან თვრამეტ წლამდეა. ამუშავდება გადაუდებელი ტრამვატოლოგიური დახმარების პროგრამაც. უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე ტრამვატოლოგიური საავადმყოფოს ექიმები მზად არიან, ყოველდღიურად 40-მდე პაციენტს გაუწიონ სათანადო დახმარება. ეს პროგრამა წლის ბოლომდე გაგძელდება და თითოეული დაშავებულის გასინჯვზე 35 ლარი დაიხარჯება.

საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე სოციალურ დარგში ზაზა გოროზია:

**“მიმდინარე წელს სამოქალაქო სამსახურს, წესით, 27 პროგრამა უნდა დაეწყო, მაგრამ რამდენიმე ამოვიღე, რადგან მიმაჩნია, მათზე გამოყოფილი სოლიდური თანხები ვიღაცების ჯიბის გასასქელებლად იყო გამიზნული. მაგალითად, უსახლკაროუთავშესაფროთა პროგრამისათვის 40 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ვფიქრობ, რომ ამ თანხით მნიშვნელოვანი არაფერი კეთდებოდა და არც გაკეთდება - უბრალოდ, ვიღაც მოითბობს ხელს. ჩემთვის უფრო პრიორიტეტულია უსახლკარო ადამიანებისათვის ქალაქგარეთ გავაკეთოთ საერთო თავშესაფარი, სადაც მათ საცხოვრებლად ყველანაირი პირობები ექნებათ. თანხას მრავალშვილიან დედებსაც მოვახმარ. ცხრაშვილიან ოჯახს მივცემ 900 ლარს, ოთხშვილიანებს - 200 ლარს და ა.შ.**

**აგრეთვე, შევაჩერე ახალდაქორწინებულთათვის ცხრალარიანი დახმარება, რაც, საერთო ჯამში, 70 ათასს შეადგენდა. შეჩერება არ იყო ადვილი, რადგან ლობირება ზემოდან ხდება. თანხა კონკრეტულ, სასიკეთო საქმეებს მოხმარდება და ეს უკეთესია, ვიდრე ის, რომ ერთეულებმა მიითვისონ.**

**მალე ამოქმედდება ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამაც. ჩემი აზრით, სამომავლოდ აუცილებელია, თბილისში იყოს უპატრონო მოხუცთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ორ-ორი თავშესაფარი.**

**ამჟამად ჩვენს სამსახურში მიმდინარეობს ბავშთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა. ეს თემა გლობალურია. გეგმები და სამუშაო უამრავია. ვიმედოვნებ, რომ მომავალში უკეთესი დაფინანსება და მხარდაჭერა გვექნება სახელმწიფოსაგან და ბევრ სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ”.**

სამოქალაქო სამსახური სოციალურად დაუცველი ფენების, ინვალიდ ბავშვთა დახმარებაზე ზრუნვის პარალელურად, ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც იწყებს. შემუშავების პროცესშია გეგმა-მონახაზი ცხოვრების ჯანმრთელი წესის დასანერგად მოზარდებში. პირველი სექტემბრიდან შვიდ სექტემბრამდე ერთჯერადი აქცია მოეწყობა ბათუმში. აქციაში მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებისათვის ცნობილი ბევრი სახე - მეცნიერები, მწერლები, მოჭადრაკეები, სპორტსმენები, მომღერლები...

მოზარდებს მათთვის საყვარელი ადამიანები აუხსნიან, თუ რა ცუდ შედეგებამდე მივყავართ ალკოჰოლის, ნარკოტიკების და თამბაქოს მოხმარებას. აქციის ბოლოს ბათუმის ბულვარში გაიმართება გალა-კონცერტი.

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC
COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2004 წლის 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე: *http://www.gfsis.org/cabir*

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ.:25-36-82/83. ელ-ფოსტა: tbilisi@sdc.net

# სწავლა სექტემბერში დაიწყება

დალი კუპრავა

*სასწავლო წლის დაწყებისა თუ შეწყვეტის ტრადიციული გრაფიკი, საბჭოთა კავშირის ინერციით, საზოგადოებისთვის დღესაც სტაბილურობის განცდასთან ასოცირდება. თუ კარგად ვართ - სწავლა იწყება, თუ სწავლა ტრადიციულად არ იწყება, ე.ი. რაღაც გვიჭირს. "სამამულო ომის დროს გერმანელები შედიოდნენ სოფლებში და სწავლა პირველ სექტემბერს მაინც იწყებოდა", - ამბობენ "ძველები". მერე კარგი იყო-მეთქი, - სიტყვა შევუბრუნე ერთს, რომელიც დარწმუნებულია, რომ წელს სასწავლო წელი 20 სექტემბერს იმიტომ იწყება, რომ "რაღაცას აპირებენ".*
*ძალიანაც კარგია, რომ განათლების სამინისტრომ ეს საკითხი "საშვილიშვილოდ" გადაწყვიტა, - ფიქრობს საზოგადოების ნაწილი და მიაჩნია, რომ ბებიის და შვილიშვილის ერთობლივად მოსაწონი გრაფიკი არ არსებობს. მთავარია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იცოდეს მიზეზიც და მიზანიც.*



ვახო ბესელიას ფოტო

*არდადეგები 20 დღით გაგრძელდება.*

2004-2005 სასწავლო წელი 20 სექტემბერს დაიწყება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სასწავლო წელი საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საერთოდ, სექტემბრის მესამე ან მეოთხე ორშაბათს დაიწყება. გუშინდელ ბრიფინგზე ალექსანდრე ლომაიამ 2005-06 და 2006-07 სასწავლო წლების დაწყების დაგეგმილი თარიღებიც აცნობა საზოგადოებას ( 2005 წლის 19 სექტემბერი და 2006 წლის 18 სექტემბერი). სასწავლო წელი სამ მესამედად დაიყოფა. სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გრაფიკში არდადეგების დაწყება-დასრულებაც აღნიშნულია. მაგალითად, ზამთრის არდადეგები 2004 წელს 27 დეკემბერს დაიწყება, 2005 წელს 26 დეკემბერს და 2007 წელს 25 დეკემბერს. რა იყო სტაბილურობის განცდა გეკარგება-მეთქი, - ვეკითხები მშობელს, რომელიც გაღიზიანებულია, - რა წესია სხვადასხვა დროს სწავლის დაწყებაო. კომუნისტური რეჟიმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სასწავლო წლის ერთდროულ დაწყებას, ყოველგვარი ადგილობრივი კლიმატური, თუ გეოგრაფიული პირობების უგულებელყოფით, მკაცრ იდეოლოგიურ ფუნქციას ანიჭებდა. საქართველო კი უკვე დიდი ხანია, დამოუკიდებელი ქვეყანაა. აქ სექტემბრის პირველი ნახევარი ისეთივე ცხელია, როგორც აგვისტოში. სიზუსტით დათქმული რიცხვი ზოგჯერ შაბათ-კვირას, ან სულაც, პარასკევს ემთხვევა და სასწავლო პროცესის რიტმს აფერხებს; საქართველოს რეგიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და ოჯახურ მეურნეობებში მოსწავლეები ინტენსიურად არიან დასაქმებულები; ქვეყნის საკურორტო რეგიონებისთვის საკურორტო სეზონის გაგრძელება 3-4 კვირით მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებს; და კიდევ, საქართველო კომუნისტური მემკვიდრეობის უკანასკნელი ნარჩენებისგან უნდა გათავისუფლდეს და საზოგადოება საჭირო ცვლილებებს შეეგუოს.

სასწავლო წელი ივნისის ბოლომდე გაგრძელდება. სასწავლო წელი 34-დან 38 კვირამდე იზრდება, რამაც შესაძლებელი გახადა, უფრო თანაბრად გადანაწილდეს მოსწავლეზე სასწავლო და ფიზიკური დატვირთვა წლის განმავლობაში, დაბალანსდეს სასწავლო ციკლი და ბევრ სკოლაში შემცირდეს სასწავლო ცვლების რაოდენობა.

# რატომ ასაიდუმლოებენ „ჯენერალ დეზოს" ვიზიტს

ნანა ქადაგიშვილი

*დღეს თბილისის საკრებულო თბილისში წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გაწმენდა-გატარების დიფერენცირებული გადასახადისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეღავათების შესახებ გადაწყვეტილებაში (რომელიც საკრებულომ შარშან დაამტკიცა) ცვლილებების შეტანას აპირებს. როგორც “24 საათისთვის” არის ცნობილი, სხდომა უხმაუროდ არ ჩაივლის. ფრაქცია “მრეწველების” წარმომადგენლები აღნიშული დადგენილების იმაზე სერიოზულ ცვლილებას მოითხოვენ, ვიდრე ამ გადაწყვეტილების ავტორებს აქვთ დაგეგმილი. თუმცა, წინასწარვე ეეჭვებათ, რომ რამე გამოუვათ, რადგან აცხადებენ, რომ საკრებულოს გადაწყვეტილების უკან ისევ “ჯენერალ დეზო” დგას.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*საერთაშორისო სტანდარტებით წყალი უქმად რომ არ იღვრებოდეს, ერთი ადამიანის მიერ დღე-ღამის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობა, მაქსიმუმ, 230-350 ლიტრია.*

შეგახსენებთ, რომ, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, დღეს თბილისში სასმელი წყლის გადახდის დიფერენცირებული ტარიფი მოქმედებს. იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც წყალი გრაფიკით - ანუ 8 სააათზე ნაკლები ხანგრძლივობით მიეწოდება, წყლის გადასახადი 90 თეთრია; ვინც წყალს 24 საათის განმავლობაში იღებს – 1,20 ლარი; ხოლო კერძო ობიექტებისთვის – 1,60 ლარიდან 4,80 ლარამდე. 1,60 ლარს, ძირითადად, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები იხდიან. მაგალითად: ჯანდაცვის სამინისტროს ის ობიექტები, სადაც სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება; განათლების ობიექტები (სკოლები, საბავშვო ბაღები და სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სპორტული კომპლექსები: ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, სპორტის სასახლე, საცურაო აუზები, სპორტული მოედნები); საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტი; საერთო სარგებლობის აბანოები (გარდა საუნებისა) და კვების პროდუქტების: პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტრო, რძის, თევზის, ხორცის, შაქრის, ჩაის, ყავის, რაფინირებული ზეთებისა და ცხიმების, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოები. დანარჩენი კერძო ობიექტები კი, “თბილწყალკანალის” გათვლებით, სასმელი და კანალიზაციის წყლების რეალურ ღირებულებას - 4,80 ლარს იხდიან.

როგორც საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ სადაღაშვილმა გვითხრა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დღეს შესატანი ცვლილებები მხოლოდ შეღავათით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი კატეგორიების გაზრდას ითვალისწინებს. 8 კატეგორიას, ვინც წყლის გადასახადისგან თავისუფლდება, ორი მიწისძვრის შედეგად კომპაქტურად ჩასახლებული დაზარალებულები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრამდე) დაემატებიან. “მრეწველები” კი წყლის რეალური ტარიფის დადგენასა და დიფერენცირებული ტარიფების გადახედვას - ანუ ყველაფრის თავიდან დაწყებას მოითხოვენ. **“რამდენად სამართლიანია, რომ ერთ სტადიონს ნაკლებ გადასახადს ვახდევინებთ, მეორეს კი მეტს... მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი საბიუჯეტოა და მეორე არა? თუმცა, ამას კიდევ თავი დავანებოთ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლები 1,60 თეთრს იხდიან. რა, ალკოჰოლიანი სასმელი აუცილებელი მოხმარების პროდუქტია, ან მათ მწარმოებლებს სხვა კომპანიებზე ნაკლები ფული აქვთ? ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით სწორედ მცირე მეწარმეებს ვახრჩობთ. ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ წყლის რეალური ღირებულებაა გაზრდილი. მოვითხოვთ, ზუსტად გაითვალონ, რა ჯდება კუბური მეტრი წყალი. თუმცა, წინასწარ ვიცით, რომ ჩვენს მოთხოვნებს არავინ გაითვალისწინებს”**, – აცხადებს ფრაქციის “მრეწველების” წარმომადგენელი ბადრი შოშიტაიშვილი, რომელსაც ასეთი პესიმიზმის საფუძველს აძლევს ფრანგული კომპანია “ჯენერად დეზოს” რამდენიმე დღის წინანდელი ვიზიტი. წყლის რეალური ღირებულების დადგენა, ბუნებრივია, ტარიფს შეამცირებს, ეს კი ფრანგულ კომპანიას ხელს სულაც არ აძლევსო, - აცხადებენ “მრეწველები”.

სასმელი წყლის ღირებულების გაზვიადებულ ციფრებზე შარშან ჯერ კიდევ “ლეიბორისტები” აყვირდნენ. “თბილწყალკანალისა” და მსოფლიო ბანკის მიერ 1998 წელს გაკეთებული გათვლებით (რის მიხედვითაც, საკრებულომ ტარიფები დაადგინა), თბილისის ერთი მაცხოვრებელი სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდებისას დღე-ღამეში 800 ლიტრ წყალს ხარჯავს, გრაფიკით მიწოდებისას კი – 600 ლიტრს. ამ მონაცემების მიხედვით, სასმელი წყლის თვითღირებულება 3,60 ლარი გამოდის, კანალიზაციის წყლის ხარჯებთან ერთად კი – 4,80 ლარი.

არსებობს აუდიტორული ფირმა “აუდიტლოჯიქის” მიერ გაკეთებული გათვლები, რომელიც წყალკანალის მონაცემებს სრულიად ეწინააღმდეგება. როგორც ფირმის დირექტორმა ლია კოზმანაშვილმა გვითხრა, მათი გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა დღე-ღამეში 200 ლიტრს წყალზე მეტს არ მოიხმარს. ეს გათვლები მათ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად გაუკეთებიათ. **“საერთაშორისო სტანდარტებით, ერთი ადამიანის მიერ დღე-ღამის განმავლობაში მოხმარებული წყლის ოდენობა, მაქსიმუმ, 230-350 ლიტრია - როცა სახლში წყლის ცენტრალური გამათბობელი აქვთ. საქართველოში ასეთი გამათბობლები აღარავის აქვს, ამიტომ მოხმარებული წყლის ოდენობა 200 ლიტრს ვერანაირად გადააჭარბებს”**, – აცხადებს კოზმანაშვილი. თუმცა, როგორც “თბილწყალკანალში” განმარტავენ, 1998 წელს გაკეთებული გათვლები ქართულ “სტანდარტებს” ემყარება: **“თბილისის მასშტაბით, 140 წერტილი ავიღეთ და გათვლები ისე გავაკეთეთ. უცხოელი ექსპერტები შედეგით გაოგნებულები დარჩნენ. დახარჯული წყლის ოდენობა ერთ სულზე 960 ლიტრს უდრიდა (შემდეგ საკრებულომ საანგარიშო ნორმად 800 ლიტრი დაამტკიცა). ამაში არ შედის წყალმომარაგების გარე დანაკარგები. კერძო ბინებში ხშირად ონკანი მთელი დღე და ღამე ღია აქვთ. სასმელ წყალს მანქანების გასარეცხად და ბოსტნების მოსარწყავადაც იყენებენ. საბჭოთა პერიოდში ამაზე აჯარიმებდნენ კიდეც”.**

როგორც ჩანს, საანგარიშო ნორმად მიღებული 800 ლიტრის რეალურობა ქალქის მერსაც აეჭვებს. იგი წყლის ხარჯის რეალური ოდენობის დასადგენად დიდ დიღომში ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს. ერთ კორპუსზე ინდივიდუალურ მრიცხველებს დააყენებენ და მრიცხველებიანი კორპუსის მობინადრეების მიერ მოხმარებული წყლის ოდენობას უმრიცხველო კორპუსის მაცხოვრებელთა მიერ დახარჯული წყლის ოდენობას შეადარებენ. სანამ ყველაფერი არ დაზუსტდება და “ჯენერალ დეზოსთან” დადებული ხელშეკრულება საფუძვლიანად არ გადაისინჯება, ფრანგულ კომპანიასთან საქმის დაჭერას არ ვაპირებთო, - აცხადებს ქალაქის მთავრობა. თუმცა, თბილისის ხელმძღვანელობის საქციელი დაეჭვების საფუძველს მაინც იძლევა. საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი “ჯენერალ დეზოს” საქართველოში ვიზიტს, რატომღაც, ასაიდუმლოებს. არადა, “მრეწველების” გარდა, “წყალკანალიც” ადასტურებს, რომ ფრანგული კომპანია თბილისში რამდენიმე დღის წინათ იყო ჩამოსული.

# „თავისუფლების ინსტიტუტი" და „კმარა" უკანონობის წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

გორის ადგილობრივი გამოცემის "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორის რეზო ოქრუაშვილის დაკავებისა და მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების ფაქტთან დაკავშირებით, "კმარას" წარმომადგენლებმა და "თავისუფლების ინსტიტუტმა" პროტესტი გუშინ კიდევ ერხელ დააფიქსირეს. ოქრუაშვილის საქმის სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიების მოთხოვნით, "კმარა" და "თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალურ პროკურატურას მიმართავს.

"კმარა" და თავისუფლების ინსტიტუტი" შსს-სა და გენერალურ პროკურატურას იმ პროექტის წარმოდგენას ავალებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება სამართალდამცველთა უკანონო ქმედების აღკვეთა, საკანონმდებლო ორგანოს შესაბამის კომიტეტებს კი სხდომების ჩატარებას და ამ პროექტზე სერიოზულ მსჯელობას სთხოვენ.

"კმარას" და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები, რომელთაც რევაზ ოქრუაშვილის დაკავების ყველა დეტალი შეისწავლეს და სამართალდამცველები ჩადენილ უკანონობაში ამხილეს, არც მართლმსაჯულებას სტოვებენ უყურადღებოდ.

**"სასამართლომ გუშინდელი გადაწყვეტილებით ხელი საკუთარ უმწეობას მოაწერა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში სასამართლო დამოუკიდებელ და სამართლიან გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. მოსამართლის გადაწყვეტილებას განაპირობებს არა კანონი, ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობის პრინციპი, არამედ, ხელისუფლების წარმომადგენლების ან სხვა გავლენიანი პირების პირდაპირი მითითებები და კორუფცია. ჩვენ ვთვლით, რომ სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმა სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს, რათა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობს, მართლმსაჯულების აღსრულებაში ჩაერთოს,"** – ასეთია "თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიცია. "კმარას" ლიდერს თეა თუთბერიძეს კი იმედი აქვს, რომ ისეთი



ვახო ბასილიას ფოტო

*სასამართლო არის არა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, არამედ, რეალურად, პოლიციის დანამატისა და სამართალდამცველთა მითითებების უბრალო შემსრულებელი.*

კვალიფიციური იურისტი, როგორიც ირაკლი ოქრუაშვილია, შეცდომაშია შეყვანილი. "ალბათ, შს მინისტრი ყველაფერს დეტალურად გაეცნობა და პოზიციას შეიცვლის," - ამბობს თუთბერიძე. "კმარას" წევრების აზრით, მომხდარს შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. "ეს არის თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა და მასმედიაზე ანგარიშსწორება" – ასეთ კვალიფიკაციას აძლევენ "ხალხის გაზეთის" რედაქტორზე განხორციელებულ უკანონობას "კმარელები" და მასმედიის შევიწროების და შეზღუდვის სხვა, ბოლოდროინდელი ფაქტებიც მოჰყავთ მაგალითად.

**"ნარკოტიკი და იარაღის "ჩადება" სამართალდამცველთა მუშაობის შეუცვლელ მეთოდად რჩება. ამ უკანონო ქმედებისთვის, რომელსაც ჩვეულებრივი მოქალაქეები ჩვენს ქვეყანაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან, ჯერ არც ერთი პოლიციელი არ დასჯილა. დაუსჯელობის სინდრომი, რომელმაც ბოლო დროს სამართალდამცავი სისტემა მოიცვა, ამ სახიფათო ტენდენციის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს. რეზო კლდიაშვილი, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე, რომელმაც პირადად დაგეგმა და განახორციელა გაზეთის რედაქტორის დაპატიმრება, აცხადებს, რომ 20 წელია პოლიციაში მუშაობს და ნარკოტიკისა და იარაღის სამართალდამცველების მიერ "ჩადების" არც ერთ ფაქტს არ იცნობს. იმედი გვაქვს, ის იქნება პირველი, ვინც მსგავსი დანაშაულისთვის კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება,"** - აცხადებს "კმარას" ლიდერი თეა თუთბერიძე. მისი და მისი მეგობრების აზრით, რაც დღეს ადამიანის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით ხდება, უმაღლესი პოლიტიკური პირების მხრიდან არის "წახალისებული".

"თავისუფლების ინსტიტუტი" და " კმარა" სამართალდამცველების მიერ დანაშაულებრივი დაკავების გამოძიებას, ორგანიზატორთა და შემსრულებელთა გამოვლენას და დასჯას მოითხოვენ. მათი აზრით, შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის უფროსი რეზო კლდიაშვილი არა მხოლოდ თანამდებობიდან უნდა დაითხოვონ, არამედ მის, როგორც საზოგადოებისთვის საშიში ბოროტმოქმედის, წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

ერთი სიტყვით, "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "კმარას" წევრები კატეგორიულად ირწმუნებიან, რომ სამართალდამცველების მხრიდან "ნარკობარონად" გამოცხადებული რედაქტორის წინააღმდეგ საქმე "შეთხზულია" და მისი დაკავება "ხალხის გაზეთში" ბოლოდროინდელ მწვავე პუბლიკაციებსა და წარმოებულ ჟურნალისტურ გამოძიებას უკავშირდება. თუმცა, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "კმარელებმა" განაცხადეს, რევაზ ოქრუაშვილის დაკავება-დაპატიმრების ამბავი, უბრალოდ გახმაურდა. მსგავსი გაუხმაურებელი შემთხვევები კი უამრავია.

**"ბოლოს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ სასამართლო არის არა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, არამედ, რეალურად, პოლიციის დანამატისა და სამართალდამცველთა მითითებების უბრალო შემსრულებელი. ამის დამადასტურებელ მაგალითად მხოლოდ ისიც კმარა, რომ სასამართლოები ნებისმიერ შემთხვევაში წინასწარ სამთვიან პატიმრობას იყენებენ, მაშინაც კი, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. გადაწყვეტილება სრულიად გაუმართლებელია რევაზ ოქრუაშვილის შემთხვევაშიც. ეს ადამიანი საზოგადოებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. არ არსებობს არც მისი გაქცევის ან მართლმსაჯულებისგან თავის არიდების საფრთხე. ასეთ შემთხვევებში, სასურველია, მართლმსაჯულებამ ალტერნატიული მეთოდები გამოიყენოს,"** - ასეთია "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრთა პოზიცია.

# ქართველებზე განაწყენებული აფხაზები ოთხმხრივ შეხვედრაზე უარს ამბობენ

*ჭუბურხინჯის გუშინდელი შეხვედრა ტრადიციული - ოთხმხრივი - არ აღმოჩნდა. ქართველებზე განაწყენებულმა აფხაზურმა მხარემ მასში დემონსტრაციულად არ მიიღო მონაწილეობა. შესაბამისად, მოლაპარაკებების მაგიდასთან მხოლოდ ქართული, რუსული მხარეებისა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების წარმომადგენლები ისხდნენ და შეხვედრაც საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა.*

არადა, ქართულ მხარეს აფხაზური მხარისთვის მთელი რიგი პრეტენზიების ნუსხა ჰქონდა გამზადებული. **"დღევანდელ შეხვედრაზე აფხაზური მხარის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობამ, შესაძლოა, მომავალში კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვა გამოიწვიოს,"** - ასე შეაფასა ჩვენთან საუბრისას აფხაზური მხარის გუშინდელი პროტესტი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის მოადგილემ, ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრების მონაწილემ მებრძოლი ჭკადუამ.

როგორც ქართული მხარის წარმომადგენელმა პროკურორმა განგვიმარტა, აფხაზურმა მხარემ შეხვედრაში მონაწილეობაზე არდასწრების მოტივად აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში მომხდარი ინციდენტი, კერძოდ, ქართული სასაზღვრო კატერის მიერ უნებართვოდ შემოსული გემისთვის ცეცხლის გახსნა დაასახელა. როგორც ცნობილია, ამ ინციდენტს მოჰყვა სოხუმის ხელისუფლების განცხადება "ქართველებთან ყოველგვარი მოლაპარაკებების შეწყვეტის" თაობაზე. როგორც გაირკვა, აფხაზურმა მხარემ მითითება, რომ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე არ გამოცხადებულიყო, უშუალოდ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბასგან მიიღო.

შეხვედრის მონაწილეებმა, აფხაზური მხარის დაუსწრებლად, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება მაინც მიმოიხილეს. რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, საერთო ჯამში, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება მშვიდად და სტაბილურად შეაფასეს.

ჭუბურხინჯის გუშინდელ შეხვედრაზე საუბარი შეეხო რამდენიმე დღის წინ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, რუსეთის სამშვიდობო ძალების 209-ე საგუშაგოსთან მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც 15-მდე რუსმა მთვრალმა ჯარისკაცმა უმიზეზოდ სასტიკად სცემა ქართველი მამა-შვილი ნოდარ და ბენო ეხვაიები. შეგახსენებთ, ინციდენტის შემდეგ, ნაცემ მამა-შვილთან საგუშაგოს ერთ-ერთი ოფიცერი მივიდა და მათ მომხდარის შესახებ დუმილის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა შესთავაზა, თუმცა, რუსმა ოფიცერმა უსამართლოდ ნაცემი ქართველი მამა-შვილისგან კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ, მართალია, რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ ინციდენტის მონაწილე ჯარისკაცებს აუცილებლად დასჯის, თუმცა ქართული მხარე მომხდართან დაკავშირებით უმკაცრესი ზომების გატარებას, კერძოდ, ამ ჯარისკაცების რუსეთის სამშვიდობო ძალებიდან სასწრაფოდ გაძევებას ითხოვს.

მამა-შვილ ნოდარ და ბეჟან ეხვაიების ცემის ფაქტის გამოძიება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ქართული მხარის წარმომადგენლის, ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, გაერო-ს მისია და რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობა მზად არიან, 108-ე საგუშაგოსთან მომხდარ ფაქტზე იმსჯელონ, თუმცა ის გარემოება, რომ აფხაზები ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის მუშაობაში აღარ მონაწილეობენ, მოკვლევის დაწყებას აფერხებს.

**"საგამოძიებო ჯგუფში საქართველოს, გაერო-ს, რუს სამშვიდობოთა და აფხაზების წარმომადგენლები შედიან. ერთი მხარის უარის შემთხვევაშიც კი ჯგუფი ვერ იმუშავებს,"** - აცხადებს ჯაფარიძე.

*24 საათი*

# ცოლის მკვლელს 11-წლიანი პატიმრობა ელის

*ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ ახლახან, მეტად მძიმე დანაშაულის განხილვა დაასრულა. საუბარია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში ჩადენილ მკვლელობაზე. სოფელში მცხოვრებმა სევერიან ცხვარაძემ მეუღლე ნანა ახალაძე ჯერ წალდის თავში ჩარტყმით მოკლა, შემდეგ კი ერთი კვირის მანძილზე საწოლზე ეწვა, საჭმელს სთავაზობდა, და როგორც ცოცხალ ადამიანთან, ისე ურთიერთობდა.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ცოლ-ქმარს სევერიან ცხვარაძესა და ნანა ახალაძეს შვილი არ ჰყავდათ და ისინი სოფელში მარტო ცხოვრობდნენ. სევერიან ცხვარაძე ლოთობდა იყო და ბოლო 10 წლის მანძილზე ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე იმყოფებოდა. ალკოჰოლური სასმელების მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით მისი მეუღლეც გამოირჩეოდა და მომხდარი ტრაგედიის საფუძველიც სწორედ ეს გახდა.

მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სევერიან ცხვარაძემ მეზობელს საკუთარი ცემენტი 20 ლიტრ ღვინოში გადაუცვალა. ღვინო კი სახლში მიიტანა, შინ დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მეუღლეს ღვინის მცირე ნაწილი, სულ რამდენიმე ჭიქა დაულევია, დანარჩენი სადღაც გადაუმალავს და თავად საწოლზე წამოწოლილა. ამან სევერიანი გაანაწყენა, იქვე საწოლთან დადებულ წალდს ხელი წამოავლო და დაწოლილ მეუღლეს თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა. ქმარს მოკლული ცოლი რამდენიმე დღე იმავე საწოლზე ესვენა, ყოველდღიურად მისთვის საჭმელი და ყავა მიჰქონდა, მეტიც, გარდაცვლილთან ერთად სადილობდა და მეუღლეს, როგორც ცოცხალს, ისე ესაუბრებოდა. ასე გრძელდებოდა ერთი კვირა, ხოლო შემდეგ, როცა ცხედარი გაიხრწნა და სახლშიც სუნი დადგა, ცხვარაძემ მომხდარი სოფლის გამგებელს უამბო და თან გვამის დამარხვაში დახმარება სთხოვა. ზემოთ აღნიშნულს სევერიან ცხვარაძე იმით ხსნიდა, რომ მკვლელობის შესახებ ამ პერიოდში არაფერი ახსოვდა.

ფაქტის გახმაურების შემდეგ, მკვლელი დამნაშავე მალევე დააკავეს. სევერიან ცხვარაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. თავდაპირველად, პატიმარი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ მიიჩნევდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ოზურგეთის სასამართლომ მას 11 წლით პატიმრობა მიუსაჯა, განაჩენით უკმაყოფილო დარჩა და თავისი უდანაშაულობის მტკიცებას ქუთაისის საოლქო სასამართლოში შეუდგა. სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებით ის ამტკიცებდა, რომ მეუღლე უყვარდა და მას სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა. ცხვარაძემ პროცესზე მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლა და წარდგენილი ბრალდების შეცვლა მოითხოვა. სხდომაზე დაკითხული ექსპერტ-სპეციალისტების ჩვენებით გაირკვა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში და შემდეგაც ის შერაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საბოლოოდ, საოლქო სასამართლო კოლეგიამ, კობა გოცირიძის თავმჯდომარეობით, მიიჩნია, რომ სევერიან ცხვარაძის მიმართ შეფარდებული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია. ამიტომაც, ბრალდებულის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და სევერიან ცხვარაძეს ოზურგეთის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი 11 წელი კვლავ უცვლელად დარჩა.

*მოკლედ*

## შს მინისტრი ქვეშევრდომებს აჯილდოებს

ცხინვალის რეგიონის სოფელ ქურთის შს განყოფილების თანამშრომლები შინაგან საქმეთა მინისტრმა ოპერატიულობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის 500-500 ლარით დააჯილდოვა. ფულადი ჯილდოები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომუშავე პოლიციელებმა რუსული იარაღის დაკავებისთვის მიიღეს. საქმე ეხება ცოტა ხნის წინ, კეხვის საგუშაგოზე ავტომანქანა "გაზ-2705" დაკავების ფაქტს. შეგახსენებთ, დაკავებულ ავტომანქანაში, "ფაგოტის" ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები და მათი გასასროლი დანადგარი აღმოჩნდა.

ჯილდოზე წარდგენილნი არიან ქურთის შს განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ზურაბ რაზმაძე, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტები გიორგი ზოზიაშვილი, გიორგი ბაბუციძე, ზაქარია ოფინაშვილი, ვასილ ბაბუციძე, დავით გოგიძე და სხვები.

*24 საათი*

## კოლონიებში პატიმრებისთვის აკრძალული ნივთები კვლავ ბლომად არის

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოულოდნელი ჩხრეკები გრძელდება. იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმმა და სასჯელაღსრულების აპარატის თანამშრომლებმა გუშინ ჩხრეკა რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ჩაატარეს. ჩხრეკა დილით ადრე დაიწყო და დაახლოებით სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩვენი ინფორმაციით, გაიჩხრიკა 800-მდე პატიმარი და მათი საცხოვრებელი ბარაკები. ამოღებულია 20-მდე დანა, სხვა ბასრი და ბლაგვი რკინის საგნები, 6 ჩაქუჩი, რკინის საჭრელი ხერხი, 10-მდე მობილური ტელეფონი, ერთჯერადი შპრიცები და 10 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი "ბრაგა". მჩხრეკავებს ამჯერად ცეცხლსასროლი იარაღი არ აღმოუჩენიათ.

*24 საათი*

## ზუგდიდის საგზაო პოლიციის თანამშრომლები ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან

ზუგდიდის შს სამმართველოს საგზაო პოლიციის 80-მდე თანამშრომელმა გუშინ გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართა. საგზაო პოლიციელთა პროტესტის საფუძველი მათი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახდა.

საგზაო პოლიციელები აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში მუშაობა ე.წ. ყაზარმულ რეჟიმში, ფრონტისპირა რეგიონში უწევდათ, ამდენად, მათი "ქუჩაში გაგდება უსამართლობაა".

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის დავით ჭკადუას განცხადებით, სამმართველოში თანამშრომლებს პირადობის მოწმობების დაბრუნება მოსთხოვეს, რაც კანონის აშკარა დარღვევაა, რამდენადაც სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ამონაწერი მათთვის არავის გაუცვნია. გარდა ამისა, ჭკადუას განცხადებით, 1998 წლიდან დღემდე დაგროვებული სახელფასო დავალიანება, დაახლოებით, 30 ათას ლარს შეადგენს, თითოეული თანამშრომლისთვის კი საშუალოდ 800 ლარია გასაცემი.

ზუგდიდის პოლიციის აპარატის უფროსი გურამ შულაია თვლის, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნები სამართლიანია და აცხადებს, რომ საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაწყვეტაზე უკვე მუშაობს. შულაია გამოცდილი პოლიციელების ქუჩაში დარჩენის შესაძლებლობას გამორიცხავს და ირწმუნება, რომ სამინისტროში უკვე გაიგზავნა რამდენიმე მოთხოვნა ყოფილ საგზაო პოლიციელთა დასაქმებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საგზაო პოლიციელები ფართომასშტაბიანი, უფრო მწვავე ხასიათის აქციების გამართვით იმუქრებიან.

*ინტერ-პრესი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** ფინანსურმა პოლიციამ ისანში მდებარე ბაზრობა "შავი გედის" ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის მუხლით. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, საგადასახადო ინსპექციასთან ერთად ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ბაზრობის ხელმძღვანელობა 2003 წლის ივნისიდან 2004 წლის ივლისამდე, საგადასახადო ინსპექციაში ყოველთვიურად წარდგენილ დეკლარაციაში ხელოვნურად ამცირებდა ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობას, რითაც ბიუჯეტს დიდი ოდენობით გადასახადებს უმალავდა. დეკლარაციებში მითითებული იყო 10-12 სავაჭრო ჯიხური და 20-22 დახლი, მაშინ, როცა ბაზრობის ტერიტორიაზე 16 ჯიხური და 77 სავაჭრო დახლი ფუნქციონირებდა. "შავ გედს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 60 ათასი ლარის გადახდა დაერიცხა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში გუშინწინ ღამით შეიარაღებული ინციდენტი მოხდა. 70 წლის ტიტიკო ბუცხრიკიძე საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. დაზარალებულმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა და განაცხადა, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მას მეზობელმა, ვაჟა ციმაკურიძემ მიაყენა. დანაშაულში ეჭვმიტანილი, რომელიც ადრე ნასამართლევია, ამჟამად მიმალვაშია. მისი სახლის ჩხრეკისას სამართლადამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატი ამოიღეს ერთი მჭიდითა და 25 საბრძოლო ვაზნით. ციმაკურიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ძებნა გამოცხადდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში, მდინარე ცხენისწყლის კალაპოტში გუშინ დილით ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. მოგვიანებით დადგინდა, რომ გარდაცვლილი ხონის რაიონის სოფელ ღვერში მცხოვრები, 22 წლის გურამ კობერიძეა, რომელიც მიმდინარე წლის 11 ივნისიდან უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა და იძებნებოდა. გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის საბჭოში ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება მიმდინარეობს, რომელიც 17 აგვისტოს დასრულდება.

გამოცდა სამოქალაქო, სისხლის და საერთო სამართალში ცალ-ცალკე ჩატარდება. მასში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება 17 ივლისიდან დაიწყო და საბჭოში უკვე 900 იურისტის განცხადებაა შესული. აქედან, სისხლის სამართლის ადვოკატის კვალიფიკაციის მიღების მსურველია 270 იურისტი, სამოქალაქო სამართლისა - 252, ხოლო საერთო სამართლის - 380. გამოცდები 18 სექტემბრიდან დაიწყება და რამდენიმე ტურად ჩატარდება. იურისტებს ტესტის 100 კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. 7 სწორი პასუხი დადებით ქულად ჩაითვლება. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები შარშან ზაფხულში დაიწყო და მისი ორგანიზატორი, ჯერჯერობით, იუსტიციის საბჭოა, ხოლო გამოცდაჩაბარებული ადვოკატებისგან ასოციაციის შექმნის შემდეგ გამოცდას თავად ასოციაცია მოამზადებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის ყოფილი პროკურორის ბორის მჭედლიძისა და მისი მოადგილის დავით გერმანოზიშვილის ადვოკატებმა მათი დაცვის ქვეშ მყოფთა პატიმრობის სანქცია თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

გერმანოზიშვილსა და მჭედლიძეს სამთვიანი პატიმრობა თბილისის კრწანის-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 1 აგვისტოს შეუფარდა. ამავე საქმეზე დაკავებული გამომძიებელი ზვიად უზნაძე კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლდა. პროკურორსა და მის მოადგილეს გამოძიება ქრთამის აღებაში ადანაშაულებს. ადვოკატების თქმით, საქმეში ამ ბრალდების მტკიცებულება არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

[illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სადღეისო მოწვეულ კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შედგენისთვის:

[illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible] "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი. [illegible]

[illegible] "რუსთავი 2" [illegible]

[illegible]

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## მუსიკა ყველასათვის



ჯორჯ დიუკი თბილისს სექტემბერში ეწვევა.

B2

## შეჩერებული წამი



მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი, ფრანგი ფოტოგრაფი ანრი კარტიე ბრესონი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.

B3

## კოსმოსური ტურიზმის პიონერი ოქტომბერში გამოვლინდება



B6

# ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ

*ელიკო წიკლაური, თხუთმეტი წელია, გერმანიაში ცხოვრობს. ბუნებით აქტიური ქალბატონი უცხო ქვეყანაში მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა; არის ქალაქ ფრაიბურგში 1991 წელს დაარსებული ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება "მედეას" თანადამაარსებელი, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონის "გერმანიის ქალთა კავშირის ხელმძღვანელი", გერმანიაში ჩასული თანამემამულეების კეთილი მასპინძელი. შორეულ გერმანიაში საქართველოსთვის ცხოვრობს და იღვწის. შეხვედრისას ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ და ქართულ-ოსურ კონფლიქტსაც შევეხეთ.*



ლელა მარგიანი

ელიკო წიკლაური ყაზბეგში დაიბადა. საშუალო განათლება მიიღო ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში.

- ჩემი თაობის ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებელი ოსების უმრავლესობამ საკუთარი ენა არ იცოდა; გარუსებულები იყვნენ. ოსური კულტურა, ენა, ადათ-წესები სწორედ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ქართულ გარემოში იყო შენარჩუნებული, - იგონებს ქალბატონი ელიკო, - კონფლიქტის შემდეგ სამხრეთ ოსეთიდან გადმოსულმა ოსებმა დაინახეს, რომ ვლადიკავკაზში ოსური სული დაკარგული იყო. ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ახალგაზრდობა მხოლოდ რუსულად საუბრობდა, ოსური ენა, ხანდახან, სადღეგრძელოების სათქმელად თუ დასჭირდებოდათ. სასკოლო პროგრამებში ერთ დროს დაშვებული ოსური ენის ფაკულტატური სწავლებაც მალე დავიწყებას მიეცა. მაშინ ცხინვალიდან გადმოსულმა ოსებმა თავიანთი შვილები ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში მიიყვანეს. ეს სკოლა, ას წელზე მეტი ხანია, რაც არსებობს. სკოლის დირექტორი არის შესანიშნავი ქალბატონი ეთერ ფიცხელაური. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სკოლას შეალია და ახლაც ზრუნავს იქ მოსწავლე ოს ბავშვებზე; შესანიშნავი არქივი შექმნა სკოლისა, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს. მართალია, ამჟამად ვლადიკავკაზში ქართველები ცოტანი დარჩნენ, მაგრამ, მისი წყალობით, სკოლა მაინც არსებობს,

ქართულ-ოსური კონფლიქტი ჩემი განსაკუთრებული ტკივილია, რადგან იმ გარემოში გავიზარდე, ბევრი მეგობარი და ნათესავი მყავს. ვცდილობ, ყველანაირად ხელი შევუწყო შერიგებას, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვი - ჩვენს გადარჩენას, რადგან აფხაზები, ჩერქეზები, ადიღები, ოსები, ყაბარდოელები, ჩეჩნები კავკასიის ეთნო-კულტურული უნიკალურობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილნი არიან. დღემდე ამ კულტურებმა ქართული კულტურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მადლითა და მხარდაჭერით მოაღწიეს. განა აქ არ შეიქმნა ყველაზე დიდი და საფუძვლიანი შრომები ამ ხალხების ენის, კულტურისა და ისტორიის შესახებ?! ჩვენი - ქართველების, ოსების, აფხაზების გადარჩენის ერთ-ერთ შესაძლებლობად "კავკასიელობა" მიმაჩნია. ყველანი უნდა გავერთიანდეთ, თორემ ერთად გაგვანადგურებს კარს მომდგარი მტერი. ჩემს ახლობლებს ხშირად ვეუბნები ხოლმე - როგორ შეიძლება ჩვენ ერთმანეთს ყუმბარები ვესროლოთ, როცა ერთ ნავში ვსხედვართ-მეთქი?! ეს ნავი კი ჩვენი კავკასიაა. სწორედ თბილისში, სულ ცოტა ხნის წინ, "კავკასიურმა სახლმა" გამოსცა უნიკალური წიგნი - "ოსური ფოლკლორი". წიგნი ჩრდილოეთ ოსეთში წავიღე და ვაჩუქე იქაურ ოსებს, მათ შორის, პარლამენტის მდივანს, ჩემს კოლეგასა და მეგობარს ვლადისლავ კესაევს. აი, ასეთი მტრები ვართ-მეთქი, - ვუთხარი. ძალიან განვიცდი კონფლიქტის არსებობას, მაგრამ მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება და გონიერებას ორივე მხარე გამოვიჩენთ.

**- როგორც ვიცი, საქართველოში თქვენი ამჟამინდელი სტუმრობის მიზეზი მხოლოდ ეს არ არის.**

- ამჯერად თბილისში ჩამოვედი ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, ბატონ შოთა ვაშაკიძის მოწვევით, რომელმაც, უცხოეთში წასული ქართველების მონაწილეობით, თბილისში ფორუმი ჩაატარა. აქ ყოფნა დაემთხვა იერუსალიმში რუსთაველის ფრესკის შებღალვის ვნებათაღელვას. არ შემეძლო, არ გამოვხმაურებოდი ამას, რადგან ამ ფაქტზე რეაგირება აუცილებლად უნდა მოგვეხდინა იმ ქართველებსაც, ვინც, დიდი ხანია, ვცხოვრობთ უცხოეთში. თბილისში ჩამოვედი, როგორც გერმანიის ქართული სათვისტომოს წარმომადგენელი. არსებობდა იდეა, რომ გაერთიანებულიყო სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული სათვისტომოები. ეს იდეა, მართლაც, მისასალმებელია და მეც სიამოვნებით გამოვეხმაურე მას. სათვისტომოების გაერთიანებით მოხდება საზღვარგარეთ გაფანტული ქართული ინტელექტუალური ძალების გაერთიანება და მობილიზება.

თბილისში ხელცარიელი არ ჩამოვსულვარ. ჩამოვიტანე ორი კონკრეტული პროექტი, რომელთაც წლების მანძილზე ვამუშავებდი გერმანელ პარტნიორებთან ერთად. ეს პროექტები მხოლოდ იდეა არაა - სერიოზული პროექტებია.

**- კონკრეტულად, რაზეა საუბარი?**

- პირველ პროექტში გერმანიის ერთ-ერთი ცნობილი საუნივერსიტეტო კლინიკის რექტორი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის კლინიკის გამგე პროფესორი ჰუბერტ ბლუმი სთავაზობს საქართველოს, გაიხსნას დიაგნოსტიკის ცენტრი ჰეპატიტის სამკურნალოდ. თანხმობის მიღების შემთხვევაში, გერმანელი ექიმი თანახმაა, დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. ქართველმა პაციენტმა იგი ინტერნეტით იპოვა, მიმართა მას დახმარებისთვის და მკურნალობისთვის და, აგერ უკვე რამდენიმე წელია, რეგულარულად ჩამოდის საქართველოში ავადმყოფების სამკურნალოდ.

**- თუ გქონდათ მთავრობის წევრებთან ამ პროექტზე საუბარი?**

- არა, ჯერ არ მქონია. ალბათ, მალე შევხვდები მთავრობის წარმომადგენლებს, გავაცნობ პროექტს და, თუკი ქართული მხარიდან თანამშრომლობის სურვილი იქნება, მე, რა თქმა უნდა, აქტიურად ჩავებმები ამ საკითხის დაჩქარებაში.

**- რას ეხება მეორე პროექტი?**

- გერმანიის წამყვანი ფირმები მზად არიან, რომ ელექტროენერგიის მიღება საქართველოში დაინერგოს განახლებადი ენერგიების გამოყენების გზით. ესაა მზის, ქარის, ზღვის მიქცევ-მოქცევის ენერგია, მიწისქვეშა თბილი წყლების ენერგია. ეს ყველაფერი დიდი რაოდენობით არსებობს საქართველოში და იკარგება, გამოუყენებელია. და ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს შეუძლია, შვიდ-რვა წელიწადში ენერგიის გამყიდველ ქვეყნად გადაიქცეს, თუკი იმას, რაც გვაქვს, უნარიანად, გონივრულად და სწორად გამოვიყენებთ. უკვე ვიყავი რამდენიმე კლინიკაში, რომელთაც სჭირდებათ უწყვეტი ენერგიის წყარო. თანხმობის შემთხვევაში, გერმანული ფირმები ჩამოიტანენ უახლეს აპარატურას, გასცემენ კრედიტებს და მოსახლეობას, დაწესებულებებს ექნებათ საშუალება, თავად "აწარმოონ "ეკოლოგიურად სუფთა, უწყვეტი ენერგია. ჩემი მიზანია, ეს პროექტი "ზემოდან" კი არ იყოს დაშვებული - როდესაც, უშუალოდ, მოსახლეობამდე, თითქმის, აღარაფერი აღწევდა - არამედ პირდაპირ საოჯახო და წვრილ მეწარმეებთან დაკავშირება მოხდეს, რამეთუ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი, მისი ხერხემალი სწორედ ის ფენაა, რომელიც დღეს საქართველოში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

**- ორიოდე სიტყვით გვიამბეთ ქართული სათვისტომოს შესახებ.**

- გერმანიაში ამჟამად ბევრი ქართველი ცხოვრობს; არსებობს რამდენიმე კულტურული ცენტრი, მაგრამ ტრადიციული სათვისტომო, რომელიც ბატონმა კირკიტაძემ და სხვებმა ჩამოაყალიბეს, არის ქალაქ ფრაიბურგში. თბილისში გამომგზავრების წინ, იქ გვქონდა ზეიმი და იმდენი კარგი ახალგაზრდა ესწრებოდა, რომ გული სიამაყით მევსებოდა.

**- თუ აპირებენ ისინი სამშობლოში დაბრუნებას?**

- კი, მე მგონი, აპირებენ. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ განსხვავებაა ევროპასა და ამერიკას შორის ემიგრანტებთან დაკავშირებით. ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა, ამის კლასიკური გაგებით და იქ ხუთ-ექვს წელიწადში ხდება ჩასულების ინტეგრაცია. ევროპაში ეს პროცესი შედარებით ძნელია, იმიტომ, რომ მაინც ეროვნულად ერთგვაროვანი სახელმწიფოებია, ათასგვარი მექანიზმი არსებობს, რომ უცხოელმა იმათ სამუშაო ბაზარზე პრეტენზია არ განაცხადოს. გერმანიაში არიან ძალიან ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც იქ უკვე დამკვიდრდნენ, აქვთ პრესტიჟული სამუშაო. გასაგებია, რომ მათ გაუჭირდებათ ჯერ კიდევ ეკონომიურად წელგაუმართავ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება ყველაფერი მერკანტილურად განსაზღვრო. ჩემი ნაცნობი და თანამოაზრე ქართველები მზად არიან, თუკი აქ მათ სამსახურს შესთავაზებენ, დაბრუნდნენ საქართველოში.

**- იყო თუ არა პრეზიდენტის შეთავაზება მათთვის სამშობლოში დაბრუნების სტიმული?**

- რა თქმა უნდა, ეს მათთვის დიდი სტიმული იყო. პრეზიდენტმა უკვე ჩამოიყვანა რამდენიმე პიროვნება, ვინც უცხოეთში უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს, მაგრამ სამშობლოში მაინც დაბრუნდა. სხვებიც, ვინც დარწმუნდება, რომ სჭირდება სამშობლოს, აუცილებლად დაბრუნდებიან.


ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

# ჩვენს ეროვნულ სიწმინდეთა საგანძურს ჩვენ თვითონ ხომ არ ვექცევით ვანდალურად?!

ნოდარ ლომოური

ჩვენმა საზოგადოებამ კმაყოფილებით აღიქვა ცნობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მეტად სერიოზული გაზრდის შესახებ და იმედით შეხვდა მის სავარაუდო შედეგებს. ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული მოქალაქისთვის პრიორიტეტულია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა თავდაცვა, შინაგანი უშიშროება, ჯანდაცვა, სოციალური პირობები და სხვა. მაგრამ ჩემს ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ის, რომ არავის, არც სამთავრობო, არც დღეს ესოდენ აქტიურ არასამთავრობო ინსტანციებს, არ გახსენებია ჩვენი კულტურის უნიკალური, ეროვნული თვალსაზრისით სწორუპოვარი დაწესებულება, როგორიც არის ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ამ ცოტა ხნის წინ ამაზრზენი მოვლენა მოხდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში; ვანდალურად განადგურდა ჩვენი ეროვნული სიწმინდე - შოთა რუსთაველის ფრესკული პორტრეტი. სრულიად კანონზომიერია ის საყოველთაო აღშფოთება, პროტესტები, აქციები, ხელისუფლების და საპატრიარქოსგან გადადგმული ნაბიჯები, რომელსაც ჩვენ მას მერე ვხედავთ და ვისმენთ. გასაზიარებელია ის გულისწუხილი და წინააღმდეგობა, რომელიც მოჰყვა ფრესკის თვითნებურ და აშკარად არაპროფესიონალურ აღდგენას. ყველაფერი ეს უდავოა!

მაგრამ, რატომ არავის გახსენებია აგერ, ჩვენს თვალწინ, თბილისის ცენტრში მდებარე ხელოვნების მუზეუმი, სადაც ისეთივე სიწმინდეები ინახება, თანაც არა ერთი და ორი, არა ათეული, ან თუნდაც ასეული, არამედ რამდენიმე ათასი. ამ უმაღლესი დონის, მრავალსაუკუნოვან, საერთაშორისო აღიარების მქონე ეროვნულ განძს, ყოველ შემთხვევაში, მის დიდ ნაწილს, ხომ გარდაუვლად ემუქრება განადგურება, თანაც სადმე უცხოეთში, უცხოელი ვანდალებისგან კი არა, არამედ აქვე, ჩვენივე ხელით!

ვიღაცეები იტყვიან - "რა დროს მუზეუმია, ხალხი მშიერია! ამდენი პრობლემაა გადასაწყვეტი!" მე ეს არავსიზე ნაკლებად არ ვიცი, ძალიან კარგადაც მესმის, მაგრამ ჩემსას მაინც ვამბობ, ვამბობ სრული პასუხისმგებლობით და ფხიზელი გონებით! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნებისმიერი, თუნდაც ძალზე გაჭირვებული ადამიანი, თუ ის ჭეშმარიტი ქართველია, მზად იქნება მისთვის ახალი ბიუჯეტიდან განკუთვნილი წილიდან დათმოს მცირე თანხა ეროვნული საუნჯის, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული საგანძურის გადასარჩენად. ასე რომ, ნურავინ ჩამითვლის ამას მკრეხელობად.

ნურც იმას დამაბრალებთ, რომ მე ჩემი თანამდებობა - ამ მუზეუმის დირექტორობა მალაპარაკებს. ჩემი დირექტორობა უმნიშვნელო ეპიზოდია ამ შესანიშნავი, კვლავ ვიმეორებ, სწორუპოვარი განძთსაცავის ისტორიაში. მე ამჯერად ვლაპარაკობ როგორც რიგითი ქართველი, როგორც ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია ჩემი ერის აწმყო და მომავალი, როგორც ადამიანი, რომელსაც გააზრებული აქვს, რომ არც აწმყო, არც მომავალი არ იარსებებენ წარსულის დავიწყებისა და უგულებელყოფის პირობებში. აქვე მინდა ისიც ვთქვა, რომ მე საგანგებოდ არ გამოვყოფ ამ მუზეუმს. ნებისმიერ მუზეუმს აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს, საზოგადოების ყურადღება, მაგრამ დღეს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს განსაკუთრებით უჭირს, ამასთან, ცხადია, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რანგისა და მასშტაბის სხვა მუზეუმი საქართველოში კიდევ მხოლოდ ერთი - ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმია.

მე არ დავიწყებ იმ ეროვნული სიმდიდრის დაწვრილებით აღნუსხვას, რომელსაც ინახავს ხელოვნების მუზეუმი. დაწყებული ბრინჯაოს ხანით და დამთავრებული დღევანდელი დღით, თუ რამე იყო ღირებული ჩვენს ხელოვნებაში, კულტურულ ცხოვრებაში, ყველაფრის ამის ნიმუშები ინახება, შეისწავლება და ფართო საზოგადოებისთვის სწორედ ხელოვნების მუზეუმის მეშვეობით ხდება მისაწვდომი.

... აი, მოვიდნენ ახალგაზრდები - სკოლის მოსწავლეები თუ სტუდენტები... მათ მასწავლებელმა, თუ ლექტორმა ზოგადად მოუთხრო საქართველოს ისტორია, მაგრამ, აქ ისინი თვალნათლივ ეცნობიან ძველი წელთაღრიცხვის, წინაქრისტიანულ ხელოვნებას, შემდეგ მიდიან საგანძურის ("ოქროს ფონდის") დაბაზებში, სადაც დავანებულია ქრისტიანული ხანის ოქრომჭედლობის, ხატწერის, მინანქრის დიდებული, მრავალსაუკუნოვანი ექსპონატები... შემდეგ შედიან შუასაუკუნეების არქიტექტურის, ქვაზე კვეთის, კედლის მხატვრობის ამსახველ გამოფენაზე, შემდეგ თანდათან, ეტაპობრივად ეცნობიან ახალი დროის ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ეზიარებიან ფიროსმანს, კაკაბაძეს, გუდიაშვილს, ახვლედიანს, ნიკოლაძეს... ამის ყოველივეს გადაფასება შეიძლება?! მაგრამ ეს არ კმარა: აი, ჩვენი უმდიდრესი აღმოსავლური, რუსული, დასავლეთ ევროპის ხელოვნების დარბაზები... აქვე, მუზეუმშივე ხდება მათთვის გასაგები, რა ადგილი ეჭირა და დღესაც უჭირავს ქართულ ხელოვნებას და შესაბამისად ქართულ კულტურას მსოფლიო ასპარეზზე. ყველას შეუძლია თვალნათლივ დაინახოს, რა იყო აღმოსავლეთის სამყაროში, რა იყო რუსეთში, რა იყო დასავლეთ ევროპაში იმ დროს, როდესაც ჩვენთან ბედიის ბარძიმი, ბიჭვინთის მოზაიკა, ანჩისხატი თუ ხახულის კარედი კეთდებოდა, რა ხდებოდა იქ, როდესაც ჩვენთან ფიროსმანი ხატავდა; თუ კაკაბაძე და გუდიაშვილი ქმნიდნენ თავის ტილოებს... და იგივე გზას გაატარებენ მუზეუმის ფონდები ნებისმიერ მნახველს, რაც მთავარია, უცხოელ დამთვალიერებელს; აი, რეალური მნიშვნელობა, ჭეშმარიტი ღირებულება ამ მუზეუმის მრავალფეროვანი განძთსაცავისა. აღარას ვამბობ ჩვენი ხელოვნების სათანადო მეცნიერული შესწავლის, უძველეს ექსპონატთა პროფესიონალურ დონეზე კონსერვაცია - რესტავრაციისა და პუბლიკაციის შესახებ. და შეიძლება ამ ღირებულებას შეველიოთ? არადა, მუზეუმში ძალზე მძიმე ვითარებაა, შენობა სარემონტოა, არ არის ზამთარში გათბობა, ზაფხულში ვენტილაცია, მუდმივი ბრძოლის საგანია ელექტროენერგიის გადასახადი, რაც მთავარია, გადატვირთულია ფონდები, ზოგიერთ საცავში ნესტი და უჰაერობა... უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება ერიოზულად გვეხმარებოდა და გვეხმარება, ბევრი რამ გაკეთდა - შენობა მთლიანად ჩაისვა გისოსებში, მოხდა მისი "სიგნალიზაციის" ქსელში ჩართვა, საკმაოდ მაღალ დონეზეა დაცვის სპეციალური ლეგიონის მოქმედება, კარდინალური რეკონსტრუქცია განხორციელდა მსოფლიო ბანკის დახმარებით "ოქროს ფონდში", აეწყო საგამომცემლო საქმიანობა; გვქონდა რამდენიმე დახმარება ცალკეულ ინვესტორთაგან, ამჯერად დიდად გვეხმარება და ბევრს გვპირდება "ქართუ ჯგუფი" და მაინც მდგომარეობა მძიმეა... სანამ ქვეყანას, სახელმწიფოს უჭირდა, ჩვენი მოთხოვნები მოზომილი იყო, მაგრამ, ახლა თითქოს გაჩნდა რაღაც იმედი, აი, ახლა უყურადღებობამ გული გაგვიტეხა.



ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს პრობლემები არ ელევა.

ვახო ბასელიას ფოტო

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ხელოვნების მუზეუმის გადარჩენის ერთადერთი გზაა ახალი, მშენებარე კორპუსის დამთავრება, რომელიც მუზეუმის ყოფილი დირექტორის თამაზ სანიკიძის ძალისხმევით საგანგებოდ მუზეუმისთვის დაპროექტდა და 1990 წლისთვის არსებითად თითქმის დამთავრებული იყო. იმ წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ, მის მიერვე მუზეუმის სათავეში დაყენებული უმეცართაგან შექმნილი ე.წ. "დირექტორატის" ინიციატივით, ჩაიდინა დანაშაულის ტოლფასი ქმედება და შეწყვიტა მშენებლობა. ამის მერე ეს შენობა დაზიანდა, არაერთგზის გაიქურდა და ბევრი რამ თავიდან გახდა დასაწყები. ამისთვის გარკვეული თანხებიც გამოიყო, მაგრამ საბიუჯეტო კრიზისმა, ე.წ. "სეკვესტრებმა" ეს მცდელობაც ჩაშალეს. მაგრამ, ახლა როგორც გვეუბნებიან, ვითარება შეიცვალა; ხომ გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავალი, ხომ აღარ გვემუქრება "სეკვესტრი"!? ნუთუ ახლა მაინც არ შეიძლება გავიხსენოთ ჩვენი ეროვნული საგანძური. ჩამოვაკლოთ სხვა უწყებების დაფინანსებას ცოტ-ცოტა თანხები და მოხდეს კონკრეტულად, ცალკე გამოყოფილად, **საგანგებოდ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისთვის,** მისი გადარჩენისთვის მიზანდასახულად მინიმუმ 2 მილიონი ლარის გამოყოფა მშენებარე კორპუსის დასამთავრებლად. მე პირველად არ ვსვამ ამ საკითხს, არაერთხელ მიმიმართავს ზემდგომი ორგანოებისთვის წინადადებით, რომ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს (ეს ალბათ ამ რანგის სხვა მუზეუმებსაც ეხება) **მიენიჭოს საგანგებო სტატუსი**. ეს წინადადება რაღაც აკვიატებული აზრი კი არ არის, არამედ ეფუძნება ამ დაწესებულების იმ ღირებულებას და როლს, რომლებზედაც ზევით ვისაუბრე.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: თუ ჩვენ მართლა გვაწუხებს ჩვენი ეროვნული საგანძურის ბედი, ამისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება დროულად, ხელოვნების მუზეუმის გადარჩენა, ხოლო ამ მიზნის განსახორციელებლად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ორი გზა: ან აშენდეს სრულიად ახალი, საგანგებოდ დაპროექტებული შენობა, რომელშიც ხელოვნების მუზეუმი მთლიანად განთავსდება სათანადო აღჭურვილობით, ან დასრულდეს მშენებარე კორპუსი, რომელშიც და ძველ შენობაში გადანაწილდება ჩვენი ფონდები, დამხმარე სათავსოები და საგამოფენო დარბაზები. სხვა გამოსავალი უბრალოდ, არ არსებობს. ხოლო, ამ ორიდან მე უფრო რეალური მეორე გზა მგონია.

ვისარგებლებ შემთხვევით და ორიოდე სიტყვით შევეხები კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც ბოლო დროს საზოგადოების გარკვეულ ფენებში სალაპარაკო გახდა. ზოგიერთი აშკარად არაპროფესიონალი, სუბიექტური გეგმებით ამოქმედებული პიროვნება თურმე გვთავაზობს მუზეუმის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის ახალ გზას: ესაა მუზეუმის ზოგიერთი განყოფილების, ან ცალკეული კოლექციის (მაგალითად, ფიროსმანის ნახატების) ცალკე მუზეუმში გადატანა, ე.ი. ამჟამინდელი მუზეუმის "განტვირთვა" და რამდენიმე მუზეუმად დანაწევრება. ჩემი ღრმა რწმენით, ეს გზა, ეს მკრეხელური გეგმა, საერთოდ არ შეიძლება სერიოზული განხილვის საგანი გახდეს. ამ აზრს მთლიანად იზიარებს მუზეუმის თანამშრომელთა უმრავლესობა და ყველა სპეციალისტი, ვისთანაც კი მქონია ამ თემაზე საუბარი. ფიროსმანის შემოქმედება (ან მუზეუმში დღეს დაცული ნებისმიერი სხვა კოლექცია) იმდენად ორგანულად არის ჩართული მუზეუმის საერთო თემატიკაში (ამაზე ზემოთ ვისაუბრე), რომ ამ ერთიანობის დარღვევა სრულ არევ-დარევას გამოიწვევს მუზეუმის ფუნქციებში, მის მწყობრ სისტემაში და გამოაცლის მას მთავარ დანიშნულებას. ეს რეალურად იქნება მუზეუმის დანგრევის, განადგურების დასაწყისი. ყველაფერს სხვას რომ თავი დავანებოთ, რა პასუხს ვაძლევთ წარსულის იმ თავგადადებულ, უდიდესი ეროვნული მიზნებით დამუხტულ მოღვაწეთა ხსოვნას, ვინც ამ 80-ზე მეტი წლის წინ სწორედ ასეთ კომპლექსურ და მრავალთემატურ დაწესებულებად ჩაიფიქრა ეს მუზეუმი, ჩაიფიქრა და განახორციელა კიდეც ეს მიზანი, შემდეგ კი ათწლეულების განმავლობაში აგრძელებდა ამ ტრადიციას.

# მუსიკა ყველასათვის

## ჯაზის იმპორტი გრძელდება

ვერა ნეფარიძე

*თბილისი ჯაზის მორიგი იმპორტის მოლოდინშია. ამჯერად საშემოდგომო სეზონს ჯორჯ დიუკი გახსნის. დიდი საკონცერტო დარბაზი ამერიკელ პიანისტსა და მის ჯგუფს 25 სექტემბერს მიიღებს.*

პროექტის ავტორი და ორგანიზატორი კვლავ კომპანია "ისთერნ პრომოუშენია", კომპანია, რომელმაც სულ რაღაც ორი თვის წინათ დაამთავრა თბილისის ტრადიციული ჯაზფესტივალის მერვე რაუნდი. კომპანიას დიდი ხანია, სამზადისი დაწყებული აქვს მორიგი ფესტივალისთვის. თუმცა, ფესტივალიდან ფესტივალამდეც ახერხებს შეიქციოს თბილისის მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება.

ასეა ამჯერადაც, როდესაც "ისთერნ პრომოუშენი" მოწვევით თბილისში ამერიკელი ჯაზმუსიკოსი ჯორჯ დიუკი ესტუმრება. რატომ მაინცადამაინც დიუკი? შეკითხვა, რომელიც ალბათ ძალიან ბევრს გაუჩნდა უკვე. ამაზე ორგანიზატორებს საკმაოდ მისაღები პასუხი გააჩნიათ. იმიტომ, რომ დიუკი ერთნაირად მისაღებია განსხვავებული მუსიკის მოყვარულებისთვის. მისი შემოქმედებითი ფესვები 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს; მაგრამ, დღეს იგი ოცდამეერთე საუკუნის მუსიკასთან მიახლოვებულ ჯაზს ასრულებს. მის კონცერტებზე ილხენენ ისევე, როგორც დიკოსთეკებზე. რასაკვირველია, ჯორჯ დიუკი არაა ისეთი მეგავარსკვლავი, როგორებიც ამ ზაფხულს დიდ საკონცერტო დარბაზში ვიხილეთ, მაგრამ მის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა სრულიად უსაფუძვლოა. ვისაც ჯერჯერობით მისი მუსიკა არ მოუსმენია, გარკვეულ შთაბეჭდილებას დიუკის პროფესიონალიზმზე მისივე შემოქმედებითი ბიოგრაფია შეუქმნის.

ჯორჯ დიუკი ამერიკის დასავლეთ სანაპიროს ჯაზური სკოლის წარმომადგენელია. დაიბადა 1946 წლის 12 იანვარს კალიფორნიის შტატის ქალაქ სან რაფაელში. ოთხი წლის დიუკი დედამ ელინგტონის კონცერტზე წაიყვანა. თავად მუსიკოსი ვერ იხსენებს მიღებულ შთაბეჭდილებას. მხოლოდ დედისგან იცის, რომ კონცერტმა ჭკუიდან შეშალა, დარბოდა და ყვიროდა: "მომეცით ფორტეპიანო!" ასე დაიწყო ფორტეპიანოს შესწავლა შვიდი წლის ასაკში. მომავალი მუსიკოსი ბაპტისტური ეკლესიის მუსიკასა და შავების რიტმებს ერთმანეთს უხამებდა. "აი, რატომ დავიწყე ფანკის შესრულება. ბევრი რამ მუსიკის შესახებ სწორედ ეკლესიაში ვისწავლე", - იხსენებს ჯორჯ დიუკი.

სკოლის ჯგუფებში მიღებული გამოცდილება ახალგაზრდა დიუკმა, რომელიც ლეს მაკენის, მაილს დევისის, ბილი ევანსისა და კელ ჯედერას ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო, სან ფრანცისკოს ჯაზბენდებში გამოიყენა. თუმცა, მანამდე დაამთავრა სან ფრანცისკოს მუსკალური კონსერვატორია და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ტრომბონისა და კომპოზიციის განხრით. მოგვიანებით, მაგისტრის ხარისხი სან ფრანცისკოს უნივერსიტეტში დაიცვა. სხვათა შორის, ერთ-ერთ კლუბში მუშაობისას, მის ბენდში ახალგაზრდა თვითნასწავლი მომღერალი ელ ჯერო მივიდა... დაახლოებით იმავე პერიოდში დიუკის პირველი ჯაზური ჩანაწერები MPS/BASF-მა გამოსცა.



ჯორჯ დიუკი თბილისს სექტემბერში ეწვევა.

ერთხელ, ჯორჯმა რადიოეთერში ფრანგ მევიოლინეს ჟან-ლუკ პონტის მოუსმინა და როდესაც შეიტყო, რომ მუსიკოსი სან ფრანცისკოს ეწვია, მის პროდიუსერს საკუთარი ჩანაწერები შესთავაზა; თანაც, საკმაოდ თამამი განაცხადით: "არ არსებობს სხვა პიანისტი ჩემს გარდა ამ ადამიანისთვის". ამგვარად მოხვდა მუსიკოსი ჟან-ლუკ პონტის ჩანაწერში; ხოლო, ამ ალბომის გამოსვლიდან ცნობილი გახდა, რომ პონტისა და დიუკის ერთობლივმა მუსიკამ აშშ-ს დასავლეთ სანაპიროს ჯაზ-საზოგადოების შემოქმედებითი ვნებები გააღვიძა; ეს იყო საზოგადოება, რომელიც შურით ადევნებდა თვალს ამერიკის აღმოსავლეთში მაილს დევისის, "მაჰავიშნუ არკესტრასა" და Weather Report-ის აქტიურობით მომხდარ ფიუჟენ-რევოლუციას.

დონ ელისის ორკესტრში რვათვიანი მუშაობის შემდეგ, დიუკი ფრენკ ზაპას Mothers of Invention-ს შეუერთდა და მათთან ერთად მთელი წლის განმავლობაში დადიოდა გასტროლებზე. ზაპასთან დაშორება მაშინ გადაწყვიტა, როდესაც ვერ თქვა უარი ლეგენდარულ ალტსაქსაფონისტ ჯულიან Cannonball Adderley-სთან თანამშრომლობაზე. ამ ადამიანის გვერდით დიუკს უწევდა შეხება ისეთ უდიდეს მუსიკოსებთან, რომელთა შესახებაც მას ბავშვობიდან ესმოდა. ესენი იყვნენ: ჯო უილიამსი, ნენსი ვილსონი, დიზი გილესპი... ზაპასთან დიუკი მოგვიანებით დაბრუნდა, ამჯერად - ჟანლუკ პონტისთან ერთად. ამ შემადგენლობით ჯგუფმა სამ წელიწადს იარსება; შემდეგ დიუკმა გარკვეული ხანი სონი როლინსთან იმუშავა, მანამდე, ვიდრე არ გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობები ბილი კობემთან მოესინჯა. მუსიკოსებმა საკმაოდ ძლიერი ფიუჟენ ჯგუფი შეკრიბეს; ეს კოლექტივი კიდევ უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე პონტისა და ჯორჯ დიუკის პირველი ერთობლივი ჯგუფი. ჯორჯ დიუკი სოლოპროექტებითაც არის ცნობილი. 1978 წელს მის ალბომს Reach For It უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

70-იანი წლების დასასრულს პოპულარობით სარგებლობდა დიუკისა და სტენლი კლარკის ერთობლივი ჯგუფი Clarke - Duke Project. ამის მიუხედავად, ჯორჯმა სტატუსი შეიცვალა და ჯგუფის პროდიუსერობა ამჯობინა. დაიწყო იმით, რომ გამოუშვა ბრაზილიელი მუსიკოსის რაულ დესაუზის ფირფიტა; შემდეგ კი - დიდი ბრიჯუოტერის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო დისკო-ჯგუფის - A Taste of Honey-ის ალბომი; მათი ერთ-ერთი სიმღერა მეგაჰიტი გახდა. თვითონ ალბომი კი ორ მილიონზე მეტი ტირაჟით გაიყიდა. აქედან მოყოლებული, ჯორჯ დიუკის პროექტების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. დიუკი იყო ჯეფრი ოსბორნის სამი ალბომისა და დენის ვილიამსის ორი ბესტსელერის პროდიუსერი. დიუკის უნიკალური შესაძლებლობები პოპვარსკვლავებსაც (მელისა მანჩესტერი, ბარი მენილოუ), ჯგუფებს - The Pointer Sisters, Take 6, ანიტა ბეიკერსა და სხვებსაც კი გამოადგათ. რამდენიმე წლის განმავლობაში, ისე, რომ არ დაუნებებია თავი საკუთარი ალბომების ჩაწერისთვის, დიუკი სატელევიზიო მუსიკალური პროგრამების დირექტორად მუშაობდა. 1992 წელს დიუკი გაემგზავრა ესპანეთში, სადაც იყო მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული გიტარის ფესტივალის (მონაწილეობდნენ: ჯორჯ ბენსონი, ლარი კორიელი, ჯონ მაკლაფლინი, პაკო დე ლუსია და სხვები) დირექტორი. დიუკის მუსიკა ჟღერს ფილმებსა და ტელეპროგრამებში. არის სხვადასხვა პრემიების ლაურეატი; მათ შორის მაილს დევისის ალბომის - Tutu (1986) პროდიუსერობისთვის.

თბილისში ჯორჯ დიუკი ექვსკაციანი ჯგუფით (ჯორჯ დიუკი - ვოკალი, ქიბორდი; კევინ რენდოლფი - ქიბორდი; ჯეფ ლი ჯონსონი - გიტარა; მაიკ მენსონი - ბასი; გლენდონ ქემბელი - დასარტყამი ინსტრუმენტი; შენონ პირსონი - ვოკალი) ჩამოდის. ამას გარდა, რომ არა სპონსორების ("ჯეოსელი", "ნესკაფე", აშშ საელჩო, "ავსტრიის ავიახაზები") მონდომება, კურორტებიდან დაბრუნებული თბილისელებისთვის დედაქალაქში ასეთ კონცერტს ნამდვილად ვერ მოამზადებდნენ.

# წიგნი ვახტანგ ჭაბუკიანსა და მარია კალასზე

2005 წლის 27 თებერვალს ცეკვის ჯადოქარი - ვახტანგ ჭაბუკიანი 95 წლის შესრულდებოდა. სწორედ ამ თარიღს დაუკავშირა და მიუძღვნა ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის "მზეჭაბუკისა" და საზოგადოება "მარია კალასის" პრეზიდენტმა ბატონმა ავთანდილ დანელიამ თავისი წიგნი: "ღმერთებთან წილნაყარნი: მარია კალსი და ვახტანგ ჭაბუკიანი".

წიგნის დაწერისა და გამოცემის იდეას ბატონი ავთანდილი ასე ხსნის: "1985 წლის 27 თებერვალს სპეციალურად ჩამოვფრინდი მოსკოვიდან თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების დღეზე. ეს მისი საიუბილეო წელი იყო. ის მაშინ 75 წლის შესრულდა. მისთვის განკუთვნილ საჩუქარს - ალბომს "ერმიტაჟი" წავაწერე სიტყვები: "დიდ ბატონ ვახტანგს - ტერპსიქორას უდავო პარტნიორსა და მეტოქეს".

ბატონი ვახტანგი ამ ეპითეტით ფრიად ნასიამოვნები დარჩა და მეტიც -"**ჩამომართვა პირობა, რომ მე მასზე წიგნს დავწერდი.** უცებვე დავთანხმდი, თუმცა დავძინე, რომ თუ ეს ოდესმე მოხდებოდა, ის ჩემს წიგნში იქნებოდა მხოლოდ მარია კალასთან ერთად."

ბატონი ავთანდილი ერთობლივი წიგნის დაწერას მარია კალასისა და ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ იმით ხსნის, რომ "მარია კალასმა ვოკალურ ხელოვნებაში ისეთივე სასწაული მოახდინა, როგორიც ვახტანგ ჭაბუკიანმა ბალეტში."

ასოციაცია "მზეჭაბუკისა" და საზოგადოება "მარია კალასის" ეგიდით, რომელსაც ბატონი ავთანდილ დანელია და ქაბატონი ლიკა ნაჭყებია ხელმძღვანელობენ, 2002 წლის 5 ოქტომბერს, მარია კალასის გარდაცვალების 25-წლის თავზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვერდის "რეკვიემი" შესრულდა. "რეკვიემი" ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურმა ორკესტრმა ბათუმის კაპელასთან და გამოჩენილ ქართველ მომღერლებთან (მაყვალა ქასრაშვილი, თეა დემურიშვილი, ლაშა ნიქაბაძე, პაატა ბურჭულაძე) ერთად შეასრულა. სადირიჟორო პულტთან ვახტანგ მაჭავარიანი იდგა.



ღმერთთან წილნაყარნი: ვახტანგ ჭაბუკიანი და მარია კალასი.

კონცერტის შემდეგ ასოციაცია "მზეჭაბუკისა" და საზოგადოება "მარია კალასის" მიერ დაწესებული პრიზით დაჯილდოვდა ორი პრიმადონა: მაყვალა ქასრაშვილი და მონსერატ კაბალიე. ეს ასოციაციები საერთოდ მიზნად ისახავს ორ-ორი პრიზის გაცემას ქართველი და უცხოელი შემსრულებლებისათვის. "ვინაიდან იმ დროისათვის დაგეგმილი მონსერატ კაბალიეს გასტროლები გადაიდო, პრიზი კვლავ მოუთმენლად ელის კაბალიეს თბილისში ჩამობრძანებას" - ამბობს ბატონი ავთანდილი.

პრიზის სახელწოდებაა "ხელოვნებაა თვით უკვდავება". ის მამონტის ძვალზე ამოტვიფრულ კამეას წარმოადგენს ვახტანგ ჭაბუკიანისა და მარია კალასის გმოსახულებით.

ასოციაცია "მზეჭაბუკსა" და საზოგადოება "მარია კალასს" წინ საინტერესო გეგმები აქვთ.

# იქ ჩემი ყვავილია, გაიფიქრა და ზეცას ახედა პატარა უფლისწულმა

## რა არის არქეოასტრონომია?!

დესი დაშკოვა

*პრიმიტივი თუ ცივილიზებული, ადამიანი არ ყოფილა ამქვეყნად, რომელსაც ზეცაში არ აეხედოს. ციური სხეულების მოძრაობასაც ვამჩნევთ. ამასობაში რაღაც კანონზომიერებასაც აღმოვაჩენთ - დროსა და სივრცეში. ოდითგან, უტილიტარული ნივთები, საბრძოლო თუ სამუშაო იარაღი, სამკაული თუ საოჯახო, ციური სხეულების "გავლენით" იქმნებოდა და რაც უფრო მეტი იყო ამა თუ იმ საზოგადოების ასტრონომიული ცოდნა, მით უფრო გამომსახველობითი იყო ნივთი. ამას გარდა, გარემო და ნაგებობები განსაკუთრებული ყურადღებით ეწყობოდა, ასტროსხეულების მოძრაობასთან და მათ ბუნებასთან დაკავშირებით.*



სტოუნჰენჯი

თუ არქეოლოგია და, მით უფრო, ასტრონომია უძველესი მეცნიერებებია, მათთან შედარებით **არქეოასტრონომია** თოთო, უახლესი და დინამიკური მეცნიერებაა. ის 60-ან წლებში ევროპაში იღებს სათავეს და უკვე 80-90-იან წლებში მთელ მსოფლიოს "ედება".

არქეოასტრონომია უძველესი ექსპონატების მიხედვით შეისწავლის წარსულში ასტრონომიურ, კოსმიურ მსოფლმხედველობას. ის სწრაფად ვითარდება და თავის თავში უფრო და უფრო მეტ მიმართულებებს (მიმდინარეობებს) იკრებს. და თუ ადრე მხოლოდ არქეოასტრონომიულ ექსპონატებს განიხილავდა, დღეისთვის ეთნოარქეოლოგიური მიმართულებაც განვითარდა - ანუ ზეპირსიტყვიერებაში არქეოასტრონომიურ შრეს შეისწავლის. ამა თუ იმ ხალხის კოსმოლოგიურ შეხედულებებს.

მაინც რას სწავლობს არქეოასტრონომია სუფთა სახით - ვიღებთ ქვის, ან ლითონის ექსპონატს, რომელზეც რაღაც გამოსახულებაა, სიმეტრიული ან ზოდიაქალური გამოსახულებით. ეს არის ფირფიტები, შრომის და სანადირო იარაღი და ისინი გამოსახავენ იმ პერიოდის და იმ ხალხის შეხედულებებს, როცა ის არის შექმნილი - ქვისა თუ ლითონის ხანაში, ამა თუ იმ კონტინენტზე. ეს ნივთები"მარტივად" იქმნებოდა - უძველესი ადამიანები ციურ მოვლენებს აკვირდებოდნენ, აგროვებდნენ თავის შეხედულებებს და გარდა იმისა, რომ მიღებულ ცოდნას თავად იყენებდნენ, სხვასაც გადასცემდნენ - მატერიალურად გამოხატავდნენ ამა თუ იმ ნივთზე. ასე მოაღწია უძველესმა კალენდრებმა, კოსმიურმა სისტემურმა გამოსახულებებმა.

არქეოასტრონომიას პალეოასტრონომიასაც ეძახიან. მოპოვებული მასალის შექმნის დროიდან გამომდინარე, ნებისმიერი ექსპონატი შეისწავლება ხედვის იმ კუთხით, რომელიც ჰქონდათ ადამიანებს იმ ეპოქაში.

უკვე ნეოლითის დროს ადამიანებმა ინსტრუმენტების შექმნაც დაიწყეს. მათ შენიშნეს სამყაროში ურთიერთკავშირი - უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომ ციურ ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა კლიმატი. მათ გაიგეს, რომ ამ ცვლილებებით მათ წელიწადის დროების გამოცნობაც შეეძლოთ. ამას კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა - მოსავლის აღება იქნებოდა, ნადირობა თუ თევზაობა... ადამიანები თვალს ადევნებდნენ ციურ მოვლენებს, რომ კლიმატი და წელიწადის დრო გამოეცნოთ - როდის აცივდება, როდის დათბება, მცენარე როდის გაიფურჩქნება... ეს რომ გამოეთვალათ, დროთა განმავლობაში, მათ მარტივი ასტრონომიული საგნების, ინსტრუმენტების კეთება დაიწყეს. ეს იყო მეგალითური ქვები - დიდი ქვა მენგირი, რომელიც ცენტრალურია და კრომლეხები - დამხმარეები, (ტერმინები კელტური ენიდან). მაგალითად, ამ ზოგადად ინსტრუმენტ-ნაგებობის ნიშნულს მზე ეცემოდა 22 მარტს, ან 22 სექტემბერს, რის შემდეგაც, ადამიანებს უკვე შეეძლოთ განესაზღვრათ, მზე ქვევით იწევდა თუ ზევით, და იწყებოდა შესაბამისი სეზონი.

ასეთი კონსტრუქცია თავდაპირველად აღმოაჩინეს დიდ ბრიტანეთში და მას სთოუნჰენჯი(ჩამოკიდებული ქვა) უწოდეს. დროთა განმავლობაში მსგავსი ქვის სისტემები მსოფლიოს მრავალ კუთხეში იპოვნეს, ან უკვე ნაპოვნს ახსნა მოუძებნეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის რთული კონსტრუქციის ქვების სისტემა და ისეა აგებული, რომ შესაბამის დროს, მზის სხივი მიადგეს ამა თუ იმ ნიშნულს და დარეგისტრირდეს, ანუ გასცეს ინფორმაცია. ასეთი ექსპონატები გერმანიაშიც აღმოაჩინეს. ყირიმში უძველესი მზის ობსერვატორია იპოვნეს, რომელიც მსოფლიოში აღმოჩენილთაგან განსხვავებული აგებულებისაა - კლდეში ფანჯარაა გამოჭრილი და 20 მეტრში მენგირი დგას. 22 მარტს მზის სხივი "ფანჯარაში" გადის და მენგირს ადგება. შესაბამისად ამ გზით გაზაფხულის დასაწყისს განსაზღვრავდნენ. მსოფლიოში ამ სახის მრავალი არტეფაქტია მიმობნეული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კაცობრიობა მნათობებზე დაკვირვებებით ვითარდებოდა. ყველა ხალხის არტეფაქტი უნიკალურია, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, ისინი პრინციპულად მსგავსნი არიან.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი სწავლული მუშაობს არქეოასტრონომიაში. არსებობს არქეოასტრონომიის საერთაშორისო ორგანიზაციები.

ასტროფიზიკოსი ირაკლი სიმონია, რომელიც გასული საუკუნიდან არქეოასტრონომიითაა დაკავებული და არქეოასტრონომთა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი გახლავთ, ამბობს, რომ ამ სფეროში საქართველოს დიდი პერსპექტივები აქვს. საქართველოში ნაპოვნ ბევრ ნივთზე, სხვადასხვა დანიშნულების საგნებზე სისტემური ან სიმეტრიული ასტრონომიული გამოსახულებებია. საქართველოში, ასევე, ბევრი მეგალითური არტეფაქტია, რომელსაც გასულ საუკუნეში მხოლოდ არქეოლოგიური კუთხით განიხილავდნენ. დღეს კი, როგორც ირკვევა, საქართველო ამ მეცნიერებაში ისევე აქტიურად ჩაერთო, როგორც სხვა ქვეყნები. იმდენი ქართული მასალა ყოფილა, რომ მისი "არგამორკვევა" და მსოფლიოსთვის "დამალვა" დანაშაულია.

საბოლოო ჯამში, კაცობრიობა ხომ ერთი საერთო "სცენარით" ვითარდებოდა და მისი ნებისმიერი განშტოება, ეთნიკური თუ გეოგრაფიული კუთხით სამყაროს მთლიანობისთვის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა.

იმ ქვეყნებში კი, სადაც ეს არტეფაქტებია მოპოვებული და დამუშავებული დიდი ტურისტული მოძრაობაა, მუზეუმებს დამთვალიერებლები არ აკლია... სტოუნჰენჯი დღეს დიდი ბრიტანეთის სავიზიტო ბარათია, რომელსაც მარკებზე, წიგნებსა და სხვა ვიზუალურ მასალაში თამამად იყენებენ - მას მსოფლიო იცნობს.

ჯერჯერობით საქართველოში სთოუნჰენჯი არ გაშიფრულა. მაგრამ ბევრ არქეოექსპონატში კოსმოსური გამოსახულების მდიდარი მასალაა და დიდი პერსპექტივა, რომ ღირსეულად ჩავეწეროთ მსოფლიო არქეოასტრონომიის კონტექსტში. ეს, ერთი მხრივ, ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება და მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს გახდეს ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი კოორდინატორი, მისი მასტიმულირებელი. რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარებისთვის თანხაა საჭირო, ამას ინფრასტრუქტურის გასავითარებლად ჩადებული თანხაც მიამატეთ და დასკვნაც, ლოგიკურია - ქვეყანას არქეოასტრონომიისთვის არ სცალია." მაგრამ ეს დღეს უნდა დავიწყოთ, რომ ხვალ გვექნეს"- ამბობს ირაკლი სიმონია - "სწორედ იმიტომაც, რომ ჩვენ ვხედავთ ამ პერსპექტივას, 2001 წელს შევქმენით ასოციაცია "ასტროარქეოკავკასია". მისი წევრები არიან ასტრონომები, ფიზიკოსები, არქეოლოგები, კულტუროლოგები, ფოტოხელოვანები, პროგრამისტები... ეს არის არქეოასტრონომიის შემსწავლელთა ქსელი, რომლებშიც გაერთიენებული არიან პროფესორები, დოქტორები, მაგისტრები. ისინი გაერთიანდნენ ამ ექსპონატების კოსმოლოგიური თვალსაზრისით შესასწავლად. ჩვენ გვინდა, დავნერგოთ ეს მეცნიერება საქართველოში. ამავე დროს, ეს ტურისტული ბიზნესის განვითარების საწინდარი იქნება და - ქართული სახელმწიფოს პროპაგანდა. მე ვარ ევროპის არქეოასტრონომიური საზოგადოების წევრი. მე შევისწავლე ძველი ქართული კოსმოგრამები."

ბრინჯაოს კოსმოგრამა მრგვალი, 30-40 სმ-ის დიამეტრის სამკაულია, ჩვ.წ.აღ-მდე მეჩვიდმეტე საუკუნის. ნივთი არქეოლოგმა ღამბაშიძემ აღმოაჩინა 90-ანი წლების დასაწყისში, მას ჰქონდა ზედაპირის გამოხატულებასთან დაკავშირებული რაღაც მინიშნებები, მაგრამ ქართველ არქეოასტრონომებს განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვთ. ირაკლი სიმონიას დასკვნით ეს ძველი ქართული ბრინჯაოს კოსმოგრამაა და ასე შევიდა ის სამეცნიერო ლიტერატურაშიც. მზე ცენტრშია, მთვარის ფაზები რკალებითაა აღნიშნული (ძველები რკალებით აღნიშნავდნენ დროს). საქართველოში 40 კოსმოგრამაა აღმოჩენილი, ჯერჯერობით ყველა სამკაულია. ამ ექსპონატებს ორმაგი დატვირთვა აქვთ - მუდმივი საჭიროების ფუნქცია და რაც წელიწადში ერთხელ სჭირდებათ.

მეორე ნიმუში ვანის ფიალაა, რომელიც სამოციან წლებშია აღმოჩენილი. ირაკლი სიმონიამ ორი წელი იმუშავა. ფიალაზე ოთხი თანავარსკვლავედი პოლუსის ირგვლივ მოძრაობს. თუ პოლუსთან პირით დავდგებით, თანავარსკვლავედებს დღეს აღნიშნული თანმიმდევრობით დავინახავთ. წრეების მიხედვით. თუ ცხოველების ფეხებს დავაკვირდებით, ისინი მოძრაობენ და ამ წრეზე მოძრაობას აჩვენებენ. ეს ძველი ქართული ვერცხლის, ანუ ე.წ. პოლარული კოსმოგრამაა, რომელიც ძველების პოლარულ მსოფლმხედველობას გამოხატავდა.

ამგვარი მასალა საქართველოში ბევრია. ამიტომაც შევქმენით ეს ასოციაცია. არის ოქროს დისკები, რომელიც ახლა მუშავდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მსუბუქ ანალიზს არ ექვემდებარება.

"ლიტერატურის ნიმუშების ანალიზით დავასკვენი, რომ ჩვენ ბევრი მეგალითური ნიმუში გვაქვს, თავისი მენხირებითა და კრონჰერებით. ჩვენ გვაქვს შანსი, ვიპოვოთ ჩვენი სტოუნჰენჯი" - ამბობს ქართველი არქეოასტრონომი.

სექტემბერში საქართველოში ჩამოვა არქეოასტრონომიის უდიდესი სპეციალისტი, პროფესორი კლაივ რაგლსი, საერთაშორისო არქეოასტრონომიის პრეზიდენტი, სტოუნჰენჯის კომისიის წევრი, 12 წიგნის ავტორი. იგი წაიკითხავს ლექციას დიდი საზოგადოებისთვის და ნახავს ქართულ არტეფაქტებს.

ქართული არქეოასტრონომია თავის დროს ელოდება. ჯერჯერობით კი სექტემბრამდე.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# რას ნიშნავს ჩვენთვის სიტყვა - პრინციპი



თითქოს ამ სიტყვას ცალკეული განმარტება არ სჭირდება, ის ერთ-ერთ იმ მარტივ სიტყვათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლის მნიშვნელობის მოძიება განმარტებით ლექსიკონში საჭირო არ არის. და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ სიტყვამ იმდენი მნიშვნელობა შეიძინა - უკვე მნიშვნელობაც კი დაკარგა. თითქმის აღარავინ იცის, რას ნიშნავს, იყო პრინციპული, გქონდეს ერთი ან ორი პირნციპი რომელსაც არავითარ გარემოებაში არ უღალატებ და ა.შ. ისიც ნათელია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რთულია იყო სამაგალითოდ პრინციპული ადამიანი. რასაკვირველია, ვგულისხმობთ სოციალურად აქტიურ პირებს, რომელთა პროფესიონალურ ბიოგრაფიაში რამდენიმე ხარვეზს მაინც მივაგნებთ. თუმცა, ისევე როგორც კომუნისტურ ეპოქაში, მაშინ როდესაც, მართლაც, ძალიან რთული იყო ნონკომფორმისტად დარჩენა, ისინი მაინც რჩებოდნენ, ასევეა დღეს. ქართველ ნონკომფორმისტთა რიცხვი, სამწუხაროდ, შემცირდა. კომფორმისტთა რაოდენობა კი გაიზარდა.

უპრინციპობის ყველაზე ნათელ მაგალითს ის ადამიანები იძლევიან, ვინც ჩვენი, ანუ მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. და ვინ არიან ისინი: ძირითადად პოლიტიკოსები, ე.წ. საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები. თუკი, ისევ კომუნისტურ ხანას გავიხსენებ, მაშინდელ პოლიტიკოსს თუ ბიუროკრატს პრინციპულობა სულაც არ მოეთხოვებოდა. პრინციპულობას საზოგადოება ე.წ. შემოქმედთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს თხოვდა. მაშინდელ მინისტრს კომფორმიზმი და უპრინციპობა პირველ რიგში მოეთხოვებოდა, იყო ერთადერთი ცნება - ერთგულება, რომელიც კომუნისტურ პარტიასთან იყო გაიგივებული. როგორც ეტყობა, დიდი და დიადი პარტიისაკენ ლტოლვა არც დღეს განელებულა, მერე რა რომ დღეს პარტიას სხვა სახელი აქვს, მიზანი ერთია - დიადი ნათელი.

შესაძლებელია დღეს სახელისუფლო პარტიაში გაწევრიანება აუცილებლობას აღარ წარმოადგენდეს, მაგრამ კომფორტული სავარძლის თუ სტატუსის მორგება აუცილებელი პირობაა წარმატებული საქმიანობისათვის. წარმატებულობა კი, პირველ რიგში, სოლიდურ შემოსავლებს და შემდეგ "საზოგადოებაში" საპატიო ადგილს გულისხმობს. მოკლედ, ასეა თუ ისე, თანამედროვე საქართველოში კონფორმისტთა და უპრინციპო ადამიანთა რიცხვი, კიდევ უფრო გამრავლდა. სამაგიეროდ იკლო სამზარეულოში ჩაისა და მურაბის თანხლებით ჩატარებულმა ცხარე დებატებმა აკრძალულ თემებზე თუ პირებზე. დღეს, ვისაც სურვილი აქვს, ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს, რაც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენაა. იყოს მლიქვნელობა და სალი კრიტიკაც ღიად და არა კერძო ბინის მყუდრო კუთხეში, ეს მაინც უკეთესია. ამის შემდეგ საზოგადოება თავად გადაწყვეტს ვინ, როდის და რა პირობებში არის გულწრფელი. ამის დადგენა, მერწმუნეთ, რთული არ არის და არც ის უპრინციპო ქმედებები რჩება საზოგადოების ყურადღების მიღმა, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში უხვად გვხვდება. ამგვარი ადამიანების გამოაშკარავება, ყოველთვის ხელისუფლების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ასე იყო მაშინაც, როდესაც კომუნისტური პარტია უკანა პლანზე გადავიდა და წინ, თუ შეიძლება ითქვას, ეროვნული მოძრაობის ტალღამ გადმოინაცვლა. მაშინ იყვნენ განსაკუთრებით სასაცილო და შემაშფოთებელნი, ე.წ. საზოგადო მოღვაწენი, ჟურნალისტები და სხვა. უკანასკნელ სახელისუფლო ცვლილებებს, დამეთანხმებით, რომ 80-იანი წლების მოვლენებს პირდაპირ ვერ შევადარებთ, თუმცა მსგავსებაც ბევრია.

ყურადღებას, ზოგადად, ტელეარხებზე, თუ ჟურნალ-გაზეთებზე არ გავამახვილებთ. ამ ეტაპზე უფრო საინტერესო ის ადამიანები არიან, რომელნიც თავად არიან უპრინციპობის აშკარა მაგალითი და რაც ყველაზე საინტერესოა, საკუთარი უპრინციპობის მორევში სხვებსაც ითრევენ, ბუნებრივია, ამ სხვების თანხმობით და არა ძალდატანებით. მე, მაგალითად, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სახელმწიფო ტელევიზიას თვალს ვადევნებ, უხერხულობისაგან ადგილს ვერ ვპოულობ და წამყვანების, რედაქტორების თუ უფროსების მაგივრად მრცხვენია. მაგრამ ეს იქით იყოს.

თავისუფალი ჟურნალისტი, სამწუხაროდ, ქართულ მედია-სივრცეში თითქმის არ მოიპოვება, ისინი უშუალო უფროსს ემორჩილებიან, მათი უფროსები მათ მფლობელებს, მფლობელები კი ხელისუფლებას, ან კი პოტენციურ ხელისუფალს თუ უფროსს. ამიტომაც იბმევა დამოკიდებულობის ჯაჭვი, რაც საერთო ჯამში კოშმარულ სურათს ხატავს. მაგრამ, თუკი ადრე მთავარი იდეოლოგი და "ბატონი" პარტია იყო, დღეს პარტია პირდაპირი მნიშვნელობით დამფინანსებელმა შეცვალა. ფინანსების წყარო, მისი სათავე არის დღევანდელი უპრინციპო კონფორმისტების ამოსავალი წერტილი. სრულიად მისაღებია ყოველთვიურად ცვალო სიმღერის ტექსტი, პათოსი და მელოდია კი წლების განმავლობაში ხელუხლებელი დატოვო. სიმღერის ტექსტი ძირითად შემთხვევაში აგრესიული ხასიათისაა. აი, მაგალითად, ერთი ტელესახე რამდენიმე ხნის წინ, კონკურენტ ტელესახეებს თუ არხს, 5 მილიონიანი მაყურებლის წინაშე, გიორგი სანაიას მკვლელს უწოდებდა, დღეს მან "მკვლელებთან" თანამშრომლობა აღადგინა. მერე რა, ეტყობა წამოცდა, ან სულაც ვის ახსოვს, ვინ და როდის რა თქვა, მთავარია, რომ ამ ეტაპზე მას ეს "მკვლელები" მეტს უხდიან. ვიღაცას ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაადგილება არ დასჭირდა, იქვე შეცვალა სიმღერის ექსტი, და უცვლელი პათოსით განაგრძობს ხელისუფლების სამსახურში დგომას. მის ხელქვეითებსაც იგივეს მოუწოდებს და ისინიც ყოყმანის გარეშე ეთანხმებიან. მე მესმის, რომ თუკი მსგავსი შემართებით არ შევასრულებთ დავალებას, შესაძლებელია ლუკმაპურის გარეშე დავრჩეთ, სამწუხაროდ პრინციპულ და საკუთარი საქმის თუ თავის ერთგულ ადამიანებს საქართველოში ჯერ მაინც არ აფასებენ. მაგრამ, ხომ შესაძლებელია ჩვენი უპრინციპობაც გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციოთ და უზნეობაში არ გადავიყვანოთ?! პრინციპულობის თუ ნამდვილი ერთგულების გამო, 37 წელს ადამიანები სიცოცხლეს წირავდნენ. ისიც მესმის, რომ ჩვენ განსხვავებულ რეალობაში გვიწევს არსებობა და საბედნიეროდ, 37 წელი არ არის, მაგრამ ახლა უფრო ადვილია იყო საკუთარი საქმის, მეგობრის თუ კოლეგის ერთგული. გქონდეს პრინციპი, რომელსაც არ უღალატებ. დამეთანხმებით, რომ ამ მარტივი მოთხოვნების შესრულება საკმაოდ ადვილია და, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადვილია, ასეთი ადამიანების დეფიციტს თუ სიმცირეს მაინც განვიცდით. სამაგიეროდ, უზნეო ადამიანები დღითი დღე მრავლდებიან, ყველაზე მეტად კი "სანიმუშო", პოპულარული ტელესახეები არიან: წამყვანები, დიქტორები თუ მათი უფროსები. რატომ ფიქრობენ ისინი, რომ მათი ცოტა ხნის წინანდელი სახალხო გამოსვლები არავის ახსოვს?! მხოლოდ ერთი მინდა ვთქვა, და შევახსენო მათ, რომ ისეთებიც არსებობენ, ვისაც მათი ეგზალტირებული გამოსვლები და ბრალდებები არ ავიწყდებათ. და იქნებ, მომავალში ისიც შესაძლებელი იყოს, რომ უპრინციპობა უზნეობაში, მრუშობაში და გარყვნილებაში არ გადაიზარდოს. იქნებ, კომფორმიზმიც გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციოთ, თუ არადა, ასე როგორც დღეს ხდება, მერწმუნეთ - სამარცხვინოა.

# შეჩერებული წამი

*მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი, ფრანგი ფოტოგრაფი ანრი კარტიე ბრესონი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.*



კარტიე ბრესონის მიერ დანახული "ალავერდი" 1972 წელს.

"ყველაფერს, რაც სათქმელი მაქვს, ჩემი სურათები ამბობენ," თქვა ერთხელ კარტიე-ბრესონმა. თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ერთ დროს საააგენტო "მაგნუმის" რეპორტიორს მეოცე საუკუნის მრავალი დიდი ადამიანი ჰყავს გადაღებული. პაბლო პიკასო, ვილიამ ფოლკნერი, კოკო შანელი, ჩე გავარა თუ იგორ სტრავინსკი - ეს მხოლოდ რამდენიმე სახელია. ყოველ მათგანს ბრესონი თავისებურად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერით იღებდა. ყოველი ფოტოსურათი, ძალიან ბუნებრივი, სადაც ძალდატანება არც ფოტოზე აღბეჭდილს ეტყობა და არც ფოტოს შემოქმედს, ამავე დროს მკაცრი წესების დაცვითაა გადაღებული. ბრესონს ადამიანის სხეულის მრავალი მდგომარეობა ჰქონდა შესწავლილი, ისეთივე სკურპულოზურობით, როგორიც ყოველ მის მოქმედებას ახასიათებდა.

მის ნამუშევრებზე ასახული ადამიანები თითქოს საკუთარ თავში ან საუბარში არიან დანთქმულნი, ისინი "კლასიკური" სახით არასოდეს დგანან კამერის წინაშე. კარტიე-ბრესონის კამერა ადამიანი სულში აღწევს, და ყოველი ფოტოსურათი რეალობას ასახავს, ცხოვრებიდან ამოღებული წამი. ეს ჩე გევარასა თუ მერლინ მონროს პორტრეტებში ყველაზე ცხადად ჩანს: სექსუალური მერლინი, რომელიც ყოველ ფოტოსურათზე თითქოს მხოლოდ სურვილის ობიექტად გვევლინება, ბრესონთან სულ სხვაა: ღრმად ჩაფიქრებილი, ქერათმიანი ქალი სავარძელში ზის და შავ ძაღლს ეფერება. მას ფოტოგრაფი სავსებით დავიწყებული ჰყავს. არც ბრესონის ჩე გევარაა სერიოზული პოლიტიკოსი ან თავზეხელაღებული მებრძოლი. ის ბიჭია, მხიარულად რომ მისჯდომია სუფრას.

თავად ბრესონი თავისი ნამუშევრების უკანა პლანს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ის თვლიდა, რომ გარემო და ფოტოსურათის საერთო განწყობა ადამიანის ხასიათს უსვამს ხაზს. თუნდაც ჯაკომეტის პორტრეტი, 1961 წელს გადაღებული, რომელიც მსოფლიო ფოტოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო პორტრეტადაა მიჩნეული: ხელოვანი გაცვეთილი ხის კარის ფონზე დგას, იღლიაში გაზეთები აქვს ამოჩრილი. დომინანტი მისი გაჩეჩილი თმა და დაღარული სახეა - თავადაც თავის შემოქმედებას ჰგავს...

მაგრამ კარტიე-ბრესონი მხოლოდ "ლამაზ ცხოვრებას" როდი იღებდა. მისი რეპორტაჟები მექსიკიდან, ინდოეთიდან თუ ირანიდან შემზარავია, ადამიანთა ტანჯვას და ადამიანური ღირსების გათელვას დაუნდობელი სიცხადით გვაჩვენებს. გახსოვთ ბრესონისეული ვარშავის გეტო - 1931? ბრმა, წვერიანი ებრაელი მამაკაცი მათხოვრობს. ამ ფოტოსურათის ერთხელ მნახველი მას ვერასოდეს დაივიწყებს.

ისევე, როგორც დაუვიწყარია ქაშმირი, ამომავალ მზეზე მლოცველნი - უზარმაზარი, მონუმენტური ფოტოსურათი. მხოლოდ ეს ერთი კადრიც რომ გადაეღო, მსოფლიო ასეთივე სევდით დაემშვიდობებოდა ფოტოხელოვნების დიდოსტატს.

# სამარცხვინო ანგარიში თერთმეტამდე გაიზარდა

## ვისლა 11:2 ვიტ ჯორჯია



"ვისლა" კრაკოვშიც გამუდმებით გვიტევდა.

"ვიტ ჯორჯიასაგან" სიურპრიზებს არავინ ელოდა. საქართველოს ჩემპიონი, ცხადია, კრაკოვშიც დამარცხდა და ორი მატჩის ჯამში "ვისლასთან" 2:11 წააგო. პირველი მატჩისგან განსხვავებით, კრაკოველებმა ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი დაასვენეს, მათ შორის - თბილისური მატჩის გმირი ფრანკოვსკი, რომელმაც პირველ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა "ვიტ ჯორჯიას" კარში. მიუხედავად ამისა, საქართველოს ჩემპიონის დამარცხება არც "ვისლას" შესუსტებულ შემადგენლობას გასჭირვებია. სტუმართა კართან აურაცხელი საგოლე მომენტები იქმნებოდა, მაშინ, როდესაც ქართველებს მხოლოდ ორჯერ მოუხერხებიათ "ვისლასთვის" შეტევა.

### ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
### განმეორებითი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| **ვისლა (პოლონეთი)** | 3:0 | ვიტ ჯორჯია (საქართველო) |
| **შახტიორი (უკრაინა)** | 1:0 | პიუნიკი (სომხეთი) |
| **მაკაბი (ისრაელი)** | 1:0 | ჰიკი (ფინეთი) |
| **შელბურნი (ირლანდია)** | 2:0 | ჰაიდუკი (ხორვატია) |
| **ტრაპზონსპორი (თურქეთი)** | 3:0 | სკონტო (ლატვია) |
| კოპენჰაგენი (დანია) | 0:5 | **გორიცა (სლოვენია)** |
| **აცსკ (რუსეთი)** | 2:0 | ნეფჩი (აზერბაიჯანი) |
| **სპარტა (ჩეხეთი)** | 2:1 | აპოელი (კვიპროსი) |
| შერიფი (მოლდოვა) | 0:2 | **როსენბორგი (ნორვეგია)** |
| **ფერენცვაროში (უნგრეთი)** | 0:1 | ტირანა (ალბანეთი) |
| **ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)** | 3:0 | იანგ ბოიზი (შვეიცარია) |
| **დინამო (რუმინეთი)** | 1:0 | ჟილინა (სლოვაკეთი) |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) | 0:4 | **ბრიუგე (ბელგია)** |
| კაუნასი (ლიტვა) | 0:2 | **იურგარდენი (შვედეთი)** |

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი
### პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| გრაცი (ავსტრია) | - | ლივერპული (ინგლისი) |
| იუვენტუსი (იტალია) | - | იურგარდენი (შვედეთი) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | - | სპარტა (ჩეხეთი) |
| როსენბორგი (ნორვეგია) | - | მჰაიფა (ისრაელი) |
| ლევერკუზენი (გერმანია) | - | ბანიკი (ჩეხეთი) |
| აცსკ (რუსეთი) | - | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| შახტიორი (უკრაინა) | - | ბრიუგე (ბელგია) |
| დინამო (უკრაინა) | - | ტრაპზონსპორი (თურქ.) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | - | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| დინამო (რუმინეთი) | - | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგ.) |
| ბაზელი (შვეიცარია) | - | ინტერი (იტალია) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | - | ანდერლეხტი (ბელგია) |
| შელბურნი (ირლანდია) | - | დეპორტივო (ესპანეთი) |
| პაოკ (საბერძნეთი) | - | მაკაბი (ისრაელი) |
| გორიცა (სლოვენია) | - | მონაკო (საფრანგეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | - | რეალი (ესპანეთი) |

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 10 და 11 აგვისტოს გაიმართება, ხოლო განმეორებითი შეხვედრები 24/25 აგვისტოს შედგება.

ფეხბურთი

# გენერალური რეპეტიცია

## მოლდოვაში თურქეთის წინ

მიხეილ აბაიშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჟირესი გენერალური რეპეტიციისათვის ემზადება.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები ბოლო, გნებავთ, პირველ მოსამზადებელ ციკლს იწყებს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაბმამდე; ერთდროულად - პირველს და ბოლოს, რადგან თურქეთის ეროვნულ გუნდთან შესარჩევ თამაშამდე ჟირესს და მის შეგირდებს სულ ერთი სპარინგ-მატჩი აქვთ - მოლდოვას ეროვნულ გუნდთან ტირასპოლში. მოლდოვა რომ ვარსკვლავებს არ წყვეტს და განსაკუთრებულ სპარინგ-მეტოქედ ვერ გამოდგება, თავად საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმაც ბრწყინვალედ იცის. მაგრამ, რას ვიზამთ, ამხანაგური მატჩისთვის უკეთესი პარტნიორი ვერ გამოინახა და ჟირესსაც ჩვენი ტრადიციული მეტოქით მოუწევს დაკმაყოფილება.

მომავალ ამხანაგურ თამაშთან და მოახლოებულ შესარჩევ ციკლთან დაკავშირებით ფრანგმა მწვრთნელმა, მისმა თანაშემწემ გია გურულმა და ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელმა გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართეს. მუსიე ჟირესმა და ტყებუჩავამ წარმოგვიდგინეს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც 17 აგვისტოს კიშინიოვში გაემგზავრებიან.

**საქართველოს ეროვნული ნაკრები:**
*ლომაია, დევაძე, მჟავანაძე, კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კვარაცხელია, კვირკველია, ამისულაშვილი, ასათიანი, ჯამარაული, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ბურდული, მუჯირი, გოგუა, ალექსანდრე იაშვილი, დემეტრაძე, ალექსიძე, ჯაკობია.*

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები:**
*თოთლაძე, ბალაძე, შეყილაძე, ციმაკურიძე, იმედაშვილი, ლომიძე, დათუნაიშვილი, კაშია, ელიავა, ბურნაძე, მარცვალაძე, კანკავა, ჭელიძე, ალადაშვილი, ხოჯავა, გურული, მოდებაძე, ებანოიძე, გრიგალაშვილი.*

პრესკონფერენციაზე ალენ ჟირესს დიდი კმაყოფილება არ ეტყობოდა, არც მწირი მოსამზადებელი ეტაპის, არც მომავალი სპარიგ-პარტნიორის გამო. თუმცა, არც ერთი ფრაზით ეს არ გამოუხატავს და აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრები აუცილებლად იბრძოლებს ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად.

"მოლდოვას ნაკრებთან ჩვენი თამაში გენერალური რეპეტიციაა შესარჩევ ტურნირში ჩაბმის წინ. 18 აგვისტოს ტირასპოლში ვითამაშებთ, 2 კვირაში კი უკვე თურქეთთან მისსავე მოედანზე გველის შესარჩევი თამაში, ხოლო კიდევ 4 დღეში თბილისში ვუმასპინძლებთ ალბანელებს. მომდევნო 2 თვეში კიდევ 2 შეხვედრას გავმართავთ: სტუმრად - უკრაინასთან, და შინ - დანიასთან. ზედმეტია საუბარი იმაზე, თუ რამდენად მაღალი კლასის და პოტენციალის მქონე მეტოქეები არიან ჩვენი კონკურენტები. დღეს იმის დარწმუნებით თქმა, რომ საკვალიფიკაციო ბარიერს აუცილებლად გადავლახავთ, სწორი არ იქნება. ჩვენ ეს მიზანი გვაქვს დასახული და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ", - საკმაოდ ფრთხილია ჟირესი და ამის საფუძველიც აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ნაკრებს საგზურისათვის ბრძოლა ახალგამომცხვარ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრებთან, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ დანიის ნაკრებთან და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ თურქეთის ნაკრებთან მოუწევს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინაზე, რომელიც მუდმივად ითვლება ყველა შესარჩევი ციკლის ერთ-ერთ ფავორიტად.

"საგზურის მოპოვების შანსებზე არაფერს ვიტყვი. 1 პროცენტიც რომ არსებობდეს, შანსია და მისი გამოყენება შეიძლება. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენ პროცენტად შეაფასებდით საბერძნეთის ნაკრების შანსებს ტურნირში გამარჯვებაზე? ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს შანსი და მის რეალიზებას შევეცდებით. მეტოქეებს კი განსაკუთრებული შეფასება არ სჭირდებათ. საბერძნეთი ევროპის ჩემპიონი გახდა და ამით ყველაფერი ნათქვამია. თუმცა, ეს მომენტი უფრო დაგვეხმარება, ვიდრე ხელს შეგვიშლის. როდესაც ევროპის ჩემპიონს ეთამაშები, გაცილებით დიდი მოტივაცია გაქვს და ეს ფაქტორი ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებს. პირადად მე ევროპის ჩემპიონატზე დანიის ნაკრები უფრო მომეწონა", - ასეთი მოკლე შეფასება მისცა ჟირესმა იმ უახლოეს მეტოქეებს, რომლებმაც ევრო-2004-ში დიდი წარმატებით ითამაშეს.

ფრანგმა სპეციალისტმა, მიზეზთა გამო, მოლდოვასთან სათამაშოდ ოპტიმალურ შემადგენლობას ვერ მოუყარა თავი. ფეხბურთელების ნაწილი ტრავმირებულია (ახალაია, აშვეთია, სანდრო იაშვილი, სილაგაძე), ნაწილი ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში არ გახლავთ (ნემსაძე, ჭიჭველიშვილი, სალუქვაძე, შოთა არველაძე), ნაწილს დისკვალიფიკაცია აქვს. ამიტომ, მისი თქმით, ოფიციალური თამაშების წინ ნაკრების შემადგენლობა კიდევ შეიძლება გადახალისდეს.

"მე მუდმივად ვაგრძელებ სასელექციო სამუშაოებს და კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ეროვნული გუნდის კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა. ძალიან ცოტა დრო რჩება თურქეთთან მატჩამდე. ამიტომ, არ მგონია, რომ დღევანდელმა სიამ დიდი ცვლილებები განიცადოს. თუმცა, 3-4 ცვლილება, ალბათ, მაინც მოხდება. ჩვენ ვაკვირდებით ახალგაზრდებსაც და კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ქართულ კლუბებში გამოჩნდნენ ძალზე პერსპექტიული ნორჩი ფეხბურთელები. მათ რიცხვს მიეკუთვნება დინამოელი ჯაბა კანკავა, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის დეფიციტურ პოზიციაზე - საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს. სამწუხაროდ, საქართველოში, თითქმის, არ გვყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც "ჩამშლელი ფეხბურთის" თამაში კარგად შეუძლია. კანკავამ ამ ასპექტში ყურადღება მიიქცია და, თუ თავში არ აუვარდა და იგივე მონდომებით გააგრძელა ვარჯიში და სპორტული ოსტატობის დახვეწა, დიდი მომავალი ელის. მთავარია, რომ წარმატებებმა თავბრუ არ დაახვიოს, რის გამოც, არა ერთი და ორი ფეხბურთელი დაკარგულა. ეს მხოლოდ კანკავას არ ეხება. იგივე შეიძლება ითქვას იმ პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელების ჯგუფზე, ბოლო ხანს რომ გამოჩნდნენ "დინამოში", "თბილისში" და ზოგიერთ სხვა ქართულ კლუბში", - ახლო მომავალში ადგილობრივი კადრებით შევსებას ელის ჟირესი.

საქართველოს ნაკრები გუნდები თბილისში 15 აგვისტოს შეიკრიბებიან, 17-ში ჩარტერული რეისით კიშინოვში გაემგზავრებიან, 18-ში კი მასპინძელთა ეროვნულ და ახლაგაზრდულ ნაკრებ გუნდებს გაეჯიბრებიან.

რაგბი

# ლომუს მეორედ დაბადება

## ახალზელანდიელი მორაგბის ათწლიანი ავადმყოფობა, შესაძლოა, სამ თვეში დასრულდეს

პაატა თოთაძე



შესაძლოა, ლომუმ თამაში განაახლოს.

"დღეს მდგომარეობა იმაზე უკეთესია, ვიდრე ორი დღის წინ იყო", - ამგვარად დაიწყო მედიასთან საუბარი "ოლ ბლექსის" ყოფილმა ექიმმა ჯონ მეტიუმ. მედიის წარმომადგენელთა მასთან სტუმრობა კი ჯონა ლომუს ავადმყოფობით იყო გამოწვეული. დაახლოებით, ათი წელია, ლომუს თირკმელი აწუხებს. ამის გამო, მორაგბეს ხშირად უწევდა უქმად ყოფნა, გასულ წელს კი ექიმებმა მას საერთოდ აუკრძალეს თამაში - წინააღმდეგ შემთხვევაში, ლომუს ინვალიდობის საფრთხე ემუქრებოდა. მორაგბეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები პირველად 1995 წელს გაუჩნდა, თუმცა მაშინ მან მაინც ითამაშა მსოფლიო თასზე და ნახევარფინალურ მატჩში ინგლისის წინააღმდეგ ოთხი ლელოც გაიტანა. ამის შემდეგ ავადმყოფობამ კიდევ უფრო დარია ხელი და 1997 წელს მას, ლამის, მთელი სეზონი გაუცდა; 1999 წელს მსოფლიოს თასზე მისი მონაწილეობა ეჭვქვეშ იდგა, თუმცა მორაგბემ მაინც თავისი გაიტანა და, ექიმთა ძალისხმევით, როგორლაც, მცირე ხნით მოახერხა ფორმაში ჩადგომა. 2003 წამდე ის იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდა თამაშს. შარშან კი, როცა მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ექიმებმა თამაში აუკრძალეს. ამ ხნის მანძილზე ნაკრებში ნათამაშებ 63 მატჩში მან 37 ლელოს გატანა მოახერხა, რაც სარაგბო სამყაროში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

უცნაურია, მაგრამ ექიმებმა ზუსტად ახლაც არ იციან ავადმყოფობის სახელი, რომელმაც ლომუს თირკმელის დაავადება გამოიწვია. მორაგბის გამოსაჯანმრთელებლად საჭირო იყო დონორი, რომლის თირკმელსაც გადაუნერგავდნენ ავადმყოფს, და აი, ორი თვის წინ დონორიც გამოჩნდა. ჯერჯერობით მის ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა ბრიტანულმა ტაბლოიდებმა უკვე დაიწყეს ინფორმაციის მოპოვება იმაზე, თუ ვინ გაიღო ასეთი მსხვერპლი ლომუსთვის. ინგლისელებს ეჭვი მის ახლო ნათესავზე აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დონორის თირკმელი იდეალურად თავსებადი იყო.

"ახლა ის იმყოფება იმ მდგომარეობაში, როგორშიც უნდა იმყოფებოდეს ოპერაციაგადატანაილი ადამიანი. უახლოესი სამი თვის განმავლობაში რაიმე წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ პერიოდში ტრანსპლანტანტი ორგანიზმს უნდა შეეგუოს - ასე ვთქვათ, თავი უცხოდ არ უნდა იგრძნოს. სამი თვის შემდეგ ვიტყვი ავადმყოფობა განვკურნეთ თუ არა", - ამგვარი იყო ექიმ მეტიუს აზრი სამი დღის წინ, ანუ მაშინ, როცა მორაგბეს ოპერაცია გაუკეთეს. გუშინდელმა საუბარმა კი რაგბის გულშემატკივრებს იმედი გაუღვივა, რომ ლომუ დიდ სპორტში დაბრუნებას შეძლებს.

"მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება. სხვაგვარად რომ იყოს, ექიმები იტყოდნენ. რაკი ამ დრომდე არანაირი გართულება არ ყოფილა, გამოდის, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ჯონაც მალე დადგება ფეხზე", - ასეთია მორაგბის ერთ-ერთი გულშემატკივრის აზრი. სხვათა შორის, მორაგბის სანახავად, გასამხნევებლად მშობლიური ტონგადან ნათესავები ჩასულან და იქაური ექიმბაში, მკითხავი თუ ჯადოქარი ჩაუყვანიათ, - ამ ბიჭს ეს თუ მოარჩენსო.

ამასობაში სამხრეთ ნახევარსფეროში გრძელდება სამი ერის პირველობა. ჯერჯერობით გათამაშებას ლიდერობს ახალი ზელანდიის ნაკრები გრემ ჰენრის თავკაცობით. ზელანდიელებმა ჯერ ავსტრალიის "ვოლაბიზი" (16:7), შემდეგ კი სამხრეთ აფრიკის "სპრინგბოქსი" (23:21) დაამარცხა. აფრიკელებმა ამის შემდეგ მეორე მარცხიც იწვნიეს, ამჯერად ავსტრალიელებისგან (30:26), თუმცა აღსანიშნავია, რომ წლეულს ეს გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე გასულ წლებში, შედეგად ტოტალიზატორებში თუ რაგბის სპეციალისტებში აფრიკელთა შანსებს ტურნირის მოგებაზე არც თუ მცირედით აფასებენ. სამხრეთ აფრიკელებმა ორივე წაგებულ მატჩში მოახერხეს პრემიალური ქულის მოპოვება. ორივეჯერ იმიტომ, რომ 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით დათმეს მატჩი.

სამხრეთ ნახევარსფეროსგან განსხვავებით ჩრდილოეთში უძრაობაა სანაკრებო თვალსაზრისით. ერთადერთი კლუბები აქტიურობენ მეტ-ნაკლებად - დამდეგი სეზონისთვის ემზადებიან. ამიტომაცაა რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეიტინგი გასული თვის მსგავსად თითქმის უცვლელი რომაა. სამად სამი ცვლილებაა რეიტინგში და ისიც ორმოცდაათეულს მიღმა. აქამდე 53-ე ნომრად მყოფმა კენიის ნაკრებმა ორი საფეხურით აინაცვლა, შედეგად თითო-თითო საფეხურით დაქვეითდნენ კენიაზე წინ მდგომი სლოვენია და პერუ. საქართველოს ნაკრები კვლავაც 22-ეა მსოფლიოში 61,06 ქულით. ჩვენი მეტოქეებიდან ერთა თასის გათამაშებაში პირველი რუმინეთია, რომელიც სადღეისოდ მსოფლიოს მე-14 გუნდია 68,19 ქულით, პორტუგალიას კი 64,66 ქულა აქვს და მე-17 ადგილი უკავია. რაც შეეხება დანარჩენებს, რუსეთი, უკრაინა და ჩეხეთი ჩვენზე უკან არიან. რეიტინგის პირველი ათეული კი ამგვარად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 92,31 |
| 2. ავსტრალია | 87,89 |
| 3. ინგლისი | 87,30 |
| 4. საფრანგეთი | 86,05 |
| 5. სამხრეთი აფრიკა | 82,79 |
| 6. ირლანდია | 81,03 |
| 7. უელსი | 77,43 |
| 8. არგენტინა | 77,05 |
| 9. შოტლანდია | 75,50 |
| 10. ფიჯი | 74,17 |

TV-სპორტი

**პარასკევი. 6 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. სეზონი 2000/2001. SAN ANTONIO SPURS - SACRAMENTO KINGS
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "რომა"
13:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "გოიასი"
15:35 თავისუფალი დარტყმა
15:50 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "შტუტგარტი"
17:30 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლივერპული"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000/2001. ნახევარფინალი. "ვალენსია" - "ლიდსი"
21:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შალკე". პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნიცა" - "ლიონი"
01:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:05 02:05-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. The Radio City Game
05:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:30 NBA TV - სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic

**НТВ+СПОРТ**
10:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:45 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. Masters Series ცინცინატში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:20 კანადის თასი 1992 და მსოფლიო თასი 1996 - "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
15:00 ტხეკვონ-დო. მსოფლიო ჩემპიონატი არხანგელსკში. მესამე ნაწილი
16:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
17:15 "ბილიარდის მეუფენი"
17:45 ტაილანდური კრივი. "მათთვის, ვინც ოცდაათ წელზე მეტისაა"
18:30 "ოლიმპიური ისტორია". ლოს ანჯელესი, 1984 წელი. მეორე ნაწილი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "საუკუნის ათლეტები". ალექსანდრ ივანიცკი
22:00 მძლეოსნობა. IAAF Golden League შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე

**EUROSPORT**
10:30 ფეხბურთი - Blue Stars Youth Cup
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
11:30 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
12:30 ფეხბურთი. ქალების იუნიორთა ჩემპიონატი ფინეთში. ნახევარფინალი
14:15 ფეხბურთი. KAPPA CUP ესპანეთში
15:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
17:15 ფეხბურთი. ქალების იუნიორთა ჩემპიონატი ფინეთში. ნახევარფინალი
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 ჩოგბურთი - ახალბედა
21:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 მულტისპორტი
00:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასის ეტაპი Rally de l'Orient
00:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
01:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:45 ახალი ამბები
02:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ასპარეზობა თურქეთში
03:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" ჩეხმა ნახევარმცველმა ვლადიმირ შმიცერმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, უახლოეს ხანებში ფეხბურთის თამაში შეწყვიტოს. ამ განცხადების მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც შმიცერმა აშშ-ში, "ლივერპულის" კომერციული ტურნეს დროს მიიღო. "ექიმების თქმით, იმის ალბათობა, რომ მე ტრავმის მოშუშებას ვერ შევძლებ, საკმაოდ დიდია", - ამბობს შმიცერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შესაძლოა, იტალიელი ვეტერანი პაოლო დი კანიო სულ მალე რომის "ლაციოში" ჩაირიცხოს. ამ კლუბში ის მრავალი წლის წინათ თამაშობდა, შემდეგ კი ინგლისში გადაბარგდა. დი კანიო, რომელიც ამჟამად "ჩარლტონის" ღირსებას იცავს, არასოდეს მალავდა, რომ კარიერის დასრულება საკუთარ ქვეყანაში სურდა. "ლაციოში" მისი დაბრუნება კი საკმაოდ რეალურია. რომაული კლუბის პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ამბობს, რომ მისი კლუბი დიდი სიხარულით მიიღებს 36 წლის დი კანიოს, თუ ეს უკანასკნელი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა "ლაციოში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "ატლეტიკო" მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილ ფეხბურთელთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. ურუგვაელი მარსელო სოსა, სულ რაღაც, ხუთი თვის წინათ ჩაირიცხა "სპარტაკის" შემადგენლობაში, თუმცა შემდეგ ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა და სამშობლოში დაბრუნდა. ახლა ის მადრიდში იმყოფება და "ატლეტიკოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს "მანჩესტერ სიტის" ფრანგ ფორვარდ ნიკოლა ანელკასთან. მას შემდეგ, რაც ფერნანდო მორიენტესი მადრიდის "რეალს" დაუბრუნდა, "მონაკო" ინტენსიურად ეწევა თავდამსხმელის ძიებას. დეშამის გუნდი "ბარსელონელი" სავიოლას გადაბირებითაც არის დაინტერესებული, თუმცა ერთდროულად ორი ფორვარდის შეძენის საშუალებას "მონაკოს" ფინანსური შესაძლებლობები ნამდვილად არ იძლევა. დეშამს ახლა სავიოლასა და ანელკას შორის არჩევა მოუწევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის საინფორმაციო წყაროები ირწმუნებიან, რომ ლონდონის "ჩელსის" რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ მომავალ სეზონს ტურინის "იუვენტუსში" გაატარებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მუტუ იჯარის წესით გადავა "იუვენტუსში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შესაძლოა, ლონდონის "არსენალმა" კიდევ ერთი ვარსკვლავი დაკარგოს. არ არის გამორიცხული, რომ პატრიკ ვიეირას შემდეგ "მეთოფეთა" რიგები შვედმა ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმაც დატოვოს. ამ ფეხბურთელის შეძენით ერთდროულად სამი იტალიური კლუბი, "ინტერი", "რომა" და "იუვენტუსი" არიან დაინტერესებულები. თუ რომელიმე მათგანი, შვედი ნახევარმცველის სანაცვლოდ, 15 მილიონ გირვანქას გადაიხდის, "არსენალი" ლიუნგბერგის გაშვებაზე ყაბულს იქნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთის ნაკრების 34 წლის მცველი ბიქსენტ ლიზარაზუ თავის სანაკრებო კარიერას ასრულებს. მიუნხენის "ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კი ფრანგული "მარსელის" მოთამაშე ლიზარაზუ, საფრანგეთის ნაკრების ახლად დანიშნულ მწვრთნელს რაიმონ დომენეკს შეხვდა და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ეროვნული გუნდის მიტოვება. ლიზარაზუს თქმით, ნაკრებიდან მისი წასვლა ოჯახთან ერთად მეტი დროის გატარების სურვილით არის გამოწვეული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "რომას" ხელმძღვანელობამ უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბმა იტალიის ნაკრებისა და "კიევოს" ნახევარმცველი პეროტა შეიძინა. სატრანსფერო თანხა 7,2 მილიონ ევროს შეადგენს. ამიერიდან პეროტასთან ერთად "რომას" ღირსებას მატეო ბრიგიც დაიცავს, რომელიც "იუვენტუსიდან" იჯარით გადმოიყვანეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციოს" და კლაუდიო ლოპესის გზები გაიყარა. არგენტინელი ფორვარდი, რომელიც "ლაციოს" ღირსებას 2000 წლიდან იცავს, კარიერას მექსიკის კლუბ "ამერიკაში" გააგრძელებს. ფინანსურად დასუსტებული "ლაციო" ლოპესის ხელფასს ველარ აუდიოდა და გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელი მექსიკაში გაენათხოვრებინა.

## ოლიმპიზმი

# "ბორჯომის" წვლილი ათენის ოლიმპიადაზე

### "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" სპორტს პატრონობს

გურამ ჭილლაძე

*ის, ვინც ცხელ ზაფხულს "ბორჯომით" იგრილებს ყელს, შეამჩნევდა მის ტრადიციულ ეტიკეტზე ერთგვარ ჩამატებას. ეტიკეტის მეორე კუთხეში მარადიულობის სიმბოლო - ბორჯღალი და ოლიმპიური რგოლები გაჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას უდგას გვერდში; ერთი სიტყვით, სპონსორია.*



*პერე მირო ხუან ანტონიო სამარანჩს (მარჯვნივ) "ბორჯომით" უმასპინძლდება.*

ზოგადად, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სხვა გამორჩეული სპონსორებიც ჰყავს. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია "ბორჯომი", რაც უკვე იმაზე მიუთითებს, რომ სპორტი ისეთივე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, როგორც "ბორჯომი" და "ბორჯომის წყალი" - პროდუქცია, რომელიც თითოეული ოჯახისთვის ერთგვარი გაჭირვების ტალკვესია. ბორჯომს ხომ გამაგრილებელ საშუალებადაც იყენებენ და სამკურნალოდაც.

"ბორჯომი", მეორე ოლიმპიური ციკლია, რაც სეოკ-ის ოფიციალურ პარტნიორად გვევლინება. სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული საქართველოს "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ქართველი ოლიმპიელების სამსახურშია და თანადგომას საკუთარი პროდუქციით ადასტურებს. დასტური ეტიკეტია, რომელიც საგანგებოდ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვისაცაა შემუშავებული. ქართველი ოლიმპიელები კი უმთავრეს სარბიელზე 13 აგვისტოს შეაბიჯებენ. იმედია, "ბორჯომის", ისევე, როგორც სხვა სპონსორთა შრომა დაფასდება და ათენიდან ოლიმპიურ ოქროს მედალს ჩამოიტანენ.

ისე, როგორი ამბავია, "ბორჯომის" ეტიკეტი, საუკუნეზე მეტია, ხელუხლებელია, ახლა კი უცვლელ დიზაინში ადგილი გამოუძებნეს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც.

"როდესაც ჩვენს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო, არჩევანის გაკეთებაში სეოკ-ს თავისუფლება მივეცით, - ვითარებაში გვარკვევს "მინისა და მინერალურ წყლების კომპანიის" მარკეტინგის განყოფილების უფროსი ლევან კასრაძე, - კერძოდ, მათზე იყო დამოკიდებული ის, თუ რა სახის დახმარება უნდა აღმოგვეჩინა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის. ამ შემთხვევაში, სეოკ-მა კავშირგაბულობის, ანუ საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფა ითხოვა და ჩვენც სწორედ მათ არჩევანზე გავაკეთეთ აქცენტი".

ბუნებრივია, სეოკ-სა და "მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" შორის პარტნიორობა ორივე მხარისთვის, გარკვეულწილად, სარგებლიანი უნდა ყოფილიყო.

სხვათა შორის, უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც, ზოგადად, საკუთარი პროდუქციის სანდოობაზე სურთ ყურადღების გამახვილება და, შესაბამისად, მომხმარებლის მიზიდვა, ამისთვის საკუთარ პროდუქციას ოლიმპიური რგოლებით ამშვენებენ. თუმცა, არც ისეა საქმე, რომ ნებისმიერ მსურველს ოლიმპიური რგოლების გამოყენების პატივი ხვდეს წილად. ამასაც დამსახურება უნდა, ვინაიდან ოლიმპიური მოძრაობის უკან საუკუნოვანი ტრადიციები და ისტორიაა. ტრადიციები და ისტორია არც "ბორჯომს" აკლია. რაკი მაინც "ბორჯომსა" და, ზოგადად, ოლიმპიურ მოძრაობაზე ვსაუბრობთ, ისიც აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა და "ბორჯომი", ფაქტობრივად, ერთი თაობისანი არიან - თანამედროვე ოლიმპიურ თამაშები 1896 წლიდან იღებს სათავეს, სახელოვანი მინერალური წყალი 1890 წლიდან ისხმება. ვის აღარ დაუგემოვნებია "ბორჯომი". "ბორჯომით" საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც კი მოხიბლულა. მას ხომ ნებისმიერ მიღებაზე თუ უბრალო სუფრაზე გამორჩეული ადგილი უკავია.

რა თქმა უნდა, "ბორჯომი" მხოლოდ სეოკ-თან არ თანამშრომლობს. მინისა და მინერალური წყლების კომპანია რიგ სპორტულ ღონისძიებებზეც გვევლინება სპონსორის რანგში. ერთ-ერთი მათგანია ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით "ბორჯომის თასი", რომელსაც, სხვათა შორის, თბილისი წელს, შემოდგომაზე, 4 სექტემბერს უმასპინძლებს.

და კიდევ, "მინისა და მინერალური წყლების" კომპანია, მხოლოდ სპორტს კი არა, კულტურასაც გვერდში უდგას.

რომ არა "მინისა და მინერალური წყლების" კომპანია, წელს ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი - "ხელოვნების ზეიმი", ალბათ, არც ჩატარდებოდა. გეხსომებათ, თუ რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა იმას, რომ ფესტივალისთვის გათვალისწინებული სახსრები კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ სეკვესტრირებული იყო. სწორედ ამ დროს "ხელოვნების ზეიმს" მაშველად "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" მოევლინა, რომელმაც 200 ათასის ნახევართან ერთად სამინისტროსგან ნაკლული თანხის დეფიციტიც საკუთარ თავზე აიღო. გარდა ამისა, "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" წლეულს, სექტემბერში ნიდერლანდურ-ფლანდრიული კულტურული დღეების სპონსორადაც მოგვევლინება. აღნიშნული კულტურული დღეები პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით ჩატარდება.

## ჩოგბურთი

# я так думаю



*ფერერო მისმა თანამემამულე რობრედომ გაისტუმრა ცინცინატის მასტერსიდან.*

სანდრო ნავერიანი

ცინცინატში გრძელდება წელს რიგით მეექვსე მასტერსის გათამაშება. როგორც უკვე მოგახსენეთ (გუშინდელ წერილში), ფედერერი ტურნირს გამოეთიშა. მის გზას დაადგა ესპანელი ხუან კარლოს ფერეროც. დანარჩენი, ასე ვთქვათ, ფავორიტები, აგრძელებენ ასპარეზობას და უკვე მერვედფინალშიც გააღწიეს.

გუშინწინდელი შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო ბრიტანელი გრეგ რუსედსკისა და არგენტინელი გასტონ გაუდიოს შეხვედრა გამოდგა. შეხვედრა ბრიტანელმა მოიგო. მატჩი საკმაოდ დაძაბული იყო, თუმცა დროდადრო ჩოგბურთელები ძალიან იოლად ახერხებდნენ თავიანთ მოწოდებაზე გეიმის აღებას. მატჩის წინა პრესკონფერენციაზე გაუდიომ განაცხადა, რომ თავს კარგად ვერ გრძნობს. შეიძლება, ეს თავის დაზღვევის მიზნითაც ყოფილიყო ნათქვამი, მაგრამ არ მგონია, "როლან გაროს" გამარჯვებული ჩოგბურთელი თავის დაზღვევას ცდილობდეს.

ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუტმა ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი დაამარცხა. გუსტავო კუერტენი, რომელზეც წერდნენ, რომ ის დაბრუნდა, მან ოპტიმალური ფორმა აღიდგინა, უძლური აღმოჩნდა ავსტრალიური ბარიერის წინააღმდეგ. ჰიუიტმა კუერტენი ორ სეტში 6:3, 6:4 დაამარცხა. ეს ჩოგბურთელები ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს. პირველი შეხვედრა 2000 წელს ინდიანაპოლისში გაიმართა, რომელიც ბრაზილიელის გამარჯვებით დასრულდა. 2001 წელს ავსტრალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების დაპირისპირებაში ლეიტონ ჰიუტმა გუსტავო კუერტენი დაამარცხა და ამით ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გაათანაბრა. 2003 წელს კი "ინდიან ველსის" მასტერსზე ლეიტონ ჰიუტმა მეორე შეხვედრა მოუგო ბრაზილიელს. ასე რომ, ისინი, გუშინწინდელი შეხვედრის ჩათვლით, სულ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

ტურნირიდან ერთ-ერთი ფავორიტის გავარდნით აღინიშნა ესპანური დერბი. ერთმანეთს ტომი რობრედო და ხუან კარლოს ფერერო დაუპირისპირდნენ. ფერერო, როგორც ჩანს, გადაღლილია და მისთვის ორ სეტზე მეტის სწრაფ ტემპში ჩატარება ურთულესი ამოცანაა. პირველი სეტის წაგების შემდეგ, რომელიც ძალიან, უჩვეულოზე დიდხანს გაგრძელდა, ფერერომ შეძლო და შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა - მეორე სეტი მოიგო, მაგრამ მესამე სეტში დაღლა დაეტყო. მართალია, რობრედო მასზე ორი წლით უმცროსია, მაგრამ ეს არაფერ შუაშია. ლაპარაკი რომ იყოს 30 წლის ფეროროზე და 28 წლის რობრედოზე, კიდევ შეიძლება, რომ დაღლა ასაკს დააბრალო, მაგრამ როდესაც ერთი 24 წლისაა და მეორე-22-ის, ამაზე საუბარი ზედმეტია. რობრედომ მესამე სეტი იმავე ანგარიშით მოიგო, როგორითაც მეორე წააგო - 6:4. ამ ჩოგბურთელების პირველი შეხვედრა 1999 წელს მალიორკას ტურნირზე შედგა. მაშინ გამარჯვებული ფერერო გამოვიდა. მეორე შეხვედრა კი 2001 წლის US Open-ზე, სადაც რობრედომ თანამემამულეს სძლია. ცინცინატის მასტერსზე გამართული შეხვედრა რიგით მესამე იყო.

არც ბებერ აგასის შეურცხვენია თავი - მან შვედი ტომას იოჰანსონი დაამარცხა. ამერიკელის და შვედის დაპირისპირება შორეული 1998 წლიდან იღებს სათავეს. ის შეხვედრა ჩეხეთში, ოსტრავაში შედგა, სადაც აგასიმ სამ სეტში 6:7, 6:4, 6:4 გაიმარჯვა. მას შემდეგ აგასი და იოჰანსონი კიდევ ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს (გუშინწინდელი მატჩის ჩათვლით). ყველა შეხვედრა აგასის გამარჯვებით დასრულდა, ბოლო შეხვედრა კი პარიზის მასტერსზე 2002 წელს ჩაატარეს.

მერვედფინალებში ბევრი საინტერესო შეხვედრის მომსწრენი უნდა გავხდეთ, я так думаю. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა ჰიუტსა და ჰენმანს შორის გაიმართება. ბრიტანელი და ავსტრალიელი ადრე შვიდჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და შვიდივე მატჩი ავსტრალიელის გამარჯვებით დასრულდა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, ჰიუიტმა ჰენმანი სადაც დაიჭირა, არ გაახარა.

მერვედფინალში ანდრე აგასის მეტოქე იქნება არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა. ეს ჩოგბურთელები 2002 წელს შეხვედრიან ერთმანეთს სკოტსდეილის ტურნირზე, სადაც აგასიმ გაიმარჯვა. ასე რომ, სტატისტიკური მონაცემები არაფერს გვაძლევს - ყოველ შემთხვევაში, ფავორიტის დასახელების საშუალებას არა. საერთოდ, აგასის თუ უნდა, დაამტკიცოს, რომ კიდევ ოპტიმალურ ფორმაშია, მაშინ სწორად ახლაა ამის დრო.

ახალგაზრდა ამერიკელი ენდი როდიკი მერვედფინალში ტაილანდელ პარადორნ შრიჩაპხანს დაუპირისპირდება. ამ ჩოგბურთელებს შორის ურთიერთშეხვედრებში ანგარიშია ოთხით ერთი ამერიკელის სასარგებლოდ. მათი პირველი შეხვედრა 2001 წელს ვაშინგტონში შედგა. მაშინ ამერიკელმა გაიმარჯვა. მეორე შეხვედრა პარიზის მასტერსზე გაიმართა, სადაც ტაილანდელმა იმარჯვა. დანარჩენი სამი შეხვედრა ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. ვნახოთ, რას იზამს ცინცინატში როდიკი, ან ,თუნდაც, შრიჩაპხანი.

**მეორე წრის შედეგები:**

| | |
|---|---|
| უეინ არტურსი (ავსტრალია) - მარიანო საბალეტა (არგენტინა) | 6:2, 7:6 |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი) - დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 6:7, 6:3, 6:3 |
| გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) - გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 4:6, 7:6, 6:4 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) - ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) | 6:4, 4:6, 6:4 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 7:5, 6:3 |
| ტომი ჰაასი (გერმანია) - სარგის სარგისიანი (სომხეთი) | 6:3, 6:3 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი) - ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 7:6, 4:6, 6:4 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 6:3, 6:4 |
| ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) | 7:6, 6:4 |
| მარატ საფინი (რუსეთი) - ჯეფ მორისონი (აშშ) | 6:4, 6:4 |
| რობინ სოდერლინგი (შვედეთი) - ლუის ჰორნა (პერუ) | 6:2, 6:3 |
| ენდი როდიკი (აშშ) - ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 6:4, 6:4 |
| ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2:6, 6:3, 6:2 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) - ჰიხამ არაზი (მაროკო) | 4:6, 6:3, 7:5 |
| ანდრე აგასი (აშშ) - ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 6:1, 3:6, 6:1 |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) - სიენგ შალკენი (ჰოლანდია) | 6:3, 6:4 |

**მერვედფინალები:**

იონას ბიორკმანი (შვედეთი) - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)
გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) - ტომი რობრედო (ესპანეთი)
ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - მარატ საფინი (რუსეთი)
ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)
ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - ანდრე აგასი (აშშ)
უეინ არტურსი (ავსტრალია) - კარლოს მოია (ესპანეთი)
ტომი ჰაასი (გერმანია) - რობინ სოდერლინგი (შვედეთი)
პარადორნ სრიჩაპხანი (ტაილანდი) - ენდი როდიკი (აშშ)

# კოსმოსური ტურიზმის პიონერი ოქტომბერში გამოვლინდება

კაცობრიობის ისტორიაში პირველი კოსმოსური პილოტირებადი აპარატების კონკურსი, სახელად "ანსარი X პრაიზ" დასასრულს მიუახლოვდა. არა იმიტომ, რომ მისი დათქმული ბოლო ვადა 2005 წლის 1 იანვარს იწურება, არამედ იმიტომ, რომ უკვე გამოცხადდა დრო, როცა კონკურსის პირობის შესრულებას ეცდება მისი ერთ-ერთი მონაწილე.

კონკურსში მონაწილე 27 კომპანიას შორის მიზანთან ყველაზე ახლოს ამერიკული "სქეილდ კომპოზიტსია", რომლის მიერ დამზადებულმა აპარატმა სახელად "სპეისშიპვან", 2004 წლის 21 ივნისს, საცდელი გაფრენის დროს უკვე მიაღწია კოსმოსს. სწორედ ამ კომპანიის ხელმძღვანელმა და დამაარსებელმა, ცნობილმა ავიაკონსტრქტორმა ბერტ რუტანმა გამოაცხადა 27 ივლისს, რომ ათმილიონიანი პრიზის მოსაგებად პირველ გაფრენას 2004 წლის 29 სექტემბერს განახორციელებს, რასაც ორი კვირის შემდეგ, 13 ოქტომბერს მეორე გაფრენაც მოჰყვება. ორივე გაფრენა განხორციელდება კონკურსის ორგანიზატორთა მიერ სპეციალურად არჩეულ, კალიფორნიაში მდებარე მოხავეს უდაბნოს კოსმოდრომიდან.

"სქეილდ კომპოზიტსს" კვალში უდგას კანადური გუნდი სახელად



"სპეისშიპვანს" სასტარტო პოზიციაზე თვითმფრინავი "უაიტ ნაიტი" (ზედა ფიუზელაჟი ფრთებით) გაიყვანს



"უაილდ ფაიერის" დაშვების კომპიუტერული სიმულაცია

"და ვინჩი პროჯექტ", რომელმაც გამოაცხადა, რომ 5 აგვისტოს მოაწყობს თავისი რაკეტის, "უაილდ ფაიერის" პრეზენტაციას, რომელზეც პირველი, საცდელი გაფრენის თარიღი გამოცხადდება, რომელიც ალბათ შემოდგომაზე განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ საინიციატივო ჯგუფმა კონკურსი "X პრაიზ" 1996 წელს ჩამოაყალიბა. კონკურსის პირობები ითვალისწინებს კერძო კომპანიის ან ჯგუფის მიერ, პირადი სახსრებით შექმნილი აპარატის კოსმოსში, მიწის ზედაპირიდან ასი კილომეტრის სიმაღლეზე გაყვანას. აპარატი უნდა იყოს სამადგილიანი, ან უნდა შეეძლოს ერთი პილოტისა და დანარჩენი ორი მგზავრის ნაცვლად, შესაბამისი წონის ბალასტის კოსმოსში აყვანა. ამასთან, პირველი, წარმატებული გაფრენის შემდეგ, კონკურსში გასამარჯვებლად აუცილებელია გაფრენის გამეორება ორი კვირის განმავლობაში. კომპანია, რომელიც პირველი შეასრულებს ამ პირობებს, პრიზის სახით 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

"სქეილდ კომპოზიტსის" პრეზენტაცია ლოს ანჯელესში, ზუსტად იმ აეროპორტში შედგა, საიდანაც 80 წლის წინ სტარტი აიღო ჩვენი პლანეტის გარშემო პირველმა საავიაციო კრუიზმა. "კოსმოსში წელიწადში სამი-ოთხი ადამიანის გაფრენა ჩვენ ველარ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია, შეიქმნას იმის პირობა, რომ დღეში სამ-ოთხ ადამიანს შეეძლოს ჩვენი პლანეტის დანახვა კოსმოსური ხომალდის ილუმინატორიდან", - განაცხადა ფონდ "X პრაიზის" დამაარსებელმა და პრეზიდენტმა პეტერ დიამანდისმა.

ბერტ რუტანი საავიაციო სამყაროში ცნობლია, როგორც კონსტრუქტორ-ინოვატორი. "სპეისშიპვანის" აგებაში მას ფინანსურად კომპანია "მაიკროსოფტის" თანადამაარსებელი, მილიარდერი პოლ ალენი დაეხმარა. რუტანმა იმით გაითქვა სახელი, რომ 1986 წელს შექმნა უცნაური კონსტრუქციის მქონე თვითმფრინავი "ვოიაჯერი", რომლითაც მისმა ძმამ, დიკ რუტანმა დედამიწას ისე შემოუფრინა, რომ ერთხელაც არ ჰქონია საშუალედო დაშვება და ერთხელაც არ შეუვსია საწვავი.

რაც შეეხება კანადურ პროექტს, მისი ხელმძღვანელია ტორონტოელი კონსტრუქტორი ბრაიან ფინი, რომელსაც რამდენიმე კანადური კომპანია უწევს სპონსორობას. თუ რუტანი "სპეისშიპვანის" ჰაერში ასაყვანად (საიდანაც განხორციელდება სტარტი) მის მიერვე შექმნილ მზიდ თვითმფრინავ "უაიტ ნაიტს" (ეს აპარატი აგებულია "ვოიაჯერის" ბაზაზე) იყენებს, ფინის ასეთად დიდი ზომის საჰაერო ბურთი აქვს შერჩეული, რომლის საშუალებითაც ხომალდი "უაილდ ფაიერი" საწყის (დაახლოებით 24000 მეტრი) სიმაღლეს მიაღწევს და იქიდან აიღებს სტარტს. ფინი აცხადებს, რომ თავის შედევრს თავადვე გაუწევს პილოტირებას.

გარდა ამისა, დიამანდისი აცხადებს, რომ კიდევ ორი გუნდი ამზადებს საცდელ გაფრენებს. ამასთან, ერთი მათგანი წლეულსვე აუცილებლად შეასრულებს საკონკურსო გაფრენას იმ შემთხვევაში, თუ რუტანსა და ფინის ხელი მოეცარებათ.

# სედნა შეიძლება სხვა მნათობიდან მოსული პლანეტოიდია

მზის სისტემის ყველაზე შორეული პლანეტოიდი (სწორედ ასე მოიხსენიებენ მას, სანამ გაარკვევენ, პლანეტაა თუ დიდი ზომის ასტეროიდი) სახელად სედნა, შესაძლოა, თავის ახლანდელ ორბიტაზე მას შემდეგ მოხვდა, რაც დაახლოებით ოთხი მილიარდი წლის წინ, მზის სისტემის სიახლოვეს სხვა მნათობმა (თავისი სისტემითურთ) ჩაიქროლა.

სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთის ინსტიტუტისა და საფრანგეთის კოტ დაზურის ობსერვატორიის მეცნიერები მას შემდეგ, რაც ამ ციური სხეულის შესახებ ცნობილი ყველა ინფორმაცია შეაჯერეს. თუმცა, იმავდროულად, მათ ისიც განაცხადეს, რომ ამ პლანეტოიდის ჩვენს სისტემაში გამოჩენის კიდევ რამდენიმე ვერსიას შეიძლება ჰქონდეს რეალური საფუძველი.

სედნა, რომელიც ზომით მზის სისტემის პლანეტებს შორის ყველაზე შორეულის, პლუტონის სამი მეოთხედია, ჯერ კიდევ 1930 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ მისი მზის სისტემაში მოძრაობა 2003 წლის ნოემბერში დადასტურდა. უკვე დიდი ხანია, არ წყდება კამათი იმის შესახებ, პლანეტაა იგი, თუ დიდი ზომის ასტეროიდი. ერთ-ერთ ასეთ კამათს 1999 წელს სერიოზული აურზაური მოჰყვა.

წაგრძელებული ორბიტა, რომლის გავლასაც სედნა დაახლოებით 12 ათას წელიწადს ანდომებს, მზისგან დაახლოებით 74-900 ასტრონომიული ერთეულითაა (ასტრონომილი ერთეულით აღინიშნება მანძილი მზესა და დედამიწას შორის, დაახლოებით 350 მილიონი კილომეტრი) დაშორებული.

მეცნიერთა ვარაუდით, დღეისათვის სედნა თავისი ორბიტის იმ სექტორში მდებარეობს, რომელიც ყველაზე ახლოსაა მზისგან (დაახლოებით 74 ასტრონომიული ერთეული). თუმცა, ეს მანძილიც გაცილებით სჭარბობს პლუტონის ორბიტის რადიუსს. როგორც ვარაუდობენ, სედნას ორბიტის ასეთი გაწელვის მიზეზი არ უნდა იყოს გიგანტური პლანეტების გრავიტაცია, რომელთა გამოც პლუტონსა და კომეტებს ექსცენტრული ორბიტები გააჩნიათ. თავისი გაწელილი ორბიტის წყალობით, სედნა მოგზაურობს კუიპერის ნისლოვან სარტყელსა და მზის სისტემის განაპირა რეგიონში მდებარე ოორტის ღრუბლეულს შორის.



სედნა ჩვენს მნათობს გასცქერის

კუიპერის სარტყელი ნარჩენია იმ პროცესისა, რომლის დროსაც მილიარდობით წლის წინ ჩამოყალიბდა მზის სისტემა. მასში უზარმაზარი სიჩქარით მოძრაობს მილიონობით კლდოვანი და ყინულოვანი სხეული. ეს სარტყელი ნეპტუნის ორბიტის გარეთ მდებარეობს. რაც შეეხება ოორტის ღრუბლეულს, იგი მზის სისტემის გარშემო დიდი რადიუსის ერთგვარ ნიჟარას ქმნის, რომელშიც უამრავი ყინულოვანი სხეული მოძრაობს. ეს ღრუბლეული პლუტონის ორბიტის რადიუსზე რამდენმე ათასჯერ მეტი მანძილითაა დაშორებული.

ახალმა გათვლებმა სედნას მზის სისტემაში დარჩენის ორი ყველაზე რეალური ვერსია წარმოქმნა. პირველის მიხედვით, მზე და მისი სისტემა თანატოლ მნათობთა ჯგუფში ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, ეს მნათობნი ერთმანეთს დაშორდნენ და არაა გამორიცხული, რომ ამ პროცესში, რომელიმე მათგანმა მზეს იმდენად ახლოს ჩაუქროლა, რომ თავისი განაპირა პლანეტოიდები (სედნას გარდა კიდევ ერთი ასეთი სხეული მოძრაობს მზის სისტემის განაპირა რეგიონში და მას 2000 CR 105 ეწოდება) მის სისტემაში "დატოვა".

ამერიკელი მეცნიერი ჰალ ლევისონი ამბობს, რომ სედნას ორბიტის გაწელვა რაღაც უზარმაზარი ზომის სხეულს უნდა გამოეწვია, რომელიც ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი. "ეს ორი პლანეტოიდი იმის თქმის საბაბს იძლევა, რომ იმ დროს, როცა ისინი იქმნებოდნენ, მზის სისტემა სულ სხვანაირი იყო და შესაძლოა, მასში იუპიტერზე გაცილებით დიდი ზომის პლანეტები მოძრაობდნენ", - ვარაუდობს ლევისონი.

მეორე ვერსიის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ადრე სედნა ყავისფერი ჯუჯის სისტემის პლანეტა იყო. ეს მნათობი მზეზე 20-ჯერ მცირე ზომისაა და როცა მან ჩვენი მნათობის სიახლოვეს გამოჩნდა, გაცილებით დიდი მიზიდულობის მქონე მზემ მიიზიდა განაპირა ორბიტაზე მოძრავი სედნა.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სედნა თავიდანვე მზის სისტემაში წარმოიქმნა, მაგრამ ორი პლანეტის, ნეპტუნისა და ურანის გავლენით, ნაპირისკენ გაირიყა. მეცნიერთა ვარაუდით, ადრე ეს ორი პლანეტაც ექსცენტრულ ორბიტაზე გადაადგილდებოდა. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ურანსაც და ნეპტუნსაც არ გაჩნიათ ის მასა, რომ მათ ასე ემოქმედათ სხვა, ასევე მცირე ზომის პლანეტოიდზე.

# მონსტრი ტალღები მშვიდ ზღვებშიც თარეშობენ

რამდენიმე წლის წინ ევროპულმა აეროკოსმოსურმა სააგენტომ წამოიწყო პროექტი სახელწოდებით "მაქს უეივ", რომელსაც უნდა გაექარწყლებინა მითი იმის შესახებ, რომ თითქოს, ოკეანეებში, კარგი ამინდის დროსაც კი წარმოიქმნება ეული გიგანტური ტალღები, რომლებიც დიდი ზომის მშრალ ტანკერებსაც კი ჩაძირვით ემუქრებიან.

პირიქით კი მოხდა - კოსმოსში გაშვებულმა ხელოვნურმა თანამგზავრებმა დააფიქსირეს, რომ გაშლილ ზღვებში, ნაპირიდან მოშორებით მართლაც აქვს ადგილი გიგანტური ტალღების მოულოდნელად წარმოქმნას, რაც ყოველწლიურად რამდენიმე გემს იწირავს.

"მაქს უეივის" პროგრამაში მონაწილე ევროპულმა თანამგზავრებმა (ERS-1 და ERS-2), რომლებსაც მსოფლიო ოკეანეების მონიტორინგი ევალებოდათ, სამი კვირის განმავლობაში ოკეანეს დაახლოებით 30 ათასი ფოტო გადაუღეს და ამ ფოტოების მეშვეობით ათზე მეტი გიგანტური ეული ტალღა დააფიქსირეს, რომელთა სიმაღლეც 25 მეტრს აღემატებოდა. ერთ-ერთი ასეთი ტალღის სიმაღლემ კი 30 მეტრიც კი შეადგინა. უფრო მეტიც, სწორედ ამ სამკვირიან პერიოდში, სამხრეთ ატლანტიკის წყლებში შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც გიგანტურმა ტალღამ ერთდროულად ორ გემს შეუტია - 30-მეტრიანმა ეულმა ტალღამ მის მახლობლად მცურავი ორი საკრუიზო ლაინერი, "ბრემენი" და "კალედონიან სტარი" დაითრია. ტალღამ ორივე გემზე საკაპიტნო პოსტის შუშები ჩაამსხვრია, "კალედონიურ ვარსკვლავს" კი სანავიგაციო სისტემაც დაუზიანა, რის გამოც ლაინერს ორი საათის განმავლობაში დრეიფმა უწია.

ამით დადასტურდა ის ფაქტი, რომ მონსტრი ტალღები რეალობას წარმოადგენს და მათ მსოფლიო ზღვაოსნობისთვის უზარმაზარი ზარალის მოტანა შეუძლია და მოაქვს კიდეც. აღნიშნული ტალღები არ მიეკუთვნება ცუნამის სახეობას, რომელიც ნაპირის სიახლოვეს, ძლიერი მიწისძვრის შედეგად წარმოიქმნება. ეს არის ფაქტობრივად ეული ტალღა, რომელიც შედარებით მშვიდი ზღვის პირობებში მოულოდნელად წარმოიქმნება და მისი სიმაღლე ხშირად ათსართულიანი სახლის სიმაღლეს აღწევს.

მიჩნეულია, რომ სწორედ ამგვარი მონსტრი ტალღების ჩაძირულია უამრავი გემი. ამგვარ ტალღებს დღესაც აფიქსირებენ, მაგრამ მათ ან ცუნამის უწოდებენ, ან შტორმს. მაგალითად, 1995 წელს ლაინერი "ქვინ ელიზაბეტ II" ღია ზღვაში 29 მეტრის სიმაღლის წყლის კედელს შეეჯახა. ამგვარი შემთხვევა ყოველწლიურად ათობით ფიქსირდება. ბოლო ორი დეკადის განმავლობაში, მსოფლიო ოკეანეებში ჩაიძირა ორასამდე ისეთი გემი, რომელთა სიგრძეც 200 მეტრზე მეტი იყო. არსებობდა მოსაზრება, რომ მათი უმეტესობა სწორედ მონსტრი ტალღების ჩაძირულია. თუმცა, დოკუმენტურად არაფერი იყო დადასტურებული და ბუნებრივია, ასეთი ტალღების არსებობაზე მხოლოდ ვარაუდი თუ შეიძლებოდა. არის ვარაუდი, რომ ასეთი ზომის ტალღები შეიძლება მცირე ზომის ტალღების ინტერფერეციამ (რხევების ფაზათა დამთხვევამ) გამოიწვიოს, თუმცა ჩატარებულმა გათვლებმა აჩვენეს, რომ ასეთი შემთხვევების ალბათობა 100-1000 წელიწადში მხოლოდ ერთია.



